

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის**

82-ე

სამეცნიერო სესია

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2023 წლის 19-21 დეკემბერი

თბილისი
2023

სამეცნიერო სესია გაიმართება ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პირველ კორპუსში
(19–20 დეკემბერს 202-ე, ხოლო 21 დეკემბერს –
212-ე აუდიტორიაში)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ნანა მაჭავარიანი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

19 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ნანა მაჭავარიანი

ნოდარ არდოტელი – მცენარეულობის სახელთა შემცველი კომპოზიტების სემანტიკური ანალიზი ქართულსა და დიდოურ ენებში

თეა ბურჭულაძე – სიტყვათშეკავშირების ერთი შემთხვევის სინტაქსური ფუნქციისათვის

თეიმურაზ გვანცელაძე – ცნობები ყაზარდოული დამწერლობის კირილიზაციის შესახებ და მათი მნიშვნელობა

გვანცა გვანცელაძე – უცნობი მასალები ოსური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის შესახებ

ლინდა გიორგაძე, მანანა რუსიეშვილი – IATE – ევროპარლამენტის ტერმინოლოგიური ბაზა და საქართველო (თანამშრომლობა-შედეგები და მომავლის გეგმები)

გიორგი გოგოლაშვილი, თამარ ლომთაძე – რამდენიმე მოსაზრება (შენიშვნები) სალიტერატურო ენის ნორმირებასთან დაკავშირებით

ქეთევან დათუკიშვილი – მეტყველების ნაწილის განსაზღვრისათვის („თვით“ და „თვითონ“)

თამარ ვაშაკიძე – მუხრან მაჭავარიანი – ნოველა ლექსში

ლევან კელაურაძე – შუმერულ-ქართველურ ენობრივ მიმართებათა შესწავლის ისტორიისათვის

მაკა ლაბარტყავა – კვლავ **კარნახობს** და **პასუხობს** ტიპის ზმნათა მართლწერისათვის

რომან ლოლუა – კავკასიის ალბანეთის გაქრისტიანების თარიღისათვის

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე – ლექსიკური ერთეულები **მოყვარე** /
მძახალი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

20 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – **მედეა ღლონტი**

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი – ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი
სომატური სახელისათვის სვანურში

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – „ფაუნის ლექსიკა აფხაზურში (სე-
მანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი)“ – წიგნის წარდგენა

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე – „**სამთილო / სამთილი**“ – ქორწინების
გზით შეძენილ ნათესავთა აღმნიშვნელი

მ ე დ ე ა ს ა ლ ო ი ა ნ ი – ერთ-ერთი უძველესი სვანური
არქაული ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიისათვის. II. **უჩეხტარ**

ლ ი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე – ტექნიკური ტერმინოლოგიური
ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოცემისათვის

თ ა მ ა რ ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე-ქ ი რ ს ა ჩ ი – სინტაქსური კალკე-
ბი ქართული ტრანსკრიფციით შესრულებულ თურქულ სახარებაში

ჭ ა ზ უ კ ი ქ ი რ ი ა – დერივატთა კლასიფიკაციის საკითხი
ქართულში

მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი – ნათელმირონობით დადგენილი აკრ-
ძალების საღვთისმეტყველო წანამძღვრებისათვის: **აკრიბია** (ბერძნ.
„სიმკაცრე; სიზუსტე“) და **იკონომია** (ბერძნ. „სახლი ღვთისა“)

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი – მრავალგზისობის გამოხატვა
ქიზიყურში

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი – 1923 წელს ჩაწერილი დღემდე
უცნობი ლაშხური ტექსტები

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა – მცირე შენიშვნები ოთხი ქართული
ლექსიკური ერთეულის შესახებ

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა – **კკუა** სიტყვის შემცველი იდიომები-
სათვის მეგრულში

21 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ვაჟა შენგელია

იზაჩანტლაძე, ნანა ქავთარაძე – უმაღლური უცხო სტუმარი სვანეთში

მანანა ჩაჩანიძე – პოეტური გამეორება და სინონიმური პარალელიზმი შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „ქვე-შევრდომები“

მერაბ ჩუხუა – ვნებითი გვარის მიმღეობური მე- – ე წარმოების კვალი „ვეფხისტყაოსანში“

სოფიკო ჭაავა – ლექსიკოლოგიური და დიალექტოლოგიური მუშაობა პროფესორ აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით (XX საუკუნის 20-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)

ნინელი ჭოხონელიძე – შაქარ- სიტყვის ისტორიისათვის ქართულში

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე – ძველ ქართულ კარაბადინებში დადასტურებულ სამკურნალო მცენარეთა სახელების ასახვის საკითხი „მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“

ცირა ჯანჯღავა – ჩვენებით ნაცვალსახელთა შესახებ მეგრულში

პროექტი „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“

პროექტი (FR-21-2100) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

რევაზ აბაშია – ეთნოლინგვისტურ კოლოკაციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში

ლევან აზმაიფარაშვილი – **ცხენი** კომპონენტის შემცველი შესიტყვებებისა და კომპოზიტების ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის

ქეთევან მარგიანი-დადვანი – ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული კოლოკაციები სვანურში (კოდორული ეთნოლინგვისტური მასალების მიხედვით)

როსტომ ფარეულიძე – ზოგი წეს-ჩვეულებისა და რიტუალის ამსახველი იდენტური ფრაზები (მყარი შესიტყვებები) ხევსურულსა და ქისტურ დიალექტში

ნათია ფონიავა – დაოჯახებასთან დაკავშირებული ზოგიერთი აფხაზური შესიტყვების ეთნოლინგვისტური ანალიზი

ნოდარ არდოტელი

მცენარეულობის სახელთა შემცველი კომპოზიტების სემანტიკური ანალიზი ქართულსა და დიდოურ ენებში

1. დიდოელთა და ქართველ მთიელთა გარემომცველი სამყარო, რომელიც უპირატესად ალპურ და სუბალპურ მდელოებს მოიცავს, მდიდარია ფიტონიმებით. ხეების, ბუჩქებისა და ბალახების სახელწოდებანი, რომლებიც შეიძლება ძირეულიც იყოს და ნასესხებიც, არაიშვიათად გვხვდება მცენარეთა სახელებისაგან შედგენილ კომპოზიტებში, მაგ.: დიდ. **ხიხ-ჭიჩი**, ბეჟ. **მუყურ-ზოხ** „ჭირნახული“, „მოსავალი“, საკ. დიდ. **ხიხ-ნოხუ**, ბეჟ. **ზოხ-ნახო** „ცუდი საკვები“ და ა. შ.

2. ანალოგიურ სახელთა კომპოზიციის პროცესი ზოგჯერ რომელიმე საკვლევ ენაში შეიძლება დასრულებული არც იყოს, რასაც ცხადყოფს ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელი კომპონენტი, მაგ.: დიდ. **ბოჭუს ოზური** ზედმიწ. „ჯიხვისთვალა“, შდრ. ბეჟ. **ხილატაფა** (საკ. ბეჟ.), **ხელეტაფა** (ჰუნზ.) „მრავალმარღვა“ ზედმიწ. „მეყსფოთოლა“ და მისთ.

3. ყურადღებას იქცევს სემანტიკური გადახრა-გადააზრებანი, რომლებიც თავს იჩენს ამ ტიპის კომპოზიტებში, რაც ერთგვარად განასხვავებს ცალკეულ ენებს. კერძოდ, დიდოური მოდემის ხალხებში **ჭირნახულს** მარტოოდენ მარცვლეული (აღამიანთა საკვები) არ ნიშნავდა, არამედ აქ იგულისხმებოდა **ბალახიც > თივაც** (ცხოველთა საკვები), რათა საქონელს ზამთარში თავი გაეტანა, რასაც ადასტურებს დიდ. **ხიხ-ჭიჩი**, ბეჟ. **მუყურ-ზოხ** „ჭირნახული“, „მოსავალი“ (ზედმიწ. დიდ. „ბალახ-მოსავალი“, ბეჟ. „მარცვლეულ-ბალახი“). ზემოწარმოდგენილი კომპოზიტი ბეჟ. **ხილატაფა** (საკ. ბეჟ.), **ხელეტაფა** (ჰუნზ.) „მრავალმარღვა“ **მყესის ფოთლად** არის სახელდებული. ცხადია, ეს ამკარას ხდის მის საყოველთაოდ ცნობილ სამკურნალო თვისებებს, რაც ბეჟიტურ ენაშიცაა ასახული. გარდა ამისა, **მრავალმარღვა** გარეგნული (იკონური) მსგავსებით ჯიხვის თვალსაა შედარებული, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამ ხალხების ასოციაციურ და მხატვრულ აზროვნებას. დიდოურ ენაში, გარდა **ბოჭუს ოზური** კომპოზიტისა, **მრავალმარღვას** მნიშვნელობით დასტურდება შესიტყვება **ხერომიშა-შაჟნი ლეზ**, რომლის ზედმიწევნითი თარგმანი იქნება **მარღვებიანი**

ფოთოლი, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჭრილობების მოსარჩენად მის სამკურნალო დანიშნულებას.

4. გლოსოლალური ასონანსის თვალსაზრისით, აღსანიშნავია დიდ. **ბიხ-მიხ**, ბეჟ. **ახ-ზოხ** ზედმიწე. „ბალახ-ბულახი“. თავად კომპოზიტის უშუალო შემადგენლები მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სემანტიკას შეიცავენ. კერძოდ, საკუთრივ დიდოური კომპოზიტის პირველი კომპონენტის მნიშვნელობა პოლისემანტიკურია (საკ. დიდ. **ბიხ** 1. „ბალახი“ > „თივა“. 2. „მცენარე“) მაშინ, როცა ბეჟიტურსა და ქართულში მონოსემანტიკურ სიტყვას წარმოადგენს (ბეჟ. **ზოხ** „ბალახი“). ცხადია, ეს გარემოება გავლენას ახდენს განსახილველ კომპოზიტთა შედარებისას მათ სემანტიკურ სხვადასხვაობაზე. ზოგადად **ხილის** აღსანიშნავად საკუთრივ დიდოურში გამოიყენება **ფიჭ** (< ხუნძ. „id.“), ხოლო ასონანსური **ფიჭ-მიჭ** ბისემანტიკურია: 1. „ბოსტნეული“. 2. „ხილი“. ჰუნზიბური კომპოზიტი მთლიანად ხუნძური ნასესხობა ჩანს, შდრ. ხუნძ. **ფრჭ-მიჭ** უპირატესად მშრალი ხილი. რაც შეეხება საკუთრივ ბეჟიტურ კომპოზიტს, მისი ზუსტი სემანტიკური ტოლფარდი, თუ წყობას არ გავითვალისწინებთ, ქართულში იქნება **ნიორ-ხახვი** (შდრ. ხახვ-ნიორი). მაშასადამე, ეს უკანასკნელი კომპოზიტი ნათელი დასტურია იმისა, რომ ბეჟიტელთა განსახილველის არეალში ხილი არ მოიწეოდა და **ხახვ-ნიორიც** კი ხილად მიიჩნეოდა.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

სიტყვათშეკავშირების ერთი შემთხვევის სინტაქსური ფუნქციისათვის

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სიტყვათა შეკავშირების სახეებიდან გამოყოფენ **შეთანხმებას**, **მართვასა** და **მირთვას**. ამათგან შეთანხმება ჰქვია ისეთ შეკავშირებას, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც წამყვან სიტყვას აქვს. შეთანხმებისათვის საჭიროა, რომ სინტაქსურად დაკავშირე-

ბულ წევრებს **ზიარი გრამატიკული კატეგორია** ჰქონდეთ. ქართულში ესაა **ბრუნვა და რიცხვი**.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში როცა შეთანხმებაზეა (კერძოდ, სახელსა და სახელს შორის შეთანხმება) მსჯელობა, მკვლევრები ანალიზებენ მხოლოდ ისეთ სინტაგმებს, რომელთა პირველი წევრი თანხმოვანფუძიანია და ამგვარ მაგალითებზე დაყრდნობით განიხილავენ მის არსსა და თავისებურებას: მაღალი სახლი, ორი კაცი, ჩემი წიგნი, შემკრთალი ბედურები... ცხადია, ასეთ შესიტყვებებში ნათლად ჩანს ბრუნვაში შეთანხმება – სიტყვათშეთანხმების ორივე წევრი თანხმოვანფუძიანია და ორივე დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: მაღალ-**ი** სახლ-**ი**, მაღალ-**მა** სახლ-**მა**, მაღალ სახლ-**ს**; ორ-**ი** კაც-**ი**, ორ-**მა** კაც-**მა**, ორ კაც-**ს**; ჩემ-**ი** წიგნ-**ი**, ჩემ-**მა** წიგნ-**მა**, ჩემ-**ს** წიგნ-**ს**...

ამ თვალსაზრისით ბუნდოვანია ხმოვანფუძიანი სახელის სახელთან შეთანხმების საკითხი. ისე ჩანს, თითქოს ამგვარ შესიტყვებებში სინტაქსური კავშირი შეთანხმება არ იყოს.

ვფიქრობთ, მოხმობილ შემთხვევებში (პატარა მდინარე, მწვანე მინდორი...) **უნიშნობა უტოლდება გრამატიკულ ნიშანს**. ეს ქართული მსაზღვრელ-საზღვრულის თვისებაა, რომ ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს, ხოლო თანხმოვანფუძიანი – დაირთავს. როცა ვამბობთ, რომ შეთანხმება ბრუნვაში გულისხმობს ორივე სახელის შეწყობას ბრუნვაში, ხმოვანფუძიან სახელებთანაც იგივე სინტაქსური ვითარება გვაქვს – ზიარი გრამატიკული კატეგორია.

ამ თვალსაზრისს აძლიერებს პოსტკოზიციური წყობა. როგორც კი შევებრუნებთ შესიტყვებას, ის დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: მდინარე პატარა, მდინარე-**მ** პატარა-**მ**, მდინარე-**ს** პატარა-**ს**, მდინარ-**ის** პატარ-**ის**...; მინდორი მწვანე, მინდორ-**მა** მწვანე-**მ**, მინდორ-**ს** მწვანე-**ს**, მინდვრ-**ის** მწვან-**ის**...

უნიშნობა არ გვადლევს იმის თქმის საშუალებას, რომ შესიტყვების ხმოვანფუძიანი წევრი ვერ შეეთანხმება მეორე წევრს. რა თქმა უნდა, დასახელებულ სიტყვათშეხამებებში შეთანხმებაა. შეიძლება დაისვას კითხვა – თუ გრამატიკული ნიშნით არაა გამოხატული, ეს რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სინტაქსურ კავშირად? საქმე ისაა, რომ მოხმობილ სინტაგმებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნიშნობა უტოლდება ნიშანს – **გვაქვს შეთანხმება, ოღონდ უბრუნ-**

ვისნიშნოდ. მთავარი აქ მათ შორის არსებული სინტაქსური ურთიერთობაა. **მწვანე მინდორი, ღია კარი, ფართო გზა** სახის სინტაგმებში წევრები ერთმანეთთან სინტაქსურადაა დაკავშირებული. ეს ტიპი ხომ მსაზღვრელ-საზღვრულის ერთ-ერთი სახეა. მთავარი არგუმენტი კი ისაა, რომ შებრუნებული წყობისას ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ (გზამ ფართომ, გზას ფართოს...). რა გამოდის? შესიტყვებაში **გზამ ფართომ** გვაქვს შეთანხმება და პრეპოზიციურ წყობაში (ფართო გზამ, ფართო გზას, ფართო გზის...) აღარ? ამ უკანასკნელ შემთხვევებში, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ბრუნვაში შეთანხმება არ არის.

გარდა ამისა, კიდევ ერთ ფაქტორზე გავამახვილებთ ყურადღებას: როცა შეთანხმების ისეთი სახე გვაქვს, რომელშიც პირველი წევრი თანხმოდანფუძიანია, იქაც არ გვაქვს სრული შეთანხმება ყველა ბრუნვაში – ამ ტიპის სინტაგმებში ხომ არავინ მსჯელობს იმაზე, რომ, რაკი მხოლოდ სამ ბრუნვაში (სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში) ირთავს შესიტყვების ორივე წევრი ბრუნვის ნიშანს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შეთანხმება, ხოლო მიცემითსა და ვითარებითში, რადგან მსაზღვრელი სიტყვა არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს, ან ნაწილობრივ, მხოლოდ ხმოვნითი ნაწილითაა წარმოდგენილი (ნათესაობითსა და მოქმედებითში), შეთანხმება არ გვაქვს. სწორედ ამგვარი „უნიშნობა“ შესიტყვების ისეთ შემთხვევაში, როცა სახელი ხმოდანფუძიანია. აქაც არასრული (ნულოვანი) შეთანხმებაა. ამიტომ, ვფიქრობთ, საენათმეცნიერო ლიტერატურაშიცა და სახელმძღვანელოებშიც მკვეთრად უნდა იყოს მსჯელობა ამგვარი სახის შეთანხმებაზე, რათა არ დარჩეს გაურკვეველობა და ცარიელი ადგილი ამ ტიპის სახელებს შორის სინტაქსური ურთიერთობის ანალიზისას.

ცნობები ყაზარდოული დამწერლობის კირილიზაციის შესახებ და მათი მნიშვნელობა

საბჭოთა კავშირში 1936 წლამდე მიმდინარეობდა „კორენიზაციის“ პროცესი (შდრ. რუს. корень „ძირი, ფესვი“), რაც გულისხმობდა ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების გაფართოებას. ამ პროცესის ნაწილი იყო 20-იან წლებამდე მოქმედ დამწერლობათა ლათინური გრაფიკით შეცვლაც და უდამწერლობო ენათათვის ლათინიზებული დამწერლობების შექმნაც. „კორენიზაციის“ პროცესი შეწყდა 1936 წლიდან და დაიწყო დაჩქარებული კირილიზაცია, ანუ ენათა რუსულ დამწერლობაზე გადაყვანა: დამწერლობათა ნაწილი საერთოდ გააუქმეს, კირილიცაზე გადაიყვანეს 50-ზე მეტი ენა, შეწყდა სასკოლო სწავლება ავტონომიის არმქონე უმცირესობათა ენებზე, გაზეთებისა და წიგნების გამოცემა ამ ენებზე, დაიხურა უმცირესობათა ენაზე მოქმედი თეატრები და სხვა. **პირველი ენა, რომელიც ლათინიზებული დამწერლობიდან კირილიცაზე გადაიყვანეს, იყო ყაზარდოული.** აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი ამ ენის კირილიზაციის დეტალები (ვინ, როდის და სად მიიღო გადაწყვეტილება, რა არგუმენტაცია ახლდა შესაბამის პროცესს...). ამ საკითხების გარკვევა ნათელს მოჰფენს რუსიფიკაციის პროცესის აქამდე უცნობ მხარეებს.

ჩვენი მოხსენება ემყარება სკპ(ბ) ცკ-ში შესულ დოკუმენტებსა და ამ ინსტანციის მიერ მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებებს. ამ მასალის გაცნობამ გვიჩვენა, რომ კონკრეტულ ენათა დამწერლობებში შესატანი ცვლილებების ექსპერტიზა და ზედამხედველობა ევალებოდა სსრკ-ს ცენტრალური ადმინისტრაციული კომიტეტის ეროვნებათა საბჭოსთან არსებულ **ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს**, აგრეთვე **ნ. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტს**, ხოლო პროცესს აკონტროლებდა **სკპ(ბ) ცკ-ს განყოფილებები, ორგბიურო და პოლიტბიურო.** დოკუმენტების მიხედვით, ყაზარდოული ენის კირილიზაცია შემდეგი თანმიმდევრობით წარმართულა:

1936 წლის 7 აპრილს პარტიის ყაზარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და საოლქო ცაკის პრეზიდიუმს მიუღიათ და-

დგენილება ყაზარდოული ენის კირილიცაზე გადაყვანის შესახებ. ვვარაუდობთ, რომ **„ინიციატორებად“ კი გამოცხადდნენ ადგილობრივი პირები, მაგრამ რეალურად ინიციატივა მოსკოვიდან მოდიოდა.** დადგენილებაში ლათინიზებული დამწერლობის მთავარ ნაკლოვანებებად დასახელებულია შემდეგი:

1. დამწერლობის მრავალნიშნიანობა: მასში 46 ბგერა აღინიშნება თითო ნიშნით და 9 ბგერა – წყვილი ნიშნით;

2. დამწერლობა ნარევი: ასოთა უმრავლესობა ლათინურია, მაგრამ არის რუსული ასოებიც და ლათინური და რუსული ასოების გადაკეთებული ვარიანტებიც;

3. ასოთა რთული გრაფიკული ფორმა და ასოთა შორის დიდი მსგავსება ამწელებს კითხვასა და სწრაფად წერას;

4. გრაფიკული სიჭრელე და მრავალასოიანობა აბრკოლებს სასტამბო ლინოტიპის გამოყენებას (იგულისხმებოდა კლავიატურაზე ასოთა განლაგების პრობლემურობა).

5. ლათინიზებული დამწერლობა საკმარისად ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მისწრაფებებს ცოდნისა და კულტურისაკენ და ამის გამო მასებში ნაკლებავტორიტეტულია. ყაზარდოულის რუსულ გრაფიკაზე გადაყვანა ხელს შეუწყობს ყაზარდო-ბალყარეთის მოსახლეობისა და რუსი ხალხის დაახლოებასა და კულტურათა ურთიერთგამდიდრებას.

პარტიის საოლქო კომიტეტს ყაზარდოელი მეცნიერების ჯგუფი გაუგზავნია მოსკოვის ზემდგომ ორგანოებსა და ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. ყაზარდოული ენის დამწერლობის ცვლაზე უმუშავია ლენინგრადში შექმნილ ჯგუფს აკად. **ო. მეშჩანინოვის**, აკად. **ა. სამოილოვიჩის**, პროფესორების **ლ. შჩერბას**, **ბ. გრანდეს**, **ა. გენკოს**, **გ. ტურჩანინოვის**, ყაზარდოელი განმანათლებლის **ტ. ბორუკაევისა** და სხვათა შემადგენლობით. საყურადღებოა, რომ ამ ჯგუფში არ შედიოდა ჩერქეზული ენის მკვლევარი, ლათინიზებული დამწერლობების ერთ-ერთი თეორეტიკოსი **ნ. იაკოვლევი**, რომელსაც იმ ხანებში უკვე აღარ ენდობოდნენ, არ იზიარებნენ. მარის „ახალ მოძღვრებას ენის შესახებ“.

ენისა და აზროვნების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის რეკომენდაციისა და შენიშვნების გათვალისწინებით 1936 წლის 7 აპრილამდე დაწერილა პროექტი კირილიცას საფუძველზე (ჩანს, მუშაობა 1935 წელს დაიწყო). პროექტში შევიდა რუსული დამწერლო-

ბის 32 ასო და აპოსტროფი ('). სპეციფიკურ ყაზარდოულ ზგერათა გადმოსაცემად, რომლებიც არა აქვს რუსულს, გამოყენებული იყო აპოსტროფის დამატება ასოზე, ასოთა დაწყვილება და სხვა. **შენიშვნა:** აპოსტროფი მოგვიანებით საერთოდ ამოიღეს.

პარტიის ყაზარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტისა და ცაკის დადგენილებით განისაზღვრა ახალი დამწერლობის ამოქმედება 1936 წლის 1 სექტემბრიდან. დადგენილება შეიცავდა თხოვნას პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, დაემტკიცებინათ ახალი დამწერლობის პროექტი.

იერარქიის წესის მიხედვით, საკითხი პირველად განიხილა **პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტმა**, რომლის მდივანი **ე. ევდოკიმოვი** მოსკოვში პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აცნობებდა საყურადღებო გარემოებებს კავკასიურ დამწერლობათა შესახებ. მის შუამდგომლობაში შემდეგი აღინიშნებოდა:

1. დასმულა საკითხი ყაზარდოულთან ერთად კირილიცაზე **ბალყარულის** გადასაყვანადაც;

2. პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო კომიტეტს მხარი დაუჭერია **ორივე დამწერლობის პროექტებისათვის**, რასაც გამოხმაურება ჰქონია მხარის სხვა ავტონომიებშიც. იოლი მისახვედრია, რომ **ეს გამოხმაურებები ინიცირებული იყო მოსკოვიდან**.

3. პარტიის სამხარეო კომიტეტში გამართულ **საოლქო კომიტეტების მდივნებისა და ცაკის თავმჯდომარეთა** თათბირებზე იწონებდნენ რუსულ გრაფიკას და ხაზს უსვამდნენ, რომ ამიერიდან მოსწავლეებს არ დასჭირდებოდათ ორი სრულიად განსხვავებული გრაფიკისა (ლათინურისა და რუსულის) და, შესაბამისად, ასოთა დიდი რაოდენობის შესწავლა.

4. ე. ევდოკიმოვის სიტყვით, **სამხარეო კომიტეტს დაგეგმილი ჰქონდა რუსულ გრაფიკაზე გადაყვანა ყარაჩაისა და ჩერქეზეთის ენებისაც, ოსურისაც, ჩეჩნურ-ინგუშურისაც და დაღესტნის ენებისაც**. ეს იმას ნიშნავდა, რომ **რუსულ გრაფიკაზე გადაყვანა ერთბაშად ეხებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში გაგრეცელებულ 16 ენას**: ყაზარდოულს, ადიღეურს, ბალყარულსა და ყარაჩაულს ცალ-ცალკე, აბაზურს, ნოღაურს, ოსურს, ინგუშურს, ჩეჩნურს, ხუნძურს, ლაკურს, დარგულს, ლეზგიურს, თაბასარანულს, ყუმბიკურს, თათურს, ე. ი. **ჩრდილოეთ კავკასიაში საკითხს ერთი ცენტრი მართავდა და და-**

მწერლობათა ცვლა ინდივიდუალური კი არ იყო, არამედ მასობრივი პროცესის ნაწილს წარმოადგენდა. სავარაუდოდ ასეთივე თათბირები იმართებოდა სამხრეთ კავკასიაშიც, შუა აზიაშიც და სხვაგანაც.

5. იქვე ავტორი აზუსტებდა, რომ ზოგ შემთხვევაში **საკითხი უნდა შეთანხმებულიყო სხვა რესპუბლიკებთანაც:** დაღესტანში მცხოვრები თურქების (ყუმიკებისა და აზერბაიჯანელების) ენის კირილიცაზე გადაყვანა უნდა შეთანხმებულიყო **აზერბაიჯანის სსრ-თან, ხოლო ოსური დამწერლობის საკითხი დაკავშირებულია სამხრეთელ ოსებთან.**

6. პარტიის სამხარეო კომიტეტი ცენტრალური კომიტეტისაგან ითხოვდა ნებართვას, რათა ენათა კირილიზაციაში დახმარებოდნენ სსრკ-ს განათლების სახალხო კომისარიატი, ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი და სამეცნიერო ინსტიტუტები.

საბოლოოდ მთელმა დოკუმენტაციამ თავი მოიყარა **სკპ(ზ) ცკ-ს ბეჭდვისა და გამომცემლობათა განყოფილებაში**, რომელმაც შეადგინა დასკვნა და 1936 წლის 10 მაისს დაუგზავნა **ცკ-ს ხუთივე მდივანს: ი. სტალინს, ნ. ეჟოვს, ა. ანდრეევს, ლ. კაგანოვიჩსა და ა. ჟდანოვს.** დასკვნაში მოყვანილია ციტატები პარტიის ყაზარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტისა და ცაკის დადგენილებიდან, აგრეთვე პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებიდან, დამოწმებულია ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დასკვნაც და დამატებით **მკაცრადაა გაკრიტიკებული** ახალი ანბანის ცენტრალური კომიტეტი, რომლის ნაკლად მითითებულია ის, რომ კომიტეტი დამწერლობათა დახვეწის ნაცვლად ატარებს მოსაჩვენებელ დეკლარაციულ თათბირებს და საკონსულტაციოდ ადგილებზე გზავნის ისეთ **შემთხვევით და შეუმოწმებელ პირებს, როგორც პროფ. ნ. იაკოვლევი, რომლებიც დახმარების მაგიერ საქმეს უკუღმა წარმართავენ.** სკპ(ზ) ცკ-ს ბეჭდვისა და გამომცემლობათა განყოფილება დაასკვნოდა, რომ ყაზარდოული დამწერლობა უნდა გადაყვანილიყო კირილიცაზე ენისა და აზროვნების ინსტიტუტის შენიშვნების გათვალისწინებით. შესაბამისი შინაარსის დადგენილება **1936 წლის 19 მაისს მიიღო სკპ(ზ) ცკ-ს ორგბიურომ, ხოლო 23 მაისს პოლიტბიურომაც.**

როგორც ჩანს, შენიშვნების გათვალისწინებას დრო დასჭირდა და ყაზარდოული ენის კირილიცაზე გადაყვანა ახალი ანბანის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა 1936 წლის 4 სექტემბერს.

უცნობი მასალები ოსური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის შესახებ

მოხსენება ეხება აქამდე უცნობ დოკუმენტებს იმის შესახებ, თუ როგორ გადაწყდა ოსური ენისათვის ქართული დამწერლობის შერჩევა.

1936 წლიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო ენათა ლათინიზებუ-ლი დამწერლობების რუსული დამწერლობით შეცვლის მასობრივი პროცესი. მოქმედებდა წესები: დამწერლობის შეცვლის შესახებ პარტიის რესპუბლიკური, სამხარეო, ან საოლქო კომიტეტის მიერ საკითხის ინიცირება; ადგილზე პროექტის შექმნა ახალი ანბანის საკავშირო ცკ-ს (შემოკლებით: აასაცკ) ხელმძღვანელობით; პროექტის პირველადი დამტკიცება რესპუბლიკური, ან საოლქო ცაკის მიერ; აასაცკ-ის მიერ პროექტის განხილვა-დამტკიცება; საკავშირო ცაკის, ან პარტიის ცკ-ს მიერ დამწერლობის საბოლოოდ დამტკიცება. ამ წესების დარღვევით შედგენილ პროექტებს არ ამტკიცებდნენ...

დამწერლობათა კირილიზაციის პროცესს აკონტროლებდნენ კომპარტიის ცკ-ს განყოფილებები, ორგბიურო, პოლიტბიურო და ცკ-ს მდივნები, რომლებიც საკმაოდ ხშირად განიხილავდნენ ამ პროცესის მიმდინარეობას და იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებებს. სწორედ ამ უმაღლესმა ინსტანციამ განიხილა ოსური ენისათვის დამწერლობის შერჩევის საკითხი 1938 წლის გაზაფხულზე. კერძოდ, ირკვევა შემდეგი:

პარტიის ცკ-ს ბეჭდვისა და გამომცემლობათა განყოფილების თანამშრომელმა კულხნეგოვმა რამდენიმე ენის დამწერლობათა შესახებ აღძრულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით დასკვნის წარდგენა დაავალა **სსრკ ხალხთა ენებისა და დამწერლობის ცენტრალურ ინსტიტუტს**. ინსტიტუტის დირექტორმა ვ. პეტროსიანმა 1938 წლის 11 მარტს წარადგინა დასკვნა ყარაჩაული, აბაზური, ნოღაური, ოსური, მოლდოვური და ყირიმის თათრული ენებისათვის ლათინური დამწერლობის ნაცვლად რუსული ანბანის შერჩევის შესახებ. ვ. პეტროსიანის ხელმოწერილი დასკვნის მიხედვით, დამწერლობის საკითხი სხვადასხვა არგუმენტაციით უნდა გადაწყვეტილიყო:

1. რაკი ყარაჩაულ სკოლებში მე-5 კლასიდან რუსული ხდებოდა ყველა საგნის სწავლების ენა, მიზანშეწონილად ჩაითვალა ყარაჩაული დამწერლობა რუსულ გრაფიკაზე გადავიდესო, ანუ **საკითხი წყდებოდა არა ყარაჩაული ენის, არამედ რუსულის ინტერესების საფუძველზე.**

2. ვ. პეტროსიანის ცნობით, 1937 წელს დაისვა საკითხი **ბალყარული დამწერლობის ლათინურიდან რუსულ გრაფიკაზე გადაყვანის** შესახებ. მან სკპ(ბ) ცკ-ს წინაშე იშუამდგომლა, **ერთიმეორისაგან არ დაეცილებინათ ბალყარული და ყარაჩაული დამწერლობები, რადგან ბალყარელებსაც და ყარაჩაელებსაც საერთო ენა აქვთ. ამრიგად, ამ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ენობრივ-ეთნიკური ერთობის საფუძველზე.**

3. ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც აბაზათა უმრავლესობა ცხოვრობდა, აბაზური უკვე გადაყვანილი იყო კირილიცაზე, ამიტომ ეს ენა ყარაჩაის ავტონომიურ ოლქშიც რუსულ გრაფიკაზე უნდა გადავიდეს, ეს საჭიროა ყარაჩაელებთან აბაზების დასახელოებლადო. ამრიგად, **აბაზურის ზედი რამდენიმე ფაქტორის საფუძველზე უნდა გადაჭრილიყო.** დასკვნის ავტორები **აბაზურის მსგავს ვითარებას ხედავდნენ ნოღაურის შემთხვევაშიც:** რაკი დადესტანში მცხოვრებ ნოღაელთა ენა უკვე გადაყვანილია რუსულ დამწერლობაზე, ჩერქეზეთშიც რუსულზეა გადასაყვანი ეს ენაო.

4. **განსაკუთრებით საყურადღებოა** დასკვნის „ოსური“ ნაწილი, რომელიც **საქართველოსაც ეხებოდა:** ოსური ენისათვის დამწერლობა შეიქმნა XVIII საუკუნეში კირილიცას საფუძველზე, რომელიც ლათინურით შეიცვალა 1923 წელს. მიზანშეწონილია მისი დაბრუნება რუსულ გრაფიკაზეო. ავტორები მიიჩნევენ, რომ **საქართველოში მცხოვრები ოსების ენაც რუსულ გრაფიკაზე უნდა გადაყვანილიყო,** ვინაიდან კავკასიონის აქეთ-იქით მცხოვრებ ოსებს საერთო სალიტერატურო ენა ჰქონდათ, ანუ **ამ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ენის ერთიანობის ფაქტორისა და ტრადიციულ დამწერლობაზე დაბრუნების აუცილებლობის გათვალისწინებით (ЦК ВКП (б) и национальный вопрос, кн. 2. М., 2009, გვ. 388-389).** ეს მოსაზრება ლოგიკურად გამართული იყო, მაგრამ კრემლს სხვა გეგმები ჰქონდა.

ამ და მრავალი სხვა დოკუმენტიდან ისიც ირკვევა, რომ კომუნისტები **ეთნიკურ-ენობრივ ერთიანობას დიდად არ სწყალობდნენ.**

მათთვის დაბრკოლებას ულაც არ იყო ის, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები, ან ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსები ერთი ეთნოსის ნაწილები იყვნენ. ბოლშევიკებისათვის არსებითი იყო **არარუს ხალხთა დეზინტეგრაცია**, ამ გზით გარუსების დაჩქარება და ერთ ენაზე მოლაპარაკე ერთიანი „საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბება.

1938 წლის 17 მარტს ვ. პეტროსიანს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნია კრემლში ციმბირში გავრცელებული შორული ენის შესახებ. მისი ორივე წერილი 1938 წლის 9 აპრილს განუხილავს პარტიის ცკ-ს ორგბიურს, გამოუყენებია ვ. პეტროსიანის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ენას უბრალოდ „**ოსური**“ (**осетинский**) ერქვა და დაუდგენია:

„1. მიეცეს თანხმობა ყირიმული თათრული, **ჩრდილოური ოსური (северо-осетинский)**, მოლდოვური და შორული დამწერლობების რუსულ ანბანზე გადაყვანას;

2. დაევალოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებისა და დამწერლობის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეადგინოს დამწერლობა რუსულ საფუძველზე, ორთოგრაფია და გრამატიკა ყირიმული თათრული, ჩრდილოური ოსური, მოლდოვური და შორული ენებისათვის“ (იხ.: ЦК ВКП(б) и национальный вопрос, кн. 2. М., 2009, გვ. 390-391).

როგორც ვხედავთ, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ ამ დადგენილების ტექსტში მცირე სიტყვიერი მანიპულაციით მნიშვნელოვნად შეცვალა პროექტის შინაარსი: **ჩრდილოელი ოსების მეტყველება დამოუკიდებელ ენად გამოაცხადა და გაუთანაბრა ყირიმულ თათრულს, მოლდოვურსა და შორულს**. აი, ასე, ერთი მარტივი ხერხით დეკლარირდა ორი ოსური „ენის არსებობა“: **„ჩრდილოური ოსური ენის“ „არსებობა“ ავტომატურად და ანალოგიის ძალით გულისხმობდა „სამხრეთელი ოსური ენის“ „არსებობასაც“!**

ამ კონტექსტში გასაკვირი სულაც არ არის, რომ **საქართველოს სსრ-ში, რა თქმა უნდა, სკპ(ბ) ცეკოს ზეპირი, ან წერილობითი მითითების თანახმად შეიქმნა „სამხრეთელი ოსური“ დამწერლობა ქართული გრაფიკის საფუძველზე**.

ამრიგად, დოკუმენტურად დასტურდება, რომ **სკპ(ბ) ცკ-ს ორგბიურომ ტერმინოლოგიური მანიპულაციით „შექმნა“ ორი ოსი**

„ხალხი“ ორი სალიტერატურო ენით. ასე გამოცალკევებულ „სამხრეთულ ოსურ ენას“ დამწერლობის საფუძვლად განსხვავებული გრაფიკა შეურჩიეს ქართული დამწერლობის სახით, რაც ბევრად უფრო გააადვილებდა სამი მიზნის მიღწევას:

1. ოსი ხალხის დაშლას ორ ნაწილად;
2. ჩრდილოელ ოსთა გარუსების დაჩქარებას და

3. სამხრეთელ ოსთა ქართველებთან დაპირისპირებას. ამ გზით **სამხრეთელ ოსთა უკმაყოფილება წარიმართა არა მოსკოვისაკენ, არამედ თბილისისკენ.** სამწუხაროდ, ოსურ საზოგადოებას დღემდე მიაჩნია, რომ სამხრეთელი და ჩრდილოელი ოსები დამწერლობის დონეზე გახლიჩეს ქართველებმა სამხრეთელთა გაქართველების მიზნით, რაც დოკუმენტურად არ დასტურდება.

ლინდა გიორგაძე, მანანა რუსიევილი

IATE – ევროპარლამენტის ტერმინოლოგიური ბაზა და საქართველო (თანამშრომლობა-შედეგები და მომავლის გეგმები)

2022 წლიდან არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებისა და თსუს ინგლისური ფილოლოგიის ლექტორებისა და სტუდენტების თანამშრომლობით ევროპარლამენტის ტერმინოლოგიურ ბაზებში ქართული ტერმინების დამუშავება დაიწყო. IATE-ს მიზანია, მოაგროვოს, გაავრცელოს და მოაწესრიგოს ევროპარლამენტისათვის დარგობრივი ტერმინოლოგია და შექმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, სადაც თავმოყრილი იქნება ევროკავშირის ყველა ტერმინოლოგიური რესურსი, რომელიც უნდა იყოს სტანდარტიზებული და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო პირველი არაწევრი ქვეყანაა, რომელმაც IATE-ში ტერმინების შეტანა დაიწყო, თუმცა ამას თავისი სირთულეც ახლავს. ეს სირთულე, ძირითადად, გამოიხატება ქართული ტერმინოლოგიის სიჭრელით და სტანდარტიზაციის

არარსებობით. ევროპარლამენტის ქვეყნები ამ საერთო ბაზებში ეროვნული ტერმინთბანკების მასალებით შევიდნენ, რაც, ბუნებრივია, საერთაშორისო ბაზებში ნორმატიული ტერმინოლოგიის ასახვის გარანტია, საქართველო კი ტერმინთბანკს ახლა ქმნის და ბეჭდური ლექსიკონების ფონდების გაციფრულება ახლა დაიწყო. გარდა ამისა, საქართველოში მწვავედ დგას შეუთანხმებელი ტერმინოლოგიური მუშაობის პრობლემა. ქართულ ინტერნეტსივრცეში არსებულ მასალაში ასახულია არაერთგვაროვანი ტერმინოლოგია, რაც ართულებს ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის საკითხს. ზოგჯერ ერთსა და იმავე საერთაშორისო ბაზაში სხვადასხვა ჯგუფს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად კი შეაქვს ტერმინები, რაც საერთაშორისო დონეზეც ქაოსს იწვევს.

IATE-ს პროექტში ჩართვამდე პროექტის კოორდინატორებსა და სტუდენტებს ჩაგვიტარდა საგანგებო შეხვედრა, რომელზეც განიმარტა ტერმინთა დამუშავების პრინციპები ამ კონკრეტული ბაზებისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულად ითარგმნა ამ ბაზის შევსების მცირე სახელმძღვანელო, რომელიც გამოქვეყნებულია IATE-ს ვებგვერდზე.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ ევროპარლამენტის ბაზაში მუშაობის პრინციპებისა და იმ სირთულეების შესახებ, რომლებსაც ტერმინოლოგიის დამუშავების პროცესში ვაწყდებით. აღვწერთ არნაჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილებისა და თსუს ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მუშაობის შედეგად IATE-ს ბაზაში დასრულებული პროექტის – სურსათის უვნებლობის – შედეგებს, ასევე ვისაუბრებთ თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე

რამდენიმე მოსაზრება (შენიშვნები) სალიტერატურო ენის ნორმირებასთან დაკავშირებით

ანტონ კათალიკოსი წერს თავის გრამატიკაში: „**არარაჲ მოყუარება სიბრძნისა იქმნების თჯნიერ მართლუბნობისა და წესიერწერი-**

სა“. ამგვარი დამოკიდებულება ქართული სალიტერატურო ენისადმი ტრადიციული იყო.

ეს ტრადიციული დამოკიდებულება ავალდებულებდა მწიგნობარს, ეზრუნა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და დამკვიდრებისათვის; ცხადია, არსებულ ნორმათა დაცვისთვისაც... აქ დაისმის საკითხი დამკვიდრებულ ნორმათა ცვლილების საჭიროების შესახებ; როდის, რატომ და როგორ შეიძლება დადგეს საკითხი **დადგენილი ნორმის ცვლილებისა?** საკითხი შეიძლება ასეც დავსვათ: საერთოდ, **ენობრივი ნორმა მუდმივი მონაცემია თუ ცვალებადი?**

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში არის არაერთი შემთხვევა, როცა დამკვიდრებული ნორმა იცვლება ახლით. ამის კლასიკური მაგალითი არის ხანმეტი ფორმების შეცვლა ჰაემეტით და ჰაემეტისა – სანნარევით. ძნელია დღეს იმის თქმა, რა ტიპის ცვლილება იყო ეს. უფრო სწორად, რამ გამოიწვია ეს ცვლილება (ახსნა არსებობს სხვადასხვაგვარი, მაგრამ ამჯერად ეს არაა ჩვენი ფიქრის თემა). ფაქტი ერთია: ენის განვითარების ერთი ეტაპის ნორმა შეიცვალა მეორით. ფაქტი პრინციპულად საყურადღებოა – **არსებობს ნორმა, დრო ითხოვს მის შეცვლას**. მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, ქართველებს ასე რომ არ გვექნა, ისეთივე ვითარება გვექნებოდა, როგორც ინგლისშიაო – „ოქსფორდს წერენ და მანჩესტერს კითხულობენ“...

რატომ ვსვამთ ამ საკითხს? **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანთა მართლწერის საკითხებზე ფიქრისას არაერთ წინააღმდეგობას წავაწყდით; ნორმადარი კონსერვატორია, არ ეთმობა ადრე მიღებული და უკვე დამკვიდრებული ენობრივი ნორმა; თუმცა თავადაც აშკარად ხედავს, როგორ იზრდება სხვაობა წერილობით და ზეპირ მეტყველებას შორის (მაგალითად, სტატისტიკა აშკარად **-ია** დაბოლოებას უჭირს მხარს: ჩვეულებრივია **გინახივარ-უნახია ფორმები; გინახავარ-უნახავს** – იშვიათი...). რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა სწორედ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა მართლწერის საკითხის მოგვარებას... კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილ დასაბუთებას ეთანხმებოდნენ, მსჯელობის ლოგიკა მოსწონდათ, მაგრამ ფსიქოლოგიურად ვერ ეგუებოდნენ **-ია** დაბოლოებიან ფორმათათვის აკრძალვის

მოხსნას... ოპონენტებისათვის არნ. ჩიქობავას აზრის შეხსენებაც მოგვიხდა:

„სალიტერატურო ქართული ენა, როგორც ყოველი ცოცხალი ენა, უცვლელი ვერ იქნება. ამოცანა ისაა, რომ ცვლის ეს პროცესი მიზანშეწონილად წარვმართოთ: შევინარჩუნოთ და დავიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთი მხრით, მეორეცა და სალიტერატურო ქართულ ენას შევუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტ წყაროსთან“.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებასთან დაკავშირებით რამდენიმე კონკრეტულ კითხვას დავსვამთ; რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებთ.

ტერმინისათვის „თანამედროვე ქართული“. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლამ აქტიური ხასიათი მიიღო, ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან მეცნიერულ საფუძველს დაემყარა და სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა. იქმნება ჯგუფები, კომისიები...

ცხადია, მწიგნობართა, მეცნიერთა, დედაენის გულშემატკივართა ფიქრისა და ზრუნვის საგანი ყოველთვის იყო იმდროინდელი, მათი **თანამედროვე** ქართული, თუმცა ტერმინად „**თანამედროვე**“ მოგვიანებით გაჩნდა... როგორც ჩანს, იგი ტერმინად 1946 წლიდან შემოდის და მკვიდრდება; მანამდე არსებობდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია“ (1934 წ.); უნივერსიტეტში შეიქმნა „სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სამუშაო ჯგუფი“ (1935) და აი, 1946 წელს სამთავრობო დადგენილებით მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან იქმნება „**თანამედროვე** ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისია“... 1953 წლიდან ამ კომისიის საქმიანობის გამძლე დაევალა მინისტრთა საბჭოს... კომისიის მუშაობის შედეგები გარკვეულწილად აისახა 1970 წელს გამოცემულ კრებულში „**თანამედროვე** ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I“.

ნორმირებასთან დაკავშირებით ტერმინად მისი გამოყენება გარკვეულ უხერხულობას შექმნის: „თანამედროვე“ შეფარდებითი

ცნებაა; ენობრივი მოვლენა, ფაქტი დროის კონკრეტული მომენტისათვის არის თანამედროვე; დროის სხვა მომენტთან მიმართებით იგი ვედარ იქნება „თანამედროვე“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „თანამედროვე ქართული“ არის არა „ძველი ქართულისა“ და „ახალი ქართულის“ ტოლფარდი ტერმინი (როგორც ფიქრობს ფ. ერთელიშვილი), არამედ „დღევანდელი ქართულის“ სინონიმური გამოთქმა. ის, რაც „თანამედროვეა“ დღეს, „გუშინდელი“ იქნება ხვალ და „გუშინდელი“ – ზეგ. უფრო კონკრეტულად: კრებულში „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ არის ისეთი შემთხვევები, როცა თავის დროზე სადავო საკითხი დღეს უდავოა; ანუ იმჟამად სადავო ფორმათაგან ერთ-ერთი მათგანის უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა; მოცილე ფორმა ფაქტობრივ დღეს აღარაა აქტიური; იმ დროისათვის „თანამედროვე“ უკვე აღარაა ჩვენთვის თანამედროვე (მაგალითად, **რადამ** და **რამლა, ვილაცამ** და **ვილამაც...** და სხვა).

იმჟამად დასაშვებად მიჩნეული ფორმები დღეს ისტორიის კუთვნილებათა... ჩვენთვის ეს იმის დასტურია, რომ ტერმინი „თანამედროვე ქართული“ არ არის მოსახერხებელი ტერმინი და პერიოდის, ეტაპის აღმნიშვნელად არ უნდა ვიხმაროთ „ახლისა“ და „ძველის“ გვერდით...

სისტემური ენობრივი ცვლილებები... ენა სისტემაა. ამ ცნობილი თეზის გახსენება გვმართებს ნორმათა დადგენის პროცესში.

ენობრივი ფაქტის იზოლირებულად, სისტემაში მიმდინარე კანონზომიერ ცვლილებასთან დაუკავშირებლად განხილვა საქმეს გაართულებს და მცდარ დასკვნას გაგვაკეთებინებს. ასე მოხდა მაგალითად **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისა ზმნათა I თურმეობითის პარალელურ ფორმათა (**უნახავს//უნახია**) შესახებ ადრე მიღებული ნორმის შემთხვევაში. „**-ია** დაბოლოებიანი ფორმები უკუგდრებულ უნდა იქნეს“; – დაადგინა ნორმადარმა და ნორმის სტატუსი მიანიჭა **-ავ/-ამ** ელემენტთან ფორმებს. აქ იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ I თურმეობითში **-ია** დაბოლოება ამ ტიპის ზმნებში ისეთივე კანონზომიერია, როგორც **-ია** დაბოლოება სხვა ტიპის ზმნებში (გაუკეთებ-ია, აუღია...), რა გამოვიდა: მიღებული იქნა კანონზომიერი ენობრივი ტენდენციის საპირისპირო ნორმა; ენობრივმა ტენდენციამ კი თავისი გზით გააგრძელა სვლა... ნორმა გახდა შესაცვლელი...

იგივე ითქმის **ვტირი//ვტირი-ვარ** პარალელურ ფორმათა მეშველზმნიანი ფორმების არანორმატულად გამოცხადებაზეც; სტატიკური ზმნების ორგანული ფორმების მეშველზმნიან წარმოებაზე გადასვლა მრავალსუკუნოვანი ენობრივი ტენდენცია ჩანს. ერთი მორფოლოგიური ტიპის სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში ეს პროცესი არაერთდროულად წარიმართა. მიღებული ნორმით შექმნილმა დაბრკოლებამ სისტემური ცვლილების პროცესი შეიძლება შეაფერხოს, მაგრამ ვერ შეაჩერებს. ნორმის მიღების დროს ეს ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს... ფაქტობრივ, არცთუ შორეულ წარსულში მიღებული ეს ნორმა უკვე შესაცვლელია...

პარალელურ ფორმათა დაშვების შესახებ. -აგ და -ამ თემის-ნიშნითა ზმნათა შესახებ ახალი ნორმის მიღების დროს გამართულმა პაექრობამ აჩვენა, რომ პარალელურ ფორმათა დაშვების საჭიროება არასწორად არის ზოგ შემთხვევაში გაგებული. პარალელიზმი ნორმის ნაკლად გაიაზრება და ეწინააღმდეგებიან. მკაცრი მოთხოვნაც გაისმა – საერთოდ აიკრძალოს პარალელიზმი. ვისაც თვალი მიუღვენებია სისტემური კანონზომიერი ენობრივი ცვლილებებისათვის, დამეთანხმება, რომ არცერთი ასეთი ცვლილება ენაში ერთბაშად, ამ ენის გავრცელების მთელ სივრცეში ერთდროულად არ მომხდარა (და, ალბათ, არც შეიძლება მოხდეს)... სალიტერატურო ენაშიც პარალელურ ფორმათა გაჩენა კანონზომიერი მოვლენაა და გარდამავალი ეტაპის დაშვება აუცილებელია. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თავის დროზე ნორმათა დადგენის პრინციპების შემუშავებისას საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება პარალელურ ფორმათა დაშვების აუცილებლობაზე: „იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონზომიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არცერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლოა ისინი დაჩინენ პარალელურად“.

აქვე შევნიშნავთ: კანონზომიერი სისტემური ენობრივი ცვლილების შედეგად წარმოქმნილ პარალელურ ფორმათაგან ორივე „კანონზომიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით“...

ყალიბთა მონაცვლეობის ფაქტორი. ენაში პარალელურ ფორმათა გაჩენის ერთი ბუნებრივი, კანონზომიერი გზა არის ფორმობრივ ყალიბთა მონაცვლეობა. ამის ტიპური მაგალითია „თბება“ ტიპის ზმნებში მომხდარი ფორმობრივი ცვლილება: წყვეტილში წარმოების უნიშნო ტიპი (წყვეტილის წარმოების I ყალიბი) შეიცვალა -**ი** სუფიქსიანი წარმოებით (წყვეტილის წარმოების II ყალიბით):

განვ-ტეფ	}	გავ-თბ-ი
გან-ტეფ		გა-თბ-ი
გან-ტფ-ა		გა-თბ-ა

ყალიბის შეცვლა ერთბაშად არ მომხდარა. ამ ჯგუფის ზმნათა უმეტესობაში ეს პროცესი დასრულდა (გავხმი, გავშრი, დავდნი...), მაგრამ პროცესი გრძელდება და ზოგ ზმნასთან პარალელური ვარიანტები დღესაც გვაქვს: **დავთვერი//დავთერი** („რჯულზედ **დავთვერით** ერთხელ“ – დ. კლდიაშვილი; „ძრიენაც **დავთერი**“ – ვაჟა-ფშაველა) ... კანონზომიერი სისტემური ცვლილების გათვალისწინება ნორმადარს ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებას გაუადვილებს. (დარგა//დარგო ტიპის ზმნათა შესახებ ამ ტიპის კვლევაც ჩატარდა...).

აქ ერთი საკითხიც დაისმის: ფორმა პარადიგმის წევრია – ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული...

არის შემთხვევები, როცა კონკრეტული ზმნური ფორმა განიხილება დამოუკიდებლად, უღლების პარადიგმის გაუთვალისწინებლად. ზემოდასახელებული დარგა//დარგო ტიპის ზმნებია ამის მაგალითი; პარადიგმის მონაცემთა გაუთვალისწინებლობამ -**ო** და -**ა** სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობის საკითხი დაასმევინა მკვლევარს... სწორედ ამ ზმნებზე მსჯელობისას კარგად წარმოჩნდება პარადიგმის როლი და მნიშვნელობა ნორმირების პროცესში...

ფორმათა გავრცელებულობის ფაქტორი. პარალელურ ენობრივ ფორმებზე მსჯელობისას ხშირად არგუმენტად ფორმათა გავრცელების ფაქტორს მოიხმობენ. სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისას ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. გავიხსენოთ ნორმათა დადგენის პრინციპები: „როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა

იქენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში...“.

ფორმათა გავრცელების პრინციპი არახალია. საკითხი ასე დგას: ზეპირმეტყველების მონაცემები ადეკვატურად აისახება თუ არა წერილობით წყაროებში?

კონკრეტული მაგალითი: XV- XVIII სს კახურ ისტორიულ საბუთების შესწავლის შედეგად გაკეთდა დასკვნა, რომ იმ პერიოდის კახურში ხოლმეობითის ორგანული წარმოება ფაქტობრივ აღარ არსებობს...

1999 წელს გამოიცა „დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის“. ეს არის აჯანყებულ კახელთა საჩივრები და დაკითხვის ოქმები. ზემომყვანილი დასკვნა პრინციპულად ეწინააღმდეგება ამ წიგნში წარმოდგენილი მასალის ჩვენებას: მე-19 საუკუნის შუა ხანებში ხოლმეობითი, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, ცოცხალია და აქტიურად გამოიყენება მთელი კახეთის ტერიტორიაზე... ამ ფაქტის ახსნა ხერხდება: ის ისტორიული საბუთები, რომლის ანალიზის საფუძვლებზეც იქნა გამოტანილი დასკვნა, როგორც ჩანს, იმ შინაარსისაა, რომ მრავალგზისი მოქმედების გამომხატველი ფორმების გამოყენება არ იყო საჭირო; ხოლო აჯანყების მასალები შინაარსობრივად მრავალგზისობის ფორმების გამოყენებას დაისაჭიროებს...

ეს ფაქტი იმის დასტურიც არის, რომ, როცა ამა თუ იმ მოვლენის გავრცელებაზე ანდა გამოყენების სიხშირეზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ საანალიზო მასალის შინაარსი, დანიშნულება...

ამრიგად: გავრცელებულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ წერილობითი წყაროების მიხედვით მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს რეალურ ენობრივ ვითარებას, ანუ მთავარია, „რას ამბობს ხალხი“.... ყოველ შემთხვევისათვის, ნორმათა დადგენისას გავრცელებულობის ფაქტორისათვის აშკარა უპირატესობის მინიჭება არ იქნებოდა გამართლებული...

ქეთევან დათუკიშვილი

მეტყველების ნაწილის განსაზღვრისათვის („თვით“ და „თვითონ“)

თვით და **თვითონ** ლექსიკური ერთეულები ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში განსაზღვრებით ნაცვალსახელებად არის მიჩნეული (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. არაბული...). ამგვარადვეა ისინი კვალიფიცირებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

თვით – განსაზღვრებითი ნაცვალსახელი: 1. იგივეა, რაც თვითონ (მნიშვ. 1). 2. გამოყენებულია სახელის მსაზღვრელად და გახაზავს მის მნიშვნელობას, – სწორედ ის (ეს, ეგ...). (ქეგლი).

თვითონ – განსაზღვრებითი ნაცვალსახელი: 1. აღნიშნავს, რომ პიროვნება ან საგანი დამოუკიდებლად არის მოქმედი ან მოქმედების ობიექტი, – თვით (მნიშვ. 1). 2. იგივეა, რაც თვით (მნიშვ. 2). (ქეგლი).

ამ ლექსიკურ ერთეულთა შინაარსის დასაზუსტებლად წარმოვადგენთ მსგავსი მნიშვნელობის შემდეგ სიტყვათა განმარტებებსაც: **თავად**, **თავისით**, **თავისთავად**.

თავად – ნაცვალსახ. 1. თვითონ. 2. ზმნს. ისეც, ისედაც.

თავისით – ზმნს. თავისი ნება-სურვილით, თვითონ, თავისთავად, სხვის დაუხმარებლად.

თავისთავად – ზმნს. თვითონ, თვით, თავისით, ძალდატანების გარეშე; სხვის ჩაურევლად.

წინააღმდეგობრივია ის, რომ ზმნისართი (**თავისით**, **თავისთავად**) განმარტება ნაცვალსახელის (**თვით**, **თვითონ**) მეშვეობით.

თავისით, თავისთავად, სხვის დაუხმარებლად, ძალდატანების გარეშე – ყველა ეს სიტყვა თუ შესიტყვება ვითარების მნიშვნელობას გამოხატავს. **თავისით** და **თავისთავად**, ბუნებრივია, არის კიდევ მიჩნეული ვითარების ზმნისართებად. რადგან მათი განმარტებები მოიცავს **თვით** და **თვითონ** ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობასაც, იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელნიც იმავე შინაარსს გამოხატავენ; მაშასადამე, **თვით** და **თვითონ** სიტყვებიც ვითარების ზმნისართებად უნდა მივიჩნიოთ.

წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები კონტექსტებში თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს:

ბავშვმა **თვითონ** დაწერა. // ბავშვმა **თავად** დაწერა. // ბავშვმა **თავისით** დაწერა.

ყველა მათგანს დაესმის კითხვა „როგორ?“

როგორ დაწერა? – **თავად** დაწერა. // **თავისით** დაწერა. // **თვითონ** დაწერა.

ცხადია, სიტყვას „თვითონ“ ზმნისართული შინაარსი აქვს და არა ნაცვალსახელისა. ამასთან, კითხვაც ზმნისართისა დაესმის (როგორ?).

ეს, რაც შეეხება შინაარსს, ფორმაცვალეების თვალსაზრისით კი **თვით** და **თვითონ** განიხილება, როგორც უბრუნველი სიტყვები, რომლებიც შეიცავენ სახელობითი ან მოთხრობითი ბრუნვის შინაარსს (ა. შანიძე, ა. არაბული).

ჩვენი აზრით, **თვით** და **თვითონ** არა მხოლოდ უბრუნველია, არამედ საერთოდ ფორმაუცვლელია. თუ შევადარებთ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს, ისინიც ბრუნვაუცვლელია, მაგრამ ფორმაუცვლელი არ არიან: დაირთავენ თანდებულებს (**შენზე, თქვენგან, ჩვენთვის...**). **თვით** და **თვითონ** კი არც ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ და არც თანდებულებს. მამასადაძმე, ისინი ფორმაუცვლელი სიტყვებია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე **თვითონ**-ის შეფასება სინტაქსური თვალსაზრისით. თუ მას ნაცვალსახელად განვიხილავთ, მაშინ უნდა ითქვას, რა სინტაქსური ურთიერთობაა ამგვარ წყვილებში: *თვითონ მოვიდა, თვითონ დაწერა* და მისთ. შეთანხმება გამორიცხულია (წინადადების ამ წევრებს საერთო კატეგორია არა აქვთ); მართვა ვერ იქნება, რადგან **თვითონ** ფორმაუცვლელია. რჩება მირთვა, რომელიც ფორმაუცვლელი სიტყვებისთვისაა დამახასიათებელი. თუ **თვითონ**-ს ზმნისართად, ე. ი. ფორმაუცვლელ სიტყვად, განვიხილავთ, მაშინ სინტაქსური კავშირის საკითხიც მარტივად გადაწყდება: ზმნა მიერთავს ზმნისართს (თვითონ).

როგორც ცნობილია, **თვით** მომდინარეობს **თავ** სიტყვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმიდან: თავ > თვ-ით. მოქმედებითი ბრუნვის ფორმა კი დერივაციის შემთხვევაში ხდება ზმნისართი და არა სახელი. შდრ: ნებით, ღამით... ეს ფაქტიც დამატებით მიუთითებს, რომ **თვით** ზმნისართია.

მაშასადამე, **თვით** და **თვითონ** სიტყვებს აქვთ შემდეგი ნიშნები, რომლებიც მათ ზმნისართად მიჩნევას უჭერს მხარს:

1. აქვთ ზმნისართული შინაარსი: თავად, თავისით, სხვის დაუხმარებლად, სხვის ჩაურევლად;
2. უპასუხებენ ვითარების ზმნისართის კითხვაზე: როგორ?
3. ფორმაუცვლელი სიტყვებია: არ დაირთავენ არც ბრუნვის ნიშნებს და არც თანდებულებს;
4. სინტაქსურ კავშირში (მირთვა) შედიან ზმნასთან.

ზემოთ განხილულია შემთხვევები, როდესაც **თვით** და **თვითონ** გამოყენებულია ზმნურ შესიტყვებებში (*თვითონ მოვიდა, თვითონ შეასრულა...*); ხშირია აგრეთვე **თვით** და **თვითონ** სიტყვათა გამოყენება სახელის წინ: *თვით პოეტი, თვით ბელადი... თვითონ მამამისი, თვითონ პრეზიდენტი...* ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ზმნისართის მნიშვნელობით, მათ აქ უფრო ნაწილაკის ფუნქცია აქვთ: **თვით პოეტი** = პოეტიც კი; **თვითონ პრეზიდენტი** = პრეზიდენტიც კი...

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

მუხრან მაჭავარიანი – ნოველა ლექსში

ნოველა მცირე ფორმის თხრობითი ნაწარმოებია, რომლის ჟანრული თავისებურება არაორდინარული ფაბულით გამოირჩევა, ხშირად – მძაფრითაც. კომპოზიცია ნოველისა მკაფიოა და მოქმედების თანამიმდევრულ განვითარებას ემყარება; თხრობა ლაკონიურობის ჩარჩოშია მოქცეული, თუმცა ამავედროულად მრავლისმთქმელია.

კიდევ უფრო საინტერესო ჩანს ლექსში გამჟღავნებული ნოველური თხრობა – როცა „ამბავი“ (სიუჟეტი) პოეტურად არის ხორცშესხმული. მუხრან მაჭავარიანის შემოქმედება ამ თვალსაზრისითაც იქცევს მკითხველის ყურადღებას.

ნოველა-ლექსების დიდი ნაწილი საქართველოს ისტორიას, საზოგადო მოღვაწეებს, თავდადებულ მამულიშვილებსა თუ მწერ-

ლებს უკავშირდება. სხვა შემთხვევაში ნოველის პერსონაჟი მკითხველისათვის უცნობი პირია – ერთი რიგითი მოქალაქე ადამიანთა სამყაროდან – თავისი განცდებითა და ბედისმწერლური ირონიით, ნიჭითა თუ „ტვინმცირობით“, ხასიათით, თვისებებით, ტკივილით, ღიმილით... მესამე ტიპი ნოველა-ლექსისა ავტობიოგრაფიულია, შესაბამისად, მთავარი პერსონაჟიც თავად მუხრანია.

როდის სცდება ლექსი თავის საზღვრებს? – როგორც ჩანს, მაშინ, როცა თხრობა-ინფორმაცია სჭარბობს ლირიკას, როცა „ამბავი“ მეტი დოზით შემოდის ლექსში, როცა მხატვრული ქსოვილი სიტუაციის აღწერაზე დაფუძნებული. შესაბამისად, ნოველა-ლექსების სტილიც უფრო „პრაგმატულია“ – ყოფითობისათვის დამახასიათებელი ლექსიკით გაწყობილი.

უსაზღვრებო პოეტურ შესაძლებლობებს უნდა ფლობდეს შემოქმედი, ნოველა რომ ლექსად დახატოს, ფერწერულ-გრაფიკული კომპონენტები რომ ერთმანეთს შეუხამოს, აღწერით-თხრობითი ტექსტი რომ პოეზიად განახორციელოს, ჩვეულებრივი ამბავი რომ ლექსობრივ ყალიბში მოაქციოს – და თანაც ისე, როგორც ეს მუხრანს ძალუძს – ძალდაუტანებლად, ბუნებრივად, ლაღად... ეს კიდევ ერთი გამორჩეული მახასიათებელია მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებისა.

ნოველა-ლექსის ერთ-ერთი ნიმუშია „ჭოლა“. მასში მოთხრობილია ჭოლას ცხოვრების ბოლო ეპიზოდები – დატუსაღება და გარდაცვალება ციხეში.

ამბავი იწყება თბილისის ბაქანზე: საკატორლოდ გამწესებულნი ნელ-ნელა ადიან ვაგონებში; ისმის ბორკილთა ჟღარუნის ხმა; ერთი თავადი ოხუნჯობს კიდეც; იქვე ქალი სიცილით ბუქნავს, თუმცა ამით ვერ იჩრდილება ის დიდი სევდა, ბაქანზე რომ სუფევს.

მუხრან მაჭავარიანი დიდოსტატურად ხატავს მატარებლის წინ აღბეჭდილ სურათს. ტექსტს, რომელიც ამ გულსაკლავ ვითარებას ასახავს, თან ახლავს მეტ-ნაკლებად ჩამორღვეული რითმულ-რიტმული ფონი, თუმცა სარითმო კვანძები მოზაიკურად მაინც დაჩნდება...

„აკლდა

ორილა წუთი ტფილისიდან მატარებლის გასვლას.

საკატორლენი აჰყავდათ ვაგონებში –

ჟღარუნებდა ბორკილი.

წარმოსადეგი თავადი მარილიანად ოხუნჯობდა,
სიცილით ბუქნავდა
კეთილშობილი მანდილოსანი
თევზივით მოქნილი.
– ნამდვილი კომიკოსი ხართ, ბატონო ტიტკო! –
(ღიმილით პასუხობდა კომპლიმენტს თავადი).
ირგვლივ საყურადღებო არაფერი ხდებოდა თითქო, –
კვლავ გულიანად კისკისებდა ქალი ტანადი.
დარეკეს ზარი –
აჩოქოლდა მატარებელი გრძელი –
ბაქანზე დარჩა
ყაყაჩოიანი ყმაწვილივით
ჭაღარა რკინიგზელი...“

ბორბლების აჩქარებულ მოძრაობასთან ერთად იცვლება ლექსის რიტმიც – გრადაციულ ფონზე ძლიერდება სათქმელის დინამიკურ-ექსპრესიული ელფერი... ასე გადაირბენს მკითხველის თვალწინ მატარებლის ფანჯრიდან ჭოლას თვალით დანახული სურათები – უკვე განსხვავებულ რითმულ ყალიბში მოქცეული, რასაც აგვირგვინებს საოცარი მეტაფორა „წამოცდენილი ცრემლების“ სახით:

„და აი, საცაა მის სოფელს გადასერავს
ეს მატარებელი – გველივით მსრბოლი.
ალაგ ღოდნაშოზე ყვავები სხედან,
ალაგ ბუხრებიდან ამოდის ბოლი.
თენდება.
სოფელში მამალმა იყივლა.
იღვიძებს, იღვიძებს სოფელი ჩემი.
ჭოლას არ სჩვევია ტირილი სიყრმიდან,
ო, არა,
ეს ისე, –
წამოსცდა ცრემლი...“

ციმბირში ღაფავს სულს ჭოლა და მომაკვდავს თავისი სოფელი ელანდება – ბავშვობა... დედა... ძმა...

„ციმბირი. კატორღა. სულს დაფავს ჭოლა.
მომაკვდავს ეჩვენება სოფელი თვისი:
დედა ძროხას წველის.
საყვარელ ბოჩოლას
ჭოლას უმცროსი ძმა ეძახის: თვიჩის!“

შემდეგ უკვე თბილისს ხედავს ჭოლა ბინდგადაკრული თვა-
ლებით: დილაა დედაქალაქში – ერთი ჩვეულებრივი დღე; წყნეთე-
ლი კაცი „მაწონს გაკყვირის“; ჭოლა – მონატრებული მშობლიურ გა-
რემოს – ციმბირიდან ესაუბრება მას. ძალიან ცოტა რამ უნდა ჭოლას
– დაბრუნება იმ ძველთბილისური ჩვეულებრივი დღეებისა, საოც-
ნებონი რომ ყოფილან თურმე:

„გამოჩნდა ტფილისიც.
ტფილისის ქუჩებში
დილაა.
წყნეთელი გაკყვირის: მაწონს –
ჭოლა ევაჭრება წყნეთელს ციმბირიდან:
რა ღირსო ქილა მაწონი, კაცო?“

სულისშემძვრელია ნოველა-ლექსის ფინალი: ციმბირი ღრმა
თოვლშია გახვეული; მეტაფორულად გაპიროვნებული მთვარე
„საფლავიდან დგება“; ჭოლა ვედარც თბილისს ხედავს და ვედარც
წყნეთელ კაცს... და საერთოდ – ვედარ ხედავს ჭოლა... სათქმელს
კიდევ უფრო ამძაფრებს მუხრანისეული მხატვრულ-სტილის-
ტიკური მახასიათებელი – წინადადების ბოლოს მოქცეული საკავში-
რებელი სიტყვა **რადგან**, რომელიც ამავედროულად სარითმო ერთე-
ულსაც ქმნის ერთ-ერთი პწკარის ბოლოკიდურ ზმნასთან – „ადგა“.

„ირგვლივ ციმბირია. ირგვლივ ღრმა თოვლია.
მთვარე საფლავიდან ადგა.
აქ არც ტფილისია, აქ არც წყნეთელია, –
ჭოლა
ადარ არი რადგან“.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება სხვა ნოველა-ლექსებიც პოეტის შემოქმედებიდან.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

შუმერულ-ქართველურ ენობრივ მიმართებათა შესწავლის ისტორიისათვის

ქართული ასირიოლოგიის ფუძემდებელი მიხაკო წერეთელი შუმერულ-ქართველურ ენობრივ მიმართებათა კვლევისადმი მიძღვნილი თავისი შემაჯამებელი სტატიის – „შუმერული და ქართული“ (წერეთელი 1959 - *Das Sumerische und das Georgische*, Bedi Kartlisa, No. 32–33: 77) – შესავალ ნაწილში წერდა: „როცა ჩემი ნაშრომი „სუმერული და ქართული“ 1912 წელს ქართულად ქართულ სალიტერატურო კრებულ „გვირგვინში“, ხოლო 1913–1916 წლებში ინგლისურად JRAS-ში გამოვაქვეყნე, არ ვიცოდი, რომ ჩემმა მეცნიერმა კ. კრამარჟმა (K. Kramář) შვიდი წლით ადრე დაბეჭდა იმავე შინაარსის სტატია სათაურით „O sumero-gruzinské jednotě jazykové“ (Kön.-böhm. Gesell. d. Wiss. Kl. f. Phil., Gesch. u. Philol., Sitzungsber. 1905, Nr.4). ამ სტატიის შესახებ მხოლოდ რამდენიმე წლის წინ შევიტყვე და, როცა ის წავიკითხე, სიამოვნებით აღმოვაჩინე, რომ მე ჩემი მეცნიერისგან დამოუკიდებლად – და მის მსგავსად შუმერული და ქართული სიტყვების, გრამატიკული ფორმებისა და სხვ. შედარების შედეგად – მივედი იმავე დასკვნამდე, რომ ქართული შუმერულის მონათესავეა. ცხადია, პირველად მომჩენი კ. კრამარჟია, თუკი აქ საერთოდ შეიძლება აღმოჩენაზე საუბარი“.

სამწუხაროდ, კ. კრამარჟის ნაშრომის გაცნობა ამ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ. როგორც რუსი მკვლევრის ვ. რებრიკის წერილში (რებრიკი 2004 – V. Rebrik, *Zur Frage der kartwelo-sumerischen Sprachfamilie*, *Journal of Ancient Civilizations*, 19) ვკითხულობთ, კრამარჟმა „ერთმანეთს არა მხოლოდ ცალკეული [შუმერული და ქართული] სიტყვები, არამედ გრამატიკული ელემენტებიც შეუდარა, მაგ.: შუმერულის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუბიექტის აწმყოსა

და ნამყოს -(e)ne და -eš ნიშნები – ქართულის სათანადოდ -ენ და -ეს სუფიქსებს“. უფრო ვრცლად საუბრობს კრამარჟის აღნიშნულ პუბლიკაციაზე ჰ. ფენრიხი: „მის (კრამარჟის – ლ. კ.) ნაშრომში, რომელიც სერიოზული მეთოდოლოგიური ხარვეზებით ხასიათდება, საინტერესო დაკვირვებათა გვერდით (შუმ. sar „წერა“ და ქართ. წერა...) შუმერულ სიტყვათა მცდარი წაკითხვები, სემიტური ნასესხობები და მისთ. დასტურდება. უწინარეს ყოვლისა თვალშისაცემია უსისტემო, ლექსიკურ ერთეულთა მხოლოდ გარეგნულ მსგავსებაზე დამყარებული დაკავშირებანი, სიტყვათა თვითნებური სეგმენტაცია (ქართ. შე-ნი „ნაშენი“, სა-მი, სე-რი, სუ-ლი, მა-ღ-ალ-ი) და შესადარებლად ლათინურ ნასესხობათა მოხმობაც კი (ქართ. ბატონი, კრამარჟით – პათონი, მეგრ. პატინი...). ყოველივე ეს... აუფასურებს კრამარჟის დასკვნას, რომ ქართული და შუმერული მონათესავე ენებია“ (ფენრიხი 1981 – *Das Sumerische und die Kartwelsprachen, Georgica*, 4: 89).

კრამარჟის „ნაშრომისგან განსხვავებით, რომელიც მალევე მიეცა დავიწყებას, წერეთლის ნაშრომები ფართოდ გახდა ცნობილი“ (რებრიკი 2004). როგორც შუმეროლოგი ჯ. შარაშენიძე აღნიშნავს, „შუმერულ-ქართული გენეტიკური ერთობის კვლევის დარგში ყველაზე მეტი მიხეილ წერეთელმა გააკეთა... [მის] ნაშრომში წარმოდგენილია შუმერული და ქართველური ენების ლექსიკის, მორფოლოგიური ფორმანტებისა და სინტაქსური წყობის შედარება“ (შარაშენიძე 1983 – შუმერები და მათი კულტურა: 33).

წერეთელმა 260 შუმერულ-ქართული (ქართველური) ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეული შეაპირისპირა და ამ შეპირისპირებათა საფუძველზე აღნიშნულ ენებს შორის კანონზომიერი ბერთათმესატყვისობების დადგენაც სცადა. მის მიერ გამოვლენილ დაკავშირებათაგან არაერთი მომდევნო ხანის მკვლევართაც (ჰ. ფენრიხი, ჯ. შარაშენიძე, რ. გორდეზიანი, ვ. რებრიკი...) გაიზიარეს, მაგ.: შუმ. ara „გზა, -გზის“ – ქართ. სი-არ-ულ-ი, რ-ებ-ა (სეგმენტაცია ყველგან წერეთლისეულია – ლ. კ.), შუმ. babbar „ბრწყინვალე, თეთრი“ – ქართ. ვარ-ვარ-ი, შუმ. bar „ვაკე“ – ქართ. ბარ-ი, შუმ. dag „საცხოვრებელი“ – ქართ. ძირი დეგ-, სა-დგ-ომ-ი, შუმ. dag „ბრწყინვალე“ – ქართ. დღე, მეგრ. დღა, ლაზ. დღა, ნდღა, სვან. ლა-დეღ, შუმ. di, de „სიარული“ – და-ვ-დ-ი-ვარ, შუმ. dug „თქმა, ლაპარაკი“ – ქართ. თქუ-მ-ა, სი-ტყ-ვ-ა, შუმ. dug „ჭურჭელი“ – ქართ. დოქ-ი, შუმ. eme „ენა“, შუმ. erim, erin, eren „ჯარი, ხალხი“ – ქართ. ერ-ი, შუმ. gana

„მინდორი, ველი“ – ქართ. ყან-ა, ლაზ. ყონ-ა, მეგრ. ყონ-ა, შუმ. gid „გრძელი“ – ქართ. გრძ-ელ-ი, ლაზ.-მეგრ. გინძ-ე, ლაზ. გუნძ-ე, შუმ. gígir „ურემი, ეტლი“ – ქართ. გო-გორ-ა < გორ-გორ-ა, შუმ. gur „ტრიალი, ბრუნვა“ – ქართ. გორ-ვა, შუმ. ḫar „ხარი“ – ქართ. ჯარ-ი, ხარ-ი, ლაზ.-მეგრ. ხოჯ-ი, სვან. ჳან [უნდა შევნიშნოთ, რომ არც პენსილვანიის შუმერულ ლექსიკონში (პშლ) და არც შუმერულის რომელიმე სხვა თანამედროვე ლექსიკოგრაფიულ წყაროში ḫar-ს „ხარის“ მნიშვნელობა არა აქვს. შუმერულად „ხარი“ არის gud. მაგრამ ḫar ბგერადობა „ხარის“ გამომხატველი GUD ნიშნის ერთ-ერთი წაკითხვა, ანუ ფონეტიკური მნიშვნელობაა. ამასთან, ღმერთების ჩამონათვალოთა სიაში წარმოდგენილია ღმერთი ḫar, რომელიც თითქოს მთვარის ღმერთის (ხარის ატრიბუტების მქონე) ვაჟთან იდენტიფიცირდება – იხ. ლამბერტი, *Reallexikon der Assyriologie*, 4, 1975: 112. ამდენად, კრამარჟისა და წერეთელსა მართლაც ჰქონდათ ḫar წაკითხვისათვის „ხარის“ მნიშვნელობის მიწერის გარკვეული საფუძველი. თუმცა მასალის სიმცირის გამო გადაჭრით რაიმეს თქმა მაინც ძნელია და საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს], შუმ. idim „მიძიმე“ – ქართ. მ-ძიმ-ე, enim, enem „სიტყვა“ – ქართ. ე-ნ-ა, ლაზ. ნე-ნ-ა, მეგრ. ნი-ნ-ა, სვ. ნი-ნ, შუმ. iti, itu, itud „მთვარე, თვე“ – ქართ. თთ-ვ-ე, ლაზ.-მეგრ. თუთა, სვან. დო-შდ-ულ, შუმ. kan „კარი“ – ქართ. კარ-ი, შუმ. kar-kar „ბრწყინვა“ – ქართ. კრ-ი-ალ-ი, სვან. ლი-კვრ-ე, შუმ. kid „კეთება, შენება“ – ქართ. კეთ-ებ-ა, შუმ. kud „მოჭრა“ – ქართ. კოდ-ვ-ა, კვეთ-ა, მეგრ. კვათ-უ-ა, შუმ. kuš „დაღლა, ქოშინი“ – ქართ. ქოშინ-ი, შუმ. lah „ცემა, რტყმა“ – ქართ. ლახ-ვ-ა, შუმ. lik „ძალი“ – ქართ. ლეკვ-ი, ლაზ. ლაკი, ლაჭი, შუმ. mud „გაჩენა“ – ქართ. მუტ-ელ-ი, ზად-ებ-ა (1915; 1959 წლის სტატიაში მხოლოდ მეორე ფორმადაა მოცემული), შუმ. sar „წერა“ – ქართ. წერ-ა, ლაზ.-მეგრ. ჭარ-, მეგრ. ჭარ-უ-ა, შუმ. sug „წყლის სიღრმე, ოკეანე, ჭაობი“ – ქართ. ზღ-ვ-ა, ლაზ. ზულ-ა, ზოდ-ა, მეგრ. ზღ-ვ-ა, სვან. ძულ-ჷ-ა, შუმ. ud „მზე, დღე, დრო, როცა“ – ქართ. ოდ-ე-ს, შუმ. uz „თხა“ – ქართ. ვაც-ი, შუმ. zu „ცოდნა“ – ქართ. ვ-ი-ც-ი, შუმ. zur „ზრუნვა“ – ქართ. ზრ-უნ-ვ-ა და სხვ. წერეთელმა (კრამარჟისგან დამოუკიდებლად) დააკავშირა შუმერულისა და ქართულის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუბიექტის ზემოთ მოხმობილი ნიშნები, შუმერულის სულიერ არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ნიშანი -ene და ქართულის მრავლობითობის -ნ სუფიქსი, შუმერული უარყოფის ნაწილაკი nu

და ქართული ნუ, ყურადღება მიაქცია იმას, რომ შუმერული u ხმოვანი ქართული უ ხმოვნის გარდა o ხმოვანსა და ვა, ვე, ვი კომპლექსებსაც შეესატყვისება, რომ ნათესაობითში დასმული სახელი შუმერულში ისევე დაირთავს სხვა ბრუნვათა ნიშნებს, როგორც ქართულში (მაგ. შუმ. dingir-a-ka-ra „ღვთისას“ – ქართ. კაც-ისა-სა; თუმცა ამ მხრივ პირველობა, როგორც ჩანს, ფ. ბორკს უნდა ეკუთვნოდეს, იხ. Frans Plank, (Re-)Introducing Suffixaufnahme, გვ. 13 et seq., წიგნში: Double Case. Agreement by Suffixaufnahme, ed. by Frans Plank, New York-Oxford, Oxford University Press, 1995) და ა. შ. შესადარებელ ენათა გრამატიკული სისტემების შეპირისპირების შემდეგ წერეთელი ასკვნის: „ამრიგად, შუმერული და ქართული [ენობრივი სისტემის] ყოველ ნაწილში გასაოცარ მსგავსებას ავლენენ... ბუნებრივია, ასევე არსებობს ბევრი რამ, რაც მათ სრულებით განასხვავებს. მაგრამ ის, რაც მათ საერთო აქვთ, ჩემი აზრით, საშუალებას გვაძლევს, ისინი ერთი საერთო ენობრივი ძირიდან მომდინარედ მივიჩნიოთ“ (წერეთელი 1914: 35). „შეცდომები, რომლებიც ამ წერილში, სავარაუდოდ, დიდი რაოდენობით გვხვდება, გარდაუვალი იყო, ძირითადად იმიტომ, რომ არა მხოლოდ შუმერული, არამედ თავად ქართულიც კი და კიდევ უფრო მეტად მეგრული, ლაზური, სვანური და სხვა კავკასიური ენები ჯერ კიდევ ძალიან ცუდად არის შესწავლილი“ – აღნიშნავდა წერეთელი ინგლისურად გამოქვეყნებული ნაშრომის დასკვნით ნაწილში (წერეთელი 1916: 55) და მის მიერ წამოყენებული „ჰიპოთეზის საბოლოო ტრიუმფისათვის აუცილებლად“ მიიჩნევდა „ქართული ჯგუფის ენათა მომდევნო კვლევას“ და „ღრმა ცოდნას“.

1957 წელს „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნებულ „მცირე შენიშვნაში“ წერეთელი წერდა: „მსურს, კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ერთადერთი ენა, რომელიც ქართულის მონათესავე ჩანს, შუმერულია. მაგრამ ეს ნათესაობაც შორეულია, არა ისეთი, რომ ქართულ ენათა ჯგუფში (ქართული – ჭანური – მეგრული – შუმერული) შუმერულის ჩართვა შეგვეძლოს. ამიტომ აბსურდი იქნებოდა იმის თქმა, რომ შუმერები ქართველთა „წინაპრები“ იყვნენ... შუმერთა და ქართველთა უმველესი კავშირები, მათი ენების ნათესაობა და მისთ. გვავარაუდებინებს, რომ ოდესღაც უარსებია ხალხთა ერთ ჯგუფს, რომელიც მოსახლეობდა კავკასიაში ქართველთა ამჟამინდელი განსახლების არეალში და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში. მათი ენები ერთმანეთის მონათესავე გა-

ხლდათ, მაგრამ ისინი არ ენათესავებოდნენ ხეთურს, ურარტულსა და სხვ. შუმერები, რომლებიც ხალხთა ამ ჯგუფში შედიოდნენ, სამხრეთისკენ დაიძრნენ და სამხრეთ შუამდინარეთში თავიანთი ახალი სამშობლო ჰპოვეს..." (წერეთელი 1957). არსებითად იგივეა გამეორებული „ბედი ქართლისაში“ მის მიერ მოგვიანებით – 1959 და 1966 წლებში – გამოქვეყნებულ კიდევ ორ წერილშიც.

ფენრიხის აზრით, მ. წერეთელს „შეუდარებლად უკეთესი წანამდღვრები ჰქონდა ყველა იმ მკვლევართან შედარებით, რომელთაც ამ საკითხზე მუშაობა მოუხდათ, ვინაიდან ის იცნობდა როგორც ქართველურ ენებს, ისე ლურსმულ ტექსტებსაც. მისგან მომდინარეობს გარკვეული რაოდენობა საყურადღებო შუმერულ-ქართული ლექსიკური შეპირისპირებებისა, რომლებიც დღემდე უდავოდ მიიჩნევა (შუმ. agar „ყანა, მინდორი“ და ქართ. აგარა [ქართული აგარა, აგარაკი სომხურიდან შეთვისებულად ითვლება, იხ. გიგინეიშვილი 2016: 7 – ლ. კ.], diḫ „ქვა“ – ქართ. თიხა, ზან. დიხა [შუმერული diḫ სიტყვა ამ მნიშვნელობით პშლ-ში არ იძებნება – ლ. კ.], შუმ. nu და ქართ. ნუ...). მაგრამ არც მისი ნაშრომია თავისუფალი მცდარი წაკითხვებისგან, ცალკეულ სიტყვათათვის მიწერილი მცდარი მნიშვნელობებისა და გაუმართლებელი დაკავშირებებისგან... ამ ნაკლოვანებათა გამო, რომლებიც ამ, ყოველივე ამის მიუხედავად მთლიანობაში მაინც საკმაოდ ღირებულ ნაშრომს (recht verdienstvolle Arbeit) ახასიათებს, შუმეროლოგიაში შუმერულისა და ქართულის ნათესაობის თაობაზე ჰიპოთეზის წინააღმდეგ არსებულ უარყოფით წინასწარგანწყობათა აღმოფხვრა ვერ მოხერხდა“ (ფენრიხი 1981: 89).

მითითებული აგარა, აგარაკ-ი სიტყვის გარდა წერეთლისეულ შეპირისპირებებში აშკარა ან სავარაუდო ნასესხობებზე დაყრდნობის სხვა შემთხვევებიც ვლინდება: მაგ., ქართ. ვან-ი, კერა, ოქრო, ციკან-ი (ამ სიტყვას ნასესხობად თვლის ბ. გიგინეიშვილი – იხ. მისი – ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ისტორიული განსახლების პრობლემა ენობრივ მონაცემთა შუქზე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წლის 7 ივნისი, №23 (4234))... liḫ „მალის“ აღმნიშვნელი ლოგოგრამის ერთ-ერთი წაკითხვაა, მაგრამ ასეთი სიტყვა ამ მნიშვნელობით პშლ-ში არ გვხვდება; პშლ-სა თუ სხვა თანამედროვე ლექსიკონებში არც შუმ. bar-ს უდასტურდება „დაბლობის, ვაკიანი ადგილის“ მნიშვნელობა და, ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართ. ბარი სულაც არაბულიდან მიიჩნევა შემოსულად (იხ. გიგინეიშვილი 2016: 42); არ

არის გამორიცხული, ასევე ბერძნულიდან იყოს შემოხიზნული ქართ. დოქ-იც (შდრ. ბერძნ. დიχ-ჩ , ჩ „სათავსი, ჭურჭელი“); ქართ. ვეშაპ-ი და სომხ. ვიშაპ ლექსემები ირანულიდან მომდინარეობს (იხ. გიგინეიშვილი 2016: 160) და – არა შემერულიდან, როგორც ამას წერეთელი ვარაუდობდა, ხოლო სვან. ხოლა „ცუდი, უვარგისი“ (რომელსაც ის შუმ. ღჷლ „ცუდი, ბოროტი“ სიტყვას უკავშირებს), დიდი ალბათობით, წარმოშობით სტატიკურ ზმნას წარმოადგენს (გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 71, 1958). საერთო ჯამში, მის ნაშრომებში წარმოდგენილ შეპირისპირებათა აბსოლუტური უმრავლესობა, სემანტიკურ და ფორმალურ მიზეზთა გამო, მიუღებლად მიგვაჩნია. აქედან გამომდინარე, გაგვიჭირდება დავეთანხმოთ ჯ. შარაშენიძის დასკვნას, რომ, „თუ ამ თვალსაზრისით [თუ რამდენად კანონზომიერია შესადარებელ სიტყვათა ფუძეების ფონეტიკური, ბგერითი მსგავსება, მათი ურთიერთშესაბამისობა] გავსინჯავთ მ. წერეთლის მიერ დამუშავებულ მასალას, აღმოჩნდება, რომ მასში წარმოდგენილი შემერული და ქართველური სიტყვების უმეტესი ნაწილის ფუძეთა ფონეტიკურ-შინაარსობლივი შესაბამისობა სრულიადაც არ იწვევს ეჭვს“ (შარაშენიძე 1983: 33-34). მეორე მხრივ, გასაზიარებელია ასირიოლოგ ნ. სამსონიას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, „ის, რაც მიხეილ წერეთელმა გააკეთა, იმ დროისათვის სრულიად საკმარისი იყო ამგვარი ჰიპოთეზის წამოსაყენებლად. დღეს თუ ამ ჰიპოთეზას არსებობის უფლება აქვს, ეს მიხეილ წერეთლის დიდი დამსახურებაა. პრობლემას დასაბუთება, ან უარყოფა სჭირდება. დასმულ კითხვას დადებითი პასუხი გაეცემა, თუ უარყოფითი, მეცნიერებისათვის ორივეს ერთნაირად ღირებული მნიშვნელობა ექნება“ (სამსონია, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი და ასირიოლოგია, 2005: 50).

წერეთლის ნაშრომთა შეფასებისას სკეპსისი ჭარბობს რებრიკის აღნიშნულ წერილში: „ახლოით განჩხრეკისას წერეთლის ლექსიკური შეპირისპირებებიდან ბევრიც არაფერი რჩება, ამასთან, შუმერულ მასალას ის ძირითადად მხოლოდ ქართულის მონაცემებს უდარებს და იშვიათად – დანარჩენი სამი ქართველური ენისას, ძალზე იშვიათად მიმართავს ის რეკონსტრუირებულ საერთოქართველურ ფორმებს. მისი (ქართული და ასევე შემერული) ეტიმო-

ლოგეები ხშირად თვითნებურია, და ის ხშირად ადარებს ერთმანეთს მხოლოდ ერთი თანხმობისგან შემდგარ ძირებს“.

შუმერულ-ქართველურ მონაცემთა შეპირისპირებისას რეკონსტრუირებულ ფორმათა გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებდა ვიქტორ ხრისტიანიც, რომლის ნაშრომიც „Die Herkunft der Sumerer“ (Sitzungsberichte der Osterr. Akad. der Wissen. Philos.-Hist. Klasse, 236 Bd., 1. Abhandlung, Wien, 1961) ჩვენთვის ხელმძივწვდომელი დარჩა. თავად ხრისტიანი, როგორც ეს მისი სტატიიდან რებრიკის წერილში მოყვანილი ციტატებით ირკვევა, შუმერულს კავკასიურ ენებთან აახლოებდა, რომელთაგანაც მასთან „უმნიშვნელოვანეს კავშირებს“, მისი აზრით, „სამხრეთდასავლური ჯგუფი ავლენს, რომელიც ქართულს, მეგრულს, ლაზურსა და სვანურს მოიცავს“. ხრისტიანს პირველს შეუპირისპირებია ერთმანეთისთვის შუმერულის ნაზმნარი არსებითი სახელის მაწარმოებელი -ა ქართულის -ა და მეგრულის -ა საწყისის მაწარმოებელი სუფიქსებისათვის...

შუმერული კავკასიურ და მათ შორის ქართულ ენათა მონათესავედ მიაჩნდა ფ. ბორკსაც, რომლის ნაშრომებს (Das Sumerische, eine kaukasische Sprache//Orientalistische Literaturzeitung, Bd. XXVII, Leipzig, 1924 და Weitere Beiträge zur Genealogie des Sumerischen, Archiv für Orientforschung, Bd. 11, h. 5/6, Berlin, 1936-1937) ასევე ვერ გავეცანით.

ის, რომ „შუმერულსა და კავკასიის რიგ ენას შორის დიდი სტრუქტურული მსგავსებაა“, სადავოდ არ მიაჩნდა რუს აღმოსავლეთმცოდნე ი. დიაკონოსაც, მაგრამ ის იმავდროულად აღნიშნავდა, რომ „რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ეს (სტრუქტურული მსგავსება – ლ. კ.), ნათესაობა ვერ დამტკიცდება, სანამ არ გამოვლინდება მასალობრივი სიახლოვეც“ (დიაკონოვი 1967 – Языки Древней Передней Азии: 84).

დიაკონოვთანვე ვკითხულობთ: „იყო არაერთი ცდა შუმერულის სხვა ენებთან მასალობრივი თვალსაზრისით დაკავშირებისა (ასე მაგალითად, ფ. ჰომელმა შუმერულსა და ურალურ-ალთაურ ენებს შორის მსგავსი ბერადობის არაერთი სიტყვა გამოავლინა; მაგრამ მისი შეპირისპირებების ერთი ნაწილი შუმერულ სიტყვათა მცდარ წაკითხვასა ან განმარტებაზე იყო დამყარებული, ხოლო მეორე – გარეგნულ მსგავსებაზე, რასაც არ ჰქონდა სისტემური ხასიათი); ამასთან, ის ცალკეულ ურალურ-ალთაურ ენათა ფაქტებს ადარებდა,

და არ ცდილობდა საერთო პრაფორმების აღდგენას (შენიშვნა: შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში საქმე ძველი კულტურული ტერმინების მიგრაციასთან გვეკონდეს). ამავე ნაკლოვანებათა უმეტესი ნაწილი დამახასიათებელია მ. წერეთლის შუმერულ-ქართულ შეპირისპირებათათვისაც“ (იქვე, 84).

შუმერულ-ქართველურ მიმართებებს შემდეგშიც არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა.

1981 წელს ამ საკითხს შეეხო გერმანელი ქართველოლოგი ჰ. ფენრიხი. ჟურნალ „გეორგიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში „შუმერული და ქართველური ენები“ მან მიმოიხილა კ. კრამარჟის, ფ. ბორკის, ვ. ხრისტიანისა და მ. წერეთლის ნაშრომები, მიუთითა შუმერულ და ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიურ ნიშნებზე, გამოყო შუმერულში სავარაუდო დრავიდული სუბსტრატის ნაშთი, აქადური და შესაძლო ნახურ-დაღესტნური ნასესხობები, შეაპირისპირა შუმერულ-ქართველური საკუთარი სახელები და წარმოადგინა 200-მდე ლექსიკური დაკავშირება, რომელთა ნაწილიც ჯერ კიდევ კრამარჟსა და წერეთელთან გვხვდება. საკუთრივ ფენრიხისეული დაკავშირებებიდან საყურადღებოა: შუმ. -eše, -še „მიწვევითი ბრუნვის სუფიქსი“ – ქართ. -ში, შუმ. gum „დამსხვრევა, გასრევა“ – ქართ. გუმ-ა, მეგრ. გამ-უ-ა [ეს მეგრული ფორმა ამ მნიშვნელობით ლექსიკონებში არ ჩანს], შუმ. kar-kar „(და)ბერვა“ – ქართ. ქარ-ი, ქრ-ოლ-ა, შუმ. lahta „ლუდის როფი“ – ქართ. ლახუტი-ი „პატარა ჭური“ [აქ საეჭვოა ის, რომ შუმ. სიტყვის სრული ფორმაა lahtan, ხოლო ლახუტში თითქოს გამოიყოფა სახელის კნინობითი ფორმის მაწარმოებელი -უტ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლახ- ძირი „ჭურის“ მნიშვნელობით სხვაგან არ გვაქვს], შუმ. lil „სულელი“ – ქართ. ლელე, შუმ. lud „თასი, ჯამი“ – ქართ. (საბა) ლოდა „დიდი ზადია“, შუმ. madam „სიუხვე, უხვი“ – ქართ. მატ-ებ-ა, სვან. ლი-მტ-ე, შუმ. mu- „ზმნისწინი, სააქეთო ორიენტაციის მაჩვენებელი“ – ქართ. მო-, მეგრ.-ლაზ. მო-, შუმ. nağa „როდინი, სანაყი“ – ქართ. ნაყ-ვ-ა, შუმ. sub „წოვა“ – ქართ. წოვ-ა, მეგრ. წუ-ალ-ა, ლაზ. წუფ-ს, სვან. ენ-წოზ-ე, შუმ. tab „დაწყება“ – ქართ. თავ-ი, მეგრ.-ლაზ. თი, სვან. შდა, შდაჲ, შუმ. tuku „რხევა“ – ქართ. ტოკ-ვ-ა, შუმ. šal „ახალგაზრდა კაცი“ – ქართ. წულ-ი, სვან, ჭუმ, შუმ. ubur „მკერდი“ – ქართ. უბე, მეგრ.-ლაზ. უბა, შუმ. ul „ელვარება, ბრწყინვა“ – ქართ. ელ-ვ-ა, მეგრ. ვალ-უ-ა, ლაზ. ო-ვალ-უ, სვან. ჰელ და სხვ. ამ შეპირისპირებათა საფუძველზე ფენ-

რიხმა შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის კანონზომიერი ბგერათფარდობების გამოვლენაც სცადა. სტატიის დასკვნით ნაწილში მკვლევარი აღნიშნავს: „ცხადია, წინდაუხედაობა იქნებოდა, შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის ნათესაობის შესაძლებლობა წინასწარვე რომ გამოგვერიცხა. მით უმეტეს, რომ ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას არც გააჩნია კრიტერიუმები არანათესაობის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, შედარებითი გეოგრაფიული სიახლოვე ამ ენათა მატარებელი ხალხებისა, რაც წარსულში კიდევ უფრო მჭიდრო უნდა ყოფილიყო იმის გათვალისწინებით, რომ ქართველური ენები უფრო სამხრეთითაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, არ ეწინააღმდეგება წინაისტორიულ ხანაში ამ ენათა კონტაქტების შესაძლებლობას. მაგრამ ასევე ნაჩქარევი იქნებოდა გვერწმუნა, რომ წარმოდგენილი მასალით თითქოს მტკიცდებოდეს შუმერულის ნათესაობა ქართველურ ენებთან. ეს მით უფრო, რომ შუმერული ენის შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი პასუხაუფცემელი კითხვაა. ჯერ მხოლოდ ის ფაქტი, რომ შუმერულ სიტყვათა მრავალი წაკითხვა საკამათოა და შუმერული ლექსიკის დიდი ნაწილი მხოლოდ შუმერულ-აქადური ლექსიკონებიდან მომდინარეობს და არა ტექსტებიდან, ნათლად აჩვენებს, თუ რაოდენ მცირეა ის საფუძველი, რომელსაც შუმერული სიტყვათმარაგის ჩვენეული ცოდნა ემყარება. და მაინც, შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის აქამდე გამოვლენილი მსგავსებანი საკმაოდ საინტერესოა, თუმცა ისინი მხოლოდ ძალზე ფრთხილი და ძალზე პირობითი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ჩვენ ძალზე კარგად ვაცნობიერებთ ამ მტკიცებულებათა პირობითობას, როცა ვამბობთ, რომ ზევით წარმოდგენილი მასალა საშუალებას იძლევა წამოყენებულ იქნეს ჰიპოთეზა, რომელიც განხილვის ღირსია: ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც პროტოქართველთა „ერთი ნაწილი ევფრატის დინების მიმართულებით დაიძრა და სამხრეთ შუამდინარეთში, შუმერის მიწაზე დასახლდა, სადაც მკვიდრ დრავიდულენოვან მოსახლეობას შეერწყა, რის შედეგადაც მათმა ენამ დრავიდულის ძლიერი ზეგავლენა განიცადა და მნიშვნელოვნად გარდაიქმნა. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, შუმერული ქართველური ენა უნდა იყოს“ (ფენრიხი 1981: 100). ფენრიხის აზრით, „შუმერული უფრო დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს მეგრულსა და ლაზურთან, ვიდრე სვანურსა და ქართულთან“. ამის საბუთად მას მოჰყავს რამდენიმე შუმერულ-ზანური გრამატიკული,

ლექსიკური და ფონეტიკური „იზოგლოსა“, მაგ.: შუმ. -ak „ნათესაობითის ნიშანი“ – მეგრ.-ლაზ. -ქ, ხმოვანშესატყვისობა შუმ. a : მეგრ.-ლაზ. ა : ქართ.-სვან. ე (შდრ. შუმ. sar „წერა“ : მეგრ. ჭარ-უ-ა, ლაზ. ო-ჭარ-უ, ქართ. წერ-ა), თანხმოვანთკომპლექსების ერთგვარი სუპერაცია, მაგ.: შუმ. gibil „ცეცხლი“ – მეგრ. გიბ-უ-ა, ლაზ. ო-გიბ-უ, ქართ. გბ-ოლ-ვ-ა, სვან. ლი-ჯაბ, შუმ. gid „გრძელი“ – მეგრ. გირძ-ე, ლაზ. გინძ-ე, ქართ. გრძ-ელ-ი და ა.შ. სტატიის დასასრულს მკვლევარი დასძენს, რომ „ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჰიპოთეზა შემერული ენის ქართველურ ენათა ოჯახისადმი კუთვნილების თაობაზე გამოწვლილვით შესწავლას საჭიროებს“ (იქვე: 101).

იმის მიუხედავად, რომ ფენრიხმა არაერთი ახალი და ძალზე საინტერესო შუმერულ-ქართველური პარალელი გამოავლინა, შესადარებლად მოხმობილ შუმერულ ლექსიკურ თუ გრამატიკულ მორფემათა უმეტესობას არა მხოლოდ ქართულის, არამედ სამივე ქართველური ენის მონაცემები დაუკავშირა და მათი შეპირისპირების საფუძველზე კანონზომიერ ბეერთშესატყვისობათა დადგენასაც შეეცადა, წარმოდგენილი მასალა მაინც ტოვებს კითხვებს. ასე მაგალითად, ვერც კშლ-ში და ვერც სხვაგან ვერ აღმოვაჩინეთ ფენრიხის მიერ დამოწმებული შუმ. dudu „თავის ქალა“ (– ქართ. დუდ-ი „ქათმის ბიბილო“, მეგრ.-ლაზ. დუდ-ი „თავი“, სვან. დუდ-ულ „ძუძუსთავი“), dalil „ძალა, დაცვა“ (– ქართ. ძალა), dun „მიწა, ნიადაგი“ (ქართ. დონ-ე), gasu „მატყლის გაჩეჩა“ (– ქართ. ქს-ოვ-ა, მეგრ. რშუ-ალ-ა, ლაზ. ო-შვ-ალ-უ, ო-შ-უ, სვან. ლი-ჯიშ), gudu „ლაპარაკი, ხმოზა“ (– ქართ. გოდ-ებ-ა), kisi „დამის ქოთანი“ (– ქართ. კეც-ი, მეგრ. კიც-ი, ლაზ. კიც-ი), kiši „ჭურჭელი“ (– ქართ. ქიშა „საწდე“), us, uš „ავსება“ (– ქართ. სა-ვს-ე, მეგრ. ე-ფშ-ა, ლაზ. ო-ფშ-ა, სვან. გჷემი) და სხვ.; კშლ-ში არ იძენება არც „უდაბნოს“ აღმნიშვნელი შუმ. ar, are, ara ფორმები (დაკავშირებული ქართ. არე-სთან) – თუმცა „სტეპის“ მნიშვნელობით მოცემულია ფორმა aria; ვითომ „ცეცხლის“ გამომხატველი შუმ. gibil (შედარებული ქართველურ ფორმებთან: ქართ. გბ-ოლ-ვ-ა, მეგრ. გიბ-უ-ა, ლაზ. ო-გიბ-უ, სვან. ლი-ჯაბ) განმარტებულია როგორც „სახმელებელი, ფითილი“, ხოლო ḫud „ბრინჯაოს კეტი“ (– ქართ. კვედ-ა) – როგორც „ბრინჯაოს ისრისპირი“; მეორდება ჯერ კიდევ კრამარჟთან და წერეთელთან დადასტურებული და გვხვდება ასევე საკუთრივ „ფენრიხისეული“ აშკარა და შესაძლო ნასესხობებიც – აგარა, გუდა, ვანი, დოქი, ციკანი, ბარიბარი, ზორვა, ლალი, სორო,

(აქარ.) ფათერი; ფენრიხის მიერ წარმოდგენილ სხვა შეპირისპირება-თაგან არაერთს კი აშკარად აკლია დამაჯერებლობა (ასე მაგალითად, გვიჭირს გავიზიაროთ შემდეგი დაკავშირებანი: შუმ. gaba „მკერდი“ – ქართ. ე-გებ-ებ-ა [ძვ. ქართ. მი-გებ-ებ-ა („შეხვედრა“) უფრო მარტივ მი-გ-ებ-ა („პასუხის გაცემა, მიბრუნება, მიხეთქება“) ფორმაზე უნდა იყოს ნაშენი], შუმ. masa „კალათი“ – ქართ. მას-ე, მეგრ. მოს-ა, ლაზ. მოს-ა „ბადე“ [მნიშვნელობებს შორის სხვაობის გარდა აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ შუმ. სიტყვის სრული ფორმაა masab] და ა. შ.).

შუმერულ-ქართველური პარალელები 3. ფენრიხმა 1994 წელს დაბეჭდილ თავის „ძველი ქართული ენის გრამატიკაშიც“ შეიტანა, ოღონდ ამჯერად – საფუძვლიანად გამოხშირული სახითა (94 დაკავშირება 198-ის ნაცვლად!) და სულ სხვაგვარი დასკვნითი კომენტარით: „ეს მსგავსებანი ლექსიკასა და მორფოლოგიურ ინვენტარში სვამენ კითხვას მათი მიმართების შესახებ. შესაძლებელია აქ საქმე გვექონდეს ქართველური სუპერსტრატული გავლენის შედეგად შუმერულში შესულ ნასესხობებთან“ (ფენრიხი 1994: 260). 2012 წელს მკვლევარმა გამოსცა წიგნი „ქართული ენა“, რომლის პირველი, ძველი ქართული ენისადმი მიძღვნილი, ნაწილიც თითქმის უცვლელად იმეორებს მისსავე „ძველი ქართული ენის გრამატიკას“, მაგრამ შუმერულ-ქართველური პარალელებისადმი მიძღვნილი მონაკვეთი აქ უკვე ამოღებულია. შესაძლოა – 1994 წელს გამოცემულ მის წიგნზე ბელგიელი ქართველოლოგის მიშელ ვან ესბროკის რეცენზიაში გამოხატული იმ მიუღებელი პოზიციის გავლენითაც, რომლის თანახმად, თითქოს „ენათმეცნიერს გაუჭირდება გაიგოს, თუ რატომ დაუსართა მან [ფენრიხმა – ლ. კ.] ნასესხობებს [ძველ ქართულში] მეგრული, ნახურ-დაღესტნური, არაბული, ებრაული, სირიული, ირანული, ბერძნული და სომხური ენებიდან შესაძლო ნასესხობები დრავიდულიდანაც და ასევე წერეთლის შუმერული ვარაუდები“ (Oriens Christianus, 79, 1995: 282). ასეა თუ ისე, ამაგდარი გერმანელი მკვლევარი ამ თემას, სამწუხაროდ, აღარ მიბრუნებია, მათ შორის – არც 2016 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „ქართველები. ფუძე ენა. კულტურა. სასიცოცხლო სივრცე“, რომლის უმეტესი ნაწილიც რამდენადაც მრავალრიცხოვან (541), იმდენადვე საეჭვო ქართველურ-დრავიდულ დაკავშირებებს ეთმობა...

შუმერულ-ქართველურ ენობრივ მიმართებათა საკითხს რამდენჯერმე შეეხო ჯ. შარაშენიძე. მან რამდენიმე ახალი პარალელიც წარმოადგინა: შუმ. apin „გუთანი“ – ქართ. აპან-ი, აპნ-ის-ი „იანვრის ძველი დასახელება“, შუმ. dub „თიხის ფირფიტა“ – ქართ. დაფა, შუმ. gur „საწყაო ერთეული“ – ქართ. (ლექს.) გორო „საწყაო ერთეული“, ħara „დიდი ჭურჭელი, საცავი“ – ქართ. ხარო „მარცვლეულის შესანახი ორმო, ან ხის ჭურჭელი“, mar „ბარი“ – ქართ. ბარ-ი, NIG „ერთგვარი ჭურჭელი“ – ქართ. (ლექს.) ნიგა, (ქვ. იმერ.) ნუგე „ხის ამოგულული, ცილინდრული ფორმის ჭურჭელი“, მეგრ. ნიგა, ნგგა „ვედროს მსგავსი ხის ჭურჭელი“, sila „საწყაო ერთეული“ – ქართ. (ქართლ.) სილა-ჭურჭელი „მარცვლეულით, აგრეთვე ფქვილით ზუსტად პირამდე სავსე ჭურჭელი“, kaš „ლუდი“ – ქართ. ქაშქის წყალი (ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი) „წუენი ქერის კორკოტისა“, (საბა) „ნადუღარი ქერის წვენი“ და სხვ. (შარაშენიძე 1983, 1997, 2008). ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოხმობილ ქართულ სიტყვათაგან რამდენიმე ნასესხობაა: აპანი/აპნისისათვის შდრ. ზოროასტრული კალენდრის მერვე თვის ავესტური და საშუალო სპარსული დასახელებანი, შესაბამისად, Āpām და Āpān (ადრეული სშ), Ābān (გვიანდელი სშ), რაც ქართულად „წყლებს“ ნიშნავს, ხოლო ქაშქისათვის წყარო სპარსული kashk „ქერის ნახარში“ უნდა იყოს. ვაგლახ, ვერც ქართ. სილა-ს – სხვათა შორის, ასევე სპარსულიდან მომდინარეს (silī „ალიყური“) – ექნება რაიმე საერთო შუმ. sila-სთან: ქართული ენის დიალექტებში ჭურჭელთან მიმართებით ნახმარი სიტყვა „სილაგადასმული“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჭურჭელში პირამდე ჩაყრილი ხორბალი, ფქვილი და მისთ. გაშლილი ხელით, სილით, არის თავმოსწორებული! და, დიდი ალბათობით, არც დაფა უნდა იყოს ძირეული ქართული სიტყვა – შდრ. არაბ. daff „ფიცარი“, ასევე daffa-t „წიგნის ყდა“ (გიგინეიშვილი 2016: 114).

შარაშენიძის აზრით, „ზემოთ მოყვანილი საზიარო სიტყვების არსებობა არ უნდა იყოს გაპირობებული ქართველური და შუმერული ენების გენეტიკური ურთიერთობით, რადგანაც მათი ლექსიკური მასალის შეპირისპირება არ ავლენს ამგვარი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ კანონზომიერ და სისტემურ ფონემურ შესატყვისებს. მკვლევრების მიერ დღემდე გამოვლენილი ამგვარი შესატყვისობები არც სისტემურია და არც კანონზომიერი. არც იმის დაბეჯითებით მტკიცება შეიძლება, რომ ქართველურ ენებს შუმერული

სიტყვები მიღებული ჰქონდეთ რომელიმე საშუალებო ენების გამოვლით; ძველ სემიტურ ენაში – აქადურში (ასურულ-ბაბილონური დიალექტებით) ანდა ხურიტულში, რომლებსაც, სავარაუდოა, შეესრულებინათ საშუალებო, ლექსიკის გადამცემი ენების როლი, არ დასტურდება ქართველურ ენებში შემონახული არცერთი შუმერული სიტყვა. დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ შუმერული ლექსემები ქართველურ ენობრივ სამყაროს მიღებული უნდა ჰქონდეს მხოლოდ უშუალო კონტაქტების გზით... ქართველური ენების მონაცემთა გავალისწინებით დასახელებულ ორ ენობრივ სამყაროს შორის უშუალო კონტაქტების არსებობა სავარაუდებელია პრაქტულური დაშლის დაწყებამდე, ანუ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო ხანებამდე. ისტორიულ რეალიებზე დაყრდნობით კი შეიძლება ამგვარი ურთიერთობის კონკრეტულ პერიოდად მივიჩნიოთ დრო ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ვიდრე III ათასწლეულის შუა ხანებამდე“ (შარაშენიძე 2008 – შუმერულ-ქართველური ლექსიკური შეხვედრები და წინარე ქართველური ეთნოსის განსახლების საკითხისათვის, საისტორიო ვერტიკალები, №15: 12). რაკილა შუმერები „არასოდეს წაწეულან“ ჩრდილოეთ განედის 33-ე პარალელის ჩრდილოეთით, შარაშენიძის აზრით, „უნდა დავუშვათ, რომ ეს უშუალო ურთიერთობა სწორედ 33-ე პარალელის ახლო რეგიონში ხორციელდებოდა“ (იქვე).

შუმერულ-ქართველური შეხვედრები ქართველურ-მედიტერანულ მიმართებათა ფართო კონტექსტში განიხილა კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტმა რისმაგ გორდეზიანმა. ამ საკითხს მან ყურადღება პირველად 1985 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში „წინაბერძნული და ქართველური“ დაუთმო, სადაც არსებითად გაიმეორა მ. წერეთლისეული შეპირისპირებანი და რამდენიმე ახალი საკამათო დაკავშირებაც წარმოადგინა. გორდეზიანი დასკვნის სახით აღნიშნავდა: „ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ ლექსიკურ შეხვედრებს, რასაკვირველია, საკმაოდ ადვილად შეიძლება შევუდგინოთ შუმერულ-ქართველური ბგერათშესატყვისობების სისტემა, მაგრამ ჩვენ ამისაგან თავს ვიკავებთ. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენ არც ქართულში ვთვლით ამ ფორმებს შუმერიზმებად და არც შუმერულში ქართველიზმებად. უფრო მეტიც, გვგონია, რომ შუმერული და ქართველური ენების გრამატიკული სტრუქტურა იმდენად დაშორებულია ერთმანეთს, იმდენად უმნიშვნელოა მატერიალური შე-

ხვედრები ბრუნვათა თუ უღვლილებათა სისტემაში, აფიქსებში, რიცხვით სახელებში, რომ ძალზე ძნელია ეს ენები უშუალოდ გამოვიყვანოთ ერთმანეთისაგან, უფრო სწორად, შუმერები მივიჩნით ქართველურენოვან ემიგრანტებად ან პირიქით, ქართველები შუმერთა შთამომავლებად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეხვედრები უნდა აიხსნას იმ სავარაუდო სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური ენების გავლენით, რომელთაც ნეოლითის განმავლობაში წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდათ მცირე აზიაში. სწორედ ამ ენების მატარებელ ტომთა, ალბათ უკვე საკმაოდ დიფერენცირებულთა, გადასახლებებს მოჰყვა შედეგად შუმერული, ქართველური, და სხვა მრავალი იმ ენისა თუ ენათა ჯგუფის ფორმირება, რომელთაც მეტად თუ ნაკლებად გავლენილი ე.წ. მედიტერანული ნიშნები ახასიათებთ“ (გორდეზიანი 1985: 51).

უფრო ვრცლად ამ საკითხს გორდეზიანი თავის „Mediterranea-Kartvelica“-ში შეეხო, რომლის პირველ ტომშიც შუმერულის ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის თავისებურებანი ქართველურ ენათა სათანადო მონაცემებთან შეპირისპირებით მიმოიხილა და შუმერულ-ქართველურ დაკავშირებათა ვრცელი ნუსხა წარმოადგინა. მის მიერ შემოთავაზებული ახალი პარალელებიდან საყურადღებოა შუმ. bar „გუთანი“ – ქართ. ბარ-ი, შუმ. barda „განივა“ – საერთოქართველური *ბარჯ- (ქართ. ბარჯი...), შუმ. buluh „გულის რევა, ბოყინი“ – ქართ. ბლოყ-ინ-ი, ბოყ-ინ-ი, შუმ. -e „ერგატივისა და დირექტივის ნიშანი“ – სქ *ჰე ან *ე (ქართ. ე-ს-ე, ე-ს-რე, ე-გე...), შუმ. -ed „უსრული ასპექტის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი“ – სქ *-d „I სერიის მწკრივთა სავრცობი“, შუმ. gala „სიმღერით დამტირებელი“ – ქართ. გალ-ობ-ა, შუმ. gu „ჭამა“ – სქ. *გუ- (მეგრ. გვ-ან-ავ-ა „ჭმევა, გამოკვება, გასუქება“, ლაზ. გვ-ან-ერ-ი „მსუქანი“, სვან. ლუ-გუ-პრ „მსუქანი“), შუმ. ġeli „ყელი, ხახა“ – სქ. *ყელ- (ქართ. ყელ-ი), შუმ. ħamun „ჰარმონია“ – სქ. *ჯამ-/ჯმ- (ქართ. ჯმ-ა...), შუმ. ħum „პატივის მიგება“ – სქ. *ჯჷამ- (ლაზ. ო-ხომ-ალ-ა „დღეობა, სალოცავი“, სვან. ლა-ჯჷამ „სალოცავი“), შუმ. kilib „მთელი, ჯამი“ – სქ. კრებ- (ქართ. კრებ-ა, კრიბ-ა...), შუმ. rah „ცემა“ – სქ. *რახ- (ქართ. რახ-უნ-ი...), შუმ. šar „ჟღელვა“ – სქ. *სარ- (ქართ. მო-სრ-ვ-ა...), შუმ. šed „დაწოლა, დასვენება (ცხოველების)“ – ქართ. და-ვ-ჯედ, ჯდ-ომ-ა, შუმ. zig „ქალაქი, კედელი“ – სქ. *ძიხე (ქართ. ციხე...) და სხვ. მართალია, დაკავშირებათა სიიდან – მონაცემთა პენსილვანიის შუმერულ ლექსიკონთან

შეჯერების საფუძველზე – ამოღებულია ზოგიერთი საექვო მაგალითი, ახალი მასალის უმეტესი ნაწილი, რის ხარჯზეც შეპირისპირებათა რაოდენობა 400-მდე არის გაზრდილი, პრობლემურია და შუმერულ-ქართველურ მიმართებათა კვლევის საქმეს, სამწუხაროდ, ვერაფერს სძენს.

მკვლევარი დასკვნის სახით აღნიშნავს: „აქ მოტანილი მიმართებების ანალიზი მამლევს შესაძლებლობას დავასკვნა, რომ შუმერული და ქართველური მრავალ საყურადღებო მსგავსებას ავლენს, თუმცა, ჩემი აზრით, ეს პარალელები არ არის საკმარისი შუმერულის ქართველური ჯგუფის ენებში შესატანად... ვფიქრობ, რომ როგორც ქართველური, ასევე შუმერული იმ დიდი ენობრივი ერთიანობის „მემკვიდრეები“ არიან, რომელიც, ერთი მხრივ, ქართველურის, მეორე მხრივ კი შუმერულის ჩამოყალიბებამდე უნდა არსებულებოდა. როგორც ჩანს, ამ ერთიანობიდან იღებს დასაბამს ზოგიერთი სხვა ოჯახის ენების ჩამოყალიბებისათვის საფუძვლის შემქმნელი ე. წ. საშუალებო ენები... ჩემი აზრით, ერთ-ერთმა ასეთმა საშუალებო ენამ, რომელსაც პირობითად პროტოქართველური შეიძლება ვუწოდოთ და, რომელიც ე. წ. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიურთან უნდა იყოს კავშირში, განაპირობა ქართველური და შუმერული და, შესაძლოა, რომელიღაც სხვა ენათა განშტოებების ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, შუმერული უფრო ახლოა ქართველურთან, ვიდრე ჩვენთვის ცნობილ სხვა ენობრივ ჯგუფებთან“ (გორდეზიანი 2007ა: 152-153). ხოლო „Mediterranea-Kartvelica“-ს “დასკვნით კომენტარებში” კვითხულობთ: „სავარაუდოა, რომ ნეოლითში არსებითად გამოიკვეთა იმ ენობრივ ერთიანობათა კონტურები, რომელნიც ჩვენთვის ცნობილი ენობრივი ოჯახების წარმოქმნის საფუძველს ქმნიდნენ. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ამგვარ, გარკვეულწილად, დომინანტურ ერთიანობად წარმომიდგება სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური, რომლის დიფუზიამ თითქმის მთელ ამ რეგიონში წარმოშვა ე. წ. მედიტერანული ენობრივი ერთიანობა თუ კავშირი... ჩემი აზრით, სწორედ ამ დიფუზიის შედეგად, სხვებს შორის უნდა წარმოქმნილიყო ასევე ე.წ. ეგეოსური ენობრივი არეალი, რომელიც ეგეიდა-ანატოლიის რეგიონს მოიცავდა და მესოპოტამიურ-პროტოქართველური ენობრივი არეალი, რომელიც სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რეგიონს მოიცავდა. ვფიქრობ, ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისიდან მესოპოტამი-

ურ-პროტოქართველური ერთიანობის დაშლის შედეგად შუამდინარეთში შუმერული ენა ყალიბდება, ხოლო მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სამხრეთ კავკასიის რეგიონში საერთოქართველურ ენათა [sic] ოჯახი ფორმირდება“ (გორდეზიანი 2007ბ: 404-405).

რამდენიმე ათეული შუმერულ-სვანური შეპირისპირება წარმოადგინა ისტორიკოსმა თ. მიბჩუანმა (მიბჩუანი 1989). მათგან ყველაზე საინტერესოდ ჩვენ შემდეგი დაკავშირებანი გვეჩვენება: შუმ. ზა „ხელი“ : სვან. ში „ხელი“, შუმ. me-lam „ბრწყინვალეობა“ – სვან. მგლამ „ალი“.

შუმერულ-ქართველურ მიმართებებს საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა რუსმა მკვლევარმა ვიკტორ რებრიკმა (რებრიკი 2004; ნაშრომის ქართული თარგმანი, რომელიც გაზეთ „შუმერის“ 2001 წლის 28-ე ნომერში დაიბეჭდა, ვერ მოვიძიეთ). მისი კვლევის შედეგები დაწურულად, თეზისების სახით, არის გადმოცემული მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წელს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საკითხებზე ჩატარებული VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში. იქ ვკითხულობთ: „შუმერული არაერთი ენობრივი ოჯახისთვის შეუპირისპირებიათ. ამ შეპირისპირებას სირთულეები ახლავს, ვინაიდან მას დიაქრონიული ხასიათი აქვს. შუმერული ენა ხომ გაცილებით უფრო ძველია ნებისმიერ იმ ენაზე, რომელთანაც მას ადარებდნენ. კვლევის პროცესში აღმოაჩენდნენ ხოლმე გარკვეულ გრამატიკულ მსგავსებასა და რამდენსამე მსგავსი ბგერადობის სიტყვას, რის საფუძველზეც კეთდებოდა დასკვნა ამა თუ იმ ენასთან შუმერულის გენეტიკური ნათესაობის შესახებ. წინა კვლევათაგან განსხვავებით ჩვენი კვლევის მეთოდი პრაქტიკულად სინქრონიულია. ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ არა შუმერულსა და რომელიმე თანამედროვე ენას, არამედ შუმერულსა და წინა მკვლევართა (კლიმოვი, ფენრიხი-სარჯველამე) მიერ რეკონსტრუირებულ პროტოქართველურს, რომელიც ჩვ. წ.-მდე მე-3 ათასწლეულში უკვე არსებობდა“ (რებრიკი 2011 – К проблеме сопоставления шумерского и картвельских языков, Синхронное и диахронное в сравнительно-историческом языкознании: 196).

აქედან გამომდინარე რებრიკმა წერეთელსა და ფენრიხთან დადასტურებული ყველა ის ქართული სიტყვა, რომელსაც არ მოეპოვებოდა კოგნატები სხვა ქართველურ ენებში, უგულვებელყო. მეორე მხრივ, მან შუმერულის ახალი ლექსიკონების საფუძველზე „გა-

ცხრილა“ აღნიშნულ მკვლევართა მიერ შესაპირისპირებლად გამოყენებული შუმერული მასალაც. „შედეგად გამოვლინდა 74 შუმერულ-ქართველური ლექსიკური და გრამატიკული შეხვედრა [რომელთა ორი მესამედიც, უნდა ითქვას, სწორედ წერეთლისა და ფენრიხისაგან მომდინარეობს – ლ. კ.]. გარდა ამისა განისაზღვრა ძირითადი ფონეტიკური შესატყვისობანი ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის სფეროში“ (იქვე: 196). „ფაქტი შუმერულ და პროტოქართველურ ენებს შორის კანონზომიერ ბგერათაშესატყვისობათა დადასტურებისა კი ამ ენათა გენეტიკურ ნათესაობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, წერეთლის იდეა ქართველურ-შუმერული ენობრივი ოჯახის შესახებ, რომლის წინარესამშობლოც, სავარაუდოდ, მცირე აზიაში უნდა ყოფილიყო, ლინგვისტურად დადასტურდა“ (რებრიკი 2004).

შეპირისპირებული მასალის საფუძველზე რებრიკმა შუმერულ-ქართველური ენის ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკის ზოგადი მონახაზი ადადგინა. მისი აზრით, ფუძე-ენას უფრო მდიდარი ვოკალიზმი და უფრო ღარიბი კონსონანტიზმი უნდა ჰქონოდა, ვიდრე ეს ქართველური ენებისათვის არის დამახასიათებელი. რებრიკი ვარაუდობს, რომ (ფენრიხისა და სარჯველაძის მიერ) საერთოქართველური სახელობითი ბრუნვის ნიშნად რეკონსტრუირებული **-j* თავდაპირველად ერგატივის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომელიც სრულად შეესატყვისება შუმერული ერგატივის *-e*-ს. ქართველურ ენათა „ერგატივის ამჟამინდელი მაჩვენებლები – ქართულში – მა, ლაზურ-მეგრული *-ქ*, სვანური *-დ* – შედარებით გვიან წარმოიშვა და ბგერადობით ერთმანეთისაგან განსხვავდება, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი შეუძლებელია საერთოქართველურამდე ადიოდეს... ძველი ერგატივის ნომინატივად გადააზრება იმ მიზეზითაც არის სავარაუდო, რომ უკვე ძველ ქართულში ნომინატივი სულ უფრო და უფრო მეტად გამოდის წინა პლანზე, დაკარგული ერგატივი კი „ახალი“ ერგატივით კომპენსირდება, ვინაიდან ენის ლოგოკა მის არსებობას მაინც მოითხოვს“ (რებრიკი 2004). რებრიკის მიხედვით, ფუძე-ენაში სულ ხუთი ბრუნვა (აბსოლუტივი, ერგატივი, *casus obliquus* (გენიტივი-დატივი-ლოკატივი), აბლატივ-ინსტრუმენტალისი და კომიტატივ-ტერმინატივი) რეკონსტრუირდება, ასევე აღდგება მრავლობითი რიცხვის სუფ. **-en*, პირისა და კუთვნილებით-ჩვენებითი ნაცვალსახელები, რამდენიმე ზმნური სუფიქსი, მაგ.: ორიენტაციის

მაჩვენებელი პრეფიქსი *mu- (იხ. ზევით), საწყისის მაწარმოებელი სუფიქსი *-a (იხ. ზევით) და ა. შ.

რებრიკს შეუმჩნეველი არ დარჩენია ის გარემოება, რომ შუმერულისთვის დამახასიათებელი *hamtu* (ძირითადად ნამყოს) და *maru* (ძირითადად აწმყო-მომავლის) ზმნურ ფუძეთა ოპოზიცია პარალელს ჰპოვებს საერთოქართველურშიც, სადაც ზმნური ფორმები ასევე დრო-კილოთა ორ – აწმყოსა და აორისტის – სერიად ჯგუფდება. „ეს ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს საერთო-შუმერულ-ქართველურისათვის მხოლოდ ორი დრო აღვადგინოთ – აწმყო-მომავალი – ed მავრცობითა და *maru* ფუძით და იმპერფექტი [sic] სუფთა *hamtu* ფუძით“ (რებრივი 2004). მკვლევრის დასკვნით, „ლექსიკური შეხვედრები საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ ჰიპოთეტურ შუმერულ-ქართველურ ენათა ოჯახს ნეოლითის ხანაში – ჩვ. წ.-მდე 7-6 ათასწლეულში – უნდა ეარსება“ (რებრივი 2011). ხოლო ის ფაქტი, რომ ფუძე-ენაში რეკონსტრუირდება „ზღვის“ აღმნიშვნელი სიტყვა, რებრიკის აზრით, გვიბიძგებს იქითკენ, რომ “შუმერ-ქართველთა წინარესამშობლო ზღვის სანაპიროსთან ვეძიოთ... შესაძლოა, მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში“ (რებრივი 2004). „ცხადია, შუმერული არ უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი ქართველური ენა, არამედ როგორც ენათა განცალკევებული ჯგუფი შუმერულ-ქართველურ ენათა ოჯახში“ (იქვე).

უნდა აღინიშნოს, რომ რებრიკის მიერ წერეთლისეულ და ფენრიხისეულ შეპირისპირებათა გამომწივრის მიუხედავად, შეხვედრათა დიდი ნაწილისა და მათი შედარების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების მიმართ კითხვები მაინც რჩება. თუმცა მთლიანობაში რუსი მეცნიერის ნაშრომი, ვფიქრობთ, შუმერულ-ქართველურ მიმართებათა კვლევის საქმეში მაინც სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად უნდა იქნეს მიჩნეული.

კვლავ კარნახობს და პასუხობს ტიპის ზმნათა მართლწერისათვის

თანამედროვე ქართულში დავას იწვევს ერთი წყება ნასახელა-რი ზმნებისა, რომლებიც **-ობ** თემის ნიშნით იწარმოება და აწმყოს მწკრივში იმავე სახელის ფუძისაგან **-უ** პრეფიქსითა და **-ებ** თემის ნიშნით ნაწარმოებ ზნათა ფუნქციით გამოიყენება, ესენია: **პასუხობს** // **უპასუხებს**, **კარნახობს** // **უკარნახებს** ...

უპასუხებს // **ჰპასუხობს**, **უკარნახებს** // **ჰკარნახობს** და **პასუხობს**, **კარნახობს** ზმნები ერთმანეთს ირიბი ობიექტის მქონებლობა-უქონლობით უპირისპირდებიან, რასაც ორივე შემთხვევაში ზმნის ფუძის აგებულება განსაზღვრავს. **უპასუხებს** და მის მოცილე **ჰპასუხობს** ტიპის ზმნებს ირიბი ობიექტი შეეწყობა, ხოლო **პასუხობს** ტიპისას – არა. მიუხედავად იმისა, რომ **პასუხობს**, **კარნახობს** ერთპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნებია, თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა მიხედვით, არც სხვაგვარი გაგების შესაძლებლობაა გამორიცხული, კერძოდ, შესაძლებელია ისინი ორპირიანებადაც მოიაზრებოდეს.

კონტექსტები თანამედროვე ქართული ენიდან:

პასუხობს // **უპასუხებს**

„თემისტიოსი ასე **პასუხობს** უმაღლესი ცოდნის მამიებელ ყმაწვილს“ (ლ. სანიკიძე); „თითოეული ჩანართი **პასუხობს** კითხვას, რომელიც არაერთხელ გვსმენია სტუდენტებისაგან“ (lib.ge); „როცა გინდათ, ბატონო ვასო! – **პასუხობს** მღებავი და ბელას ეგზემპლარში აქვს ჩარჭობილი ცალი თვალი“ (რ. ჭეიშვილი)... შდრ.: „სიმონა მაინც არ **უპასუხებს** და ქაქანით მიდის, მირბის, მიჰქრის...“ (მ. ჯავახიშვილი); „...– აქა ვარ,– მოწყენილი **უპასუხებს** ტატო“ (აკა მორჩლაძე); „ერისთავებს, მეფე სალამით ადგილიდან, ტახტიდანვე **უპასუხებს**“ (ლ. სანიკიძე)...

კარნახობს // **უკარნახებს**

„ის თავს არიდებს ისეთ განცხადებებს, რომლებიც ხალხს **კარნახობს**, რა და როგორ იფიქრონ“ (tavisupleba.ge); „მხატვარმა უნდა ხატოს ის, რასაც სული **კარნახობს** და არ უნდა იფიქროს ჟანრებსა და მიმართულებებზე“ („24 საათი“: 2006); „სახელმწიფო დღეს არაფერს

კარნახობს ენციკლოპედიის ავტორებს“ (tavisupleba.ge) ... შდრ.: „ისედაც ბუნება **უკარნახებს** ყველას, არავის მტერთაგანს არ დაუთმოს თავისი, საკუთარი...“ (ლ. სანიკიძე); „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ველარ **უკარნახებს** სუვერენული სახელმწიფოების მთავრობებს, როგორ უნდა მოიქცნენ“ (tavisupleba.ge); „პარლამენტიც იქცევა ისე, როგორც **უკარნახებს** თავისი პოლიტიკური ელიტა“ (tavisupleba. ge)...

„...**პასუხობს**, **კარნახობს** ფორმები, რომლებიც **უპასუხებს**, **უკარნახებს** ფორმათა ფუნქციით იხმარებიან, არ არიან და არც შეიძლება იყვნენ ერთპირიანები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფორმები კონტექსტში **უპასუხებს**, **უკარნახებს** ფორმათა მაგივრობას ვერ გასწევდნენ. **უპასუხებს**, **უკარნახებს** ზმნათა ირიბი (და არა პირდაპირი!) ობიექტი მხოლოდ შინაარსობრივად კი არ უკავშირდება **პასუხობს**, **კარნახობს** ზმნებს, არამედ მორფოლოგიურ გამოხატულებას იძენს ზმნაში“ (ვ. კალანდაძე).

ცნობილია, რომ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **კარნახობს**, **პასუხობს** ფორმები აკრძალვითაა წარმოდგენილი: [კარნახობს მას კი არა] **უკარნახებს**, [პასუხობს კი არა] **უპასუხებს**, **პასუხს აძლევს**...

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხი საილუსტრაციო მასალის გათვალისწინებით.

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

კავკასიის ალბანეთის გაქრისტიანების თარიღისათვის

ქრისტიანობის გავრცელება კავკასიის ალბანეთში პირველი საუკუნიდან იწყება. „ალვანთა ქვეყნის ისტორია“ და სხვა სომხური წყაროები ამ პროცესს ელისე/ელიშეს მოღვაწეობას უკავშირებენ. არსებობს ორი ვერსია, თუ ვინ იყო ელისე. სომხურ „ეპისტოლეთა წიგნში“ იგი ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულია სამოცდაათთაგან, ხოლო მოგვიანო წყაროებში და, მათ შორის, „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“, ელისე მოციქულ თადეოზის თანაშემწეა. ორივე ვერსიის მი-

ხედვით ელისე უფლის ძმის იაკობის მიერაა ხელდასხმული, თუმცა პირველ შემთხვევაში მას სომხეთთან არანაირი კავშირი არა აქვს, ხოლო მეორეს თანახმად, იგი ჯერ სომხეთში მოქადაგე მოციქულ თადეოზის თანამემწე ხდება და მხოლოდ მისი მოწამეობრივი აღსრულების შემდეგ იღებს იერუსალიმში ხელდასხმას. მეორე ვერსია მოგვიანო შეთხზული ჩანს.

ასევე არადაამაჯერებელია სომხური წყაროების ცნობები ალბანეთის გაქრისტიანების შესახებ IV საუკუნის დასაწყისში ურნაირის მეფობისას. ამ ცნობების თანახმად, ალბანეთის მეფე ურნაირი იყო გრიგოლ განმანათლებლის თანამედროვე, რომელმაც უშუალოდ ნათელი სცა მეფეს. ურნაირის სიკვდილის შემდეგ ქრისტიანობის გავრცელებას ალბანეთში, ამ წყაროების თანახმად, აგრძელებს გრიგოლ ლუსავორიჩის შვილიშვილი გრიგორისი, რომელიც ალბანეთის მთავარეპისკოპოსი გახდა, ხოლო შემდგომ მოწამეობრივად აღესრულა მასქუთებთან ქადაგებისას.

ფავსტოს ბუზანდაცის ნაშრომში გვხვდება საინტერესო ცნობები მეფე ურნაირის შესახებ. მისი თქმით, ურნაირი სომხეთის მეფის პაპის (367-374 წწ.) თანამედროვეა. 371 წელს ურნაირი მონაწილეობს ირანისა და რომის ომში სპარსეთის მხარეს [ფავსტოს ბუზანდაცი, წ. V, 4]. საფიქრებელია, რომ იმ დროს ურნაირი ქრისტიანი ვერ იქნებოდა გამომდინარე იმჟამინდელი მოვლენების კონტექსტიდან – სპარსეთის ქრისტიანები აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ ამ ომს. ცნობილია, რომ ქტესიფონის ეპისკოპოსი საჯაროდ ამხელდა ირანის შაჰს შაპურ II-ს ქრისტიანული რომის წინააღმდეგ ბრძოლის გამო.

„ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ცნობით, ურნაირი გარდაიცვალა გრიგორისის ეპისკოპოსად კურთხევამდე, ანუ არაუგვიანეს 330 წლისა [ალვანთა ქვეყნის ისტორია, წ. I, 9]. შეიძლება გვევარაუდა, რომ IV საუკუნეში ალბანეთში ორი ურნაირი მეფობდა, თუმცა ეს საეჭვოა, გამომდინარე იქიდან, რომ ალბანეთის მეფეთა ყველა სიაში და, მათ შორის, „ალვანთა ქვეყნის ისტორიაშიც“, გვხვდება მხოლოდ ერთი მეფე ურნაირის სახელით [„ალვანთა ქვეყნის ისტორია“, კირაკოს განმაცემი, მხითარ აირივანეცი].

ვერ დავუშვებთ იმასაც, რომ წყაროებში საუბარია ერთი და იმავე ურნაირის შესახებ. თუ ეს ასეა, მაშინ ურნაირი 371 წელს სულ

მცირე 80 წლის იქნებოდა და ომში უშუალო მონაწილეობას ვერ მიიღებდა, როგორც ამას ფავსტოს ბუზანდაცი გვაუწყებს.

ამრიგად, ცნობები ალბანეთის გაქრისტიანების შესახებ ბუნდოვანია და წინააღმდეგობრივი. მხარს ვუჭერთ თვალსაზრისს (ჟ. პ. მაე), რომ ალბანეთმა ქრისტიანობა მიიღო არა IV საუკუნის დასაწყისში, არამედ IV საუკუნის დასასრულს, რომისა და სპარსეთის ომში სპარსეთის დამარცხების შემდეგ.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა მ ე

ლექსიკური ერთეულები მოყვარე/მძახალი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

ებრაელთა ქართულის ბოლოდროინდელმა კვლევებმა მრავალი საინტერესო ლექსიკური თავისებურება გამოავლინა. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული ლექსიკური თავისებურებები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი – ებრაულ / არამეული ერთეულები, რომლებსაც ებრაელები ხშირად იყენებენ ქართულ მეტყველებაში. აქ რამდენიმე ქვეჯგუფი გამოიყოფა. და მეორე: ქართული ლექსიკა, რომლებსაც ებრაელები იყენებენ საქართველოს სხვა მცხოვრებლებისაგან განსხვავებულად. აქაც შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ქვეჯგუფი, რომელთა შორის სემანტიკური სხვაობითა და სიხშირით გამოყენებული ქვეჯგუფები ყველაზე მდიდარ მასალას გვაწვდიან.

ებრაელთა ქართულ მეტყველებაში დადასტურებულია შემთხვევები, როცა მათ ქართულში პარალელურ ვარიანტებად გამოყენებული ლექსიკური ერთეულებიდან ერთ-ერთს მიანიჭეს უპირატესობა და ზოგჯერ ასეთი სიტყვა მომდევნო პერიოდში ეთნიკური ნიშნის მატარებელიც კი გამხდარა (მაგალითად, დაგენაცვლე).

ქველ-ში მოყვარე ასეა განმარტებული: 1. ცოლის ნათესავი ქმრის ნათესავებისათვის და, პირიქით, ქმრის ნათესავი ცოლის ნათესავებისათვის; 2. ახლობელი, კეთილის მდომი, კეთილმოსურნე, მოკეთე; 3 მოყვარული 4. სატრფო, საყვარელი.

ამავე ლექსიკონში მძახალი განმარტებულია, როგორც: 1. დედამთილი ან მამამთილი სიდედრ-სიმამრისათვის ანდა, პირიქით, სიდედრი ან სიმამრი დედამთილ-მამამთილისათვის; 2. საერთოდ, ცოლის ნათესავი ქმრის ნათესავებისათვის და, პირიქით, ქმრის ნათესავი ცოლის ნათესავებისათვის.

ებრაელთა მეტყველებაში *მძახალი* სიტყვა აღნიშნული მნიშვნელობით იშვიათად გვხვდება და მის ნაცვლად უმეტესად *მოყვარე* გამოიყენება.

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნულმა ფონდმა 2013-2023 წლებში რამდენიმე პროექტი დააფინანსა, რომლის ფარგლებშიც ისრაელში ჩაიწერა ქართველ ებრაელთა მეტყველება. აღნიშნული მასალა გვიჩვენებს, რომ ქართველ ებრაელთა უმეტესობა დღესაც *მოყვარე* სიტყვის გამოყენებას ანიჭებს უპირატესობას. მაგალითად, „ბუზიაშვილები და ხახვიჭამიაშვილები დამოყვრებულან თურმე“. „მოყვრებში ვიყავით სტუმრად, ეს ამბავი რომ გავიგეთ“. „მე შევთავაზე ჩემ მოყვრებ დამოყვრება და დავაქორწინეთ ჩვენი შვილები“.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებთან გვხვდება *მძახალი* სიტყვის ფონეტიკური ნაირსახეობა *მზახალი*.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სომატური სახელისათვის სვანურში

სვანურში ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში, ზოგადად ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსემებში დასტურდება სომატური სახელები: „ზისხ სისხლი“, ლელჷ „ხორცი“, ძ(ჷ)ერ „ხორცი“, იშჷ „რბილი“/„ხორცი“, ჯიჯჷ „ძვალი“, ყჷიჷე „ღვიძლი“, პერშჷდა „ფილტი“.

ეს ლექსიკური ერთეულები როგორც ქართულში, ასევე სვანურში, გვხვდება როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშ-

ენელობით (ღვიძლი - ახლო ნათესავი || ჯიში, გვარი, შთამომავლობა).

ქართულ „სისხლსა და ხორცს“ სვანურში სემანტიკურად მეტნაკლები სიხშირით შეესატყვისება ყველა ჩამოთვლილი ერთეული წყვილში: *ზისხ ი ლელუ* „სისხლი და ხორცი“, *იშუ ი გიჯუ* „ხორცი და ძვალი“ და კომპოზიტი *ყუიყე-პერშუდა* „ღვიძლ-ფილტვი“.

სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საანალიზო ერთეულთაგან სინქრონიულ დონეზე ყველაზე ხშირად გამოყენებადი და ბუნებრივი ჩანს *ყუიყე-პერშუდა* („ღვიძლ-ფილტვი“), რომელიც ერთადერთი კომპოზიტია ჩამოთვლილ ენობრივ ერთეულებს შორის. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ამ შემადგენლობით აღნიშნული კომპოზიტი ვერ დავადასტურეთ, თუმცა, როგორც ჩანს, დიალექტებში ის არსებობს: *ღვიძლ-ფილტვის ნაგლეჯები გამოაბნია ტყვიამ* (ვაჟა-ფშაველა, აფხუშოობა „ფშაველების ცხოვრებიდამ“).

ყუიყე-პერშუდა პირდაპირი მნიშვნელობით სემანტიკურად ქართულ „გულ-ღვიძლს“ შეესაბამება, ხოლო როგორც ერთგნებნიანი, ანუ გადატანითი მნიშვნელობით – „სისხლ-ხორცს“. წყვილს გარეთ, როგორც ერთეული, *ღვიძლი* ახლობლის მნიშვნელობით აქტიურია როგორც დიალექტებში, ასევე სალიტერატურო ქართულში. ასევე გვაქვს ექსპრესიული, განსაკუთრებული სიახლოვის სემანტიკით მოტივირებული სინტაგმები (ღვიძლზე ნადები, ღვიძლზე მობმული...).

სვანური ენისთვის დამახასიათებელი არქაულობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სომატურ ენობრივ ერთეულთა ნათესაობის, ახლობლობის სემანტიკით *ყუიყე* (ღვიძლი) ასახავს უფრო ძველ ვითარებას, ამაზე უნდა მიუთითებდეს წყველის ფორმულაში საანალიზო ლექსემის აქტიური მონაწილეობაც (*ყუიყემ(ი) მუქტუე / მუქტუი* გან „ღვიძლის [მო]ჭრა შენ!“). ჩვენს მოსაზრებას ნაწილობრივ მხარს უჭერს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებაც: „დღეს ქართულში უფრო ადრინდელი **ხორცის, ღვიძლის, გულის** და მისთანათა ადგილს თანდათან, სხვა ენების გავლენით, ფეხს იკიდებს **სისხლი**“ (ქ. ლომთათიძე, 1983).

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

„ფაუნის ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი)“ – წიგნის წარდგენა

ნაშრომის მიზანია აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკის, რაც შეიძლება, სრული ასახვა.

ფაუნის სახელწოდების მოტივაციის დადგენა, ფაუნის სახელწოდებების სისტემატიზაცია სემანტიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით; ამის კვალობაზე აფხაზური ენის შიდააზრის გამოვლენა; ლექსიკის ნასესხები ნაწილის გამოყოფა აფხაზური ენის საფუძველზე შექმნილ სახელწოდებათაგან.

ფაუნის სახელწოდებების შექმნის სტრუქტურული მოდელის სათითაოდ გაანალიზება, მათში გამოვლენილ მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა, თუ მორფემათა გამოყოფა; დაჩრდილული სემანტიკის მქონე ფაუნის სახელწოდებების დაფიქსირება; აგრეთვე, ზოგიერთი სახელწოდების ეტიმოლოგიური ანალიზი.

ფაუნის აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში, ზოგადად, იყოფა ორ ჯგუფად: ნასესხები სიტყვები და სახელწოდებები, რომელთაც აფხაზურის საშუალებით უხერხდება ახსნა.

თავად, ფაუნის აფხაზური სახელწოდებები, შეიძლება, ასევე ორ ჯგუფად გაიყოს: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება: სახელწოდებათა უფრო დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს, ან აფიქსაციითაა მიღებული.

თავის მხრივ, კომპოზიტები, ცხადია, აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების დაცვითაა ძირითადად შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

ნაშრომში გაანალიზებულია კომპოზიტთა სტრუქტურა, განხილულია კომპოზიციის ყველა შესაძლო შემთხვევა, რომელსაც ადგილი აქვს ფაუნის სახელწოდებებში.

შესავალში ავტორი განიხილავს ენათმეცნიერების ზოგად საკითხებს, მსჯელობს სიტყვათა მოტივაციის პრობლემებზე, მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხთა გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს.

აქვეა განხილული ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის ზოგადი საკითხები, სიტყვისა და ცნების ურთიერთმიმართების პრობლემა, მეტაფორიზაციის როლი ფაუნის სახელწოდებების შექმნაში.

შესავალ ნაწილში ასევე განხილულია აფხაზურ-ადიღურ ენებში არსებით სახელთა სიტყვაწარმოების ძირითადი ტიპები. რთული არსებითი სახელების (კომპოზიტების) ზოგადი სტრუქტურული თავისებურებანი.

დაწვრილებითაა მიმოხილული საზღვრულ-მსაზღვრელიანი, მსაზღვრელ-საზღვრულიანი, მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრულიანი და მსაზღვრელ-მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრულიანი ე. წ. „სინტაქსური ბლოკები“, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებულია ფაუნის ლექსიკის არც თუ მცირე ნაწილი.

აქვეა მოცემული ფაუნის ლექსიკის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

წარმომის ძირითად ნაწილში, სათითაოდ ყველა თავში, გამოყოფილია ნასესხები ლექსიკა, დაზრდილი სემანტიკის მქონე სახელწოდებები, განხილულია ლექსიკის ნაწილი, რომლის ეტიმოლოგია აფხაზური ან სხვა რომელიმე ენის საშუალებით ხერხდება.

წარმომში მრავლადაა წარმოდგენილი ამა თუ იმ სახელწოდების ეტიმოლოგიური ძიების ცდები.

I თავი

1. ცხოველთა სახელწოდებები

სემანტიკური თვალსაზრისით ცხოველთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს შინაურ და გარეულ, მდებრობითი და მამრობითი სქესის, ნაშიერთა სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით ცხოველთა ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელეები.

1. ცხოველთა სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით, სიტყვათმაწარმოებელ აფიქსთა გარეშე:

აჟ „ძროხა“ ,

აგ „კამეჩი“ ,

აჯმა „თხა“ .

2. ცხოველთა სახელწოდებებს ერთვის მამრობითი სქესის ცხოველ-ფრივენლთა აღმნიშვნელი -ლ¹ ნახევარსუფიქსი:

ათელ „ყოჩი“,
აბალ „ვაცი“,
აც^ალ „კურო“.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ -ლ ელემენტს დაირთავს

აკ^ატალ „კვერცი“ ლექსემაც.

3. ცხოველთა მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე **-აბ** ნახევარსუფიქსი. ამ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა არის „მამა“:

აბ „ბოტი“,
აც^აგ^ააბა (ბზ.) აც^აგ^ააბ „ხვადი კატა“,
აბლაბ „ხარ-ჯიხვი“.

4. ცხოველთა სახელწოდებებს მდედრობითობის აღსანიშნავად ერთვის მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი **-ფს**:

აც^აგ^აფს „ძუ კატა“,
აჩ^აადაფს „ჭაკი ვირი, ფაშატი, ვირი, ხრდალი“,
აჟაფს „დედალი კურდღელი“.

აფსლაჰ^ა „ნეზვი, დედალი არჩვი“... ამ უკანასკნელ შემთხვევაში **-ფს** აფიქსი პრეფიქსად გვევლინება.

6. მდედრობითობის გამოსახატავად გამოიყენება აგრეთვე **-ან** ნახევარსუფიქსი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა არის „დედა“:

აჩ^აან „ფაშატი“.

7. ნაშიერთა სახელებს ერთვის დიმინუტივის **-ს** სუფიქსი:

ასგს „ბატკანი“,
აძგს „თიკანი“,
აჰ^აგს „ხბო“.

ნაშიერთა **-ს** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში **-ს** ჩამოსცილდება და მის ადგილას დაერთვის **-რ(ა)** სუფიქსი.

ასგს „ბატკანი“, ასარა „ბატკნები“,
აჰ^აგს „ხბო“, აჰ^აარა „ხბორები“.

8. გარეულობის აღსანიშნავად ცხოველის აღმნიშვნელ სახელის ფუძეს წინ ერთვის **აბნა** „ტყე“ ლექსემა:

აბნაც^ა „ხარ-ირემი“,
აბგნჰ^ა „ტახი“,
აბნჩ^ააც^ა ხარ-ირემი“.

ეს სიტყვა **-ახნა** „ტყე“ გამოდის მსაზღვრელის როლში და დგას საზღვრულის წინ. აფხაზურში მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

9. ცხოველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ცხოველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის **-რთა** /**-თრა** სუფიქსი:

აჟ-თრა „ბოსელი“,
აჰგს-თრა „სახბორე“.

ეს სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს ათრა „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება.

10. ცხოველთა სიმრავლე აღინიშნება ნივთთა კატეგორის **-ქა** სუფიქსით:

აჩა-ქა „ცხენები“, **აჟ-ქა** „ძროხები“ ან კრებითობის **-რა** სუფიქსით. შესაძლოა **-რა** და **-ქა** სუფიქსების ერთდროული დართვაც: **ასა-რა-ქა** „ბატკნები“, **აჰა-რა-ქა** „ხბორები“. ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, დაჩრდილულია წინამავალი **-რა** სუფიქსის ფუნქცია და ფუძე ხელმეორედ არის გაფორმებული ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის **-ქა** სუფიქსით.

2. მეცხენეობის ლექსიკა

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ზოგადად კავკასიასა და კერძოდ ჩრდილო კავკასიურ კულტურაში ამ ცხოველს ოდითგანვე განსაკუთრებული როლი აკისრია, როგორც გადაადგილების ეფექტურ საშუალებას, როგორც მთის მცხოვრებთა განუყოფელ ნაწილს.

სემანტიკური თვალსაზრისით ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა შეიძლება დაიყოს მდებდროებითი და მამრობითი სქესის, ნაშიერთა, ცხენის ასაკისა და ფერის მიხედვით განსხვავებულ სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით ცხენთან დაკავშირებულ ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები: ოდენფუძიანი, აფიქსაციითა და კომპოზიციით ნაწარმოები სახელწოდებანი, ცალკეა გამოსაყოფი ნასესხები ლექსემები.

აჩუ „ცხენის“ ზოგადი სახელია.

აჩაბა 1. „მამალი ცხენი, ახტა, ვაყა“; 2. „მამალი კვიცი“.

-**აბ** ნახევარსუფიქსი მამრობითობის აღსანიშნავად გამოიყენება. ამ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა არის „მამა“. **აჩა+აბა** სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ცხენი მამა“.

აჩან „ფაშატი, ჭაკი (ცხენი, ვირი და მისთ.)

-**ან** ნახევარსუფიქსი მდედრობითობის გამოსახატავად გამოიყენება. მისი ამოსავალი მნიშვნელობა არის „დედა“: **აჩ+ან** სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ცხენი დედა“.

აჩწეს „კვიცი“, **აჩაწეს** ზედმიწევნით: „ცხენი ჩიტი“ .

3. ცხენის აღკაზმულობა

აკადგრ „უნაგირი“,

აკადგრ ამახა „უნაგირის ხელი, მკლავი“,

აყამჩგ „მათრახი“.

II თავი

ფრინველთა სახელწოდებები

სემანტიკური თვალსაზრისით ფრინველთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს: შინაურ და გარეულ ფრინველთა მდედრობით, მამრობით და ნაშიერთა სახელწოდებებად.

ცალკეა გამოსაყოფი ფრინველთა სადგომის, სხეულის ნაწილების, ხმიანობისა და დაავადებების აღმნიშვნელი ლექსიკა, რომელიც მრავალ საინტერესოს იძლევა ფრინველთა სახელწოდებების შესწავლისა და ზოგადად, ენობრივი ერთობის ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური ასპექტების გათვალისწინებისათვის.

ჩვენს ხელთ არსებულ ფრინველთა ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები:

ფრინველთა სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით:

ა-ყგზ „ბატი“,

ა-პყა „წერო“,

ა-კტგ „ქათამი“.

ფრინველთა სახელწოდებების დიდი ნაწილი მიიღება კომპოზიციით:

ა-მშენყვზ „გედი“, რომელშიც **ა-მშენ** „ზღვაა“, **(ა)ყვზ** „ბატი“. სიტყვასიტყვით: „ზღვის ბატი“.

ა-შშაღღგ „წიწკანა“, რომელშიც **ა-შშა** „ქონია“, **(ა)ღღგ** „ქურდი“. ზედმიწევნით: „ქონის ქურდი“.

ა-ძგცა „ყანჩა“, **ა-ძგ** „წყალს“ უნდა ნიშნავდეს, **ა-ცა** „ტყავს, კანს“, ზედმიწევნით: „წყლის ტყავი“.

ნაშიერთა სახელების გადმოსაცემად ფუძეს ერთვის **-ს** დიმინუტივის სუფიქსი, რომელიც თავად **ა-წგს** „ჩიტი“ ლექსემიდან მომდინარედ მიაჩნია ქ. ლომთათიძეს.

ნაშიერთა **-ს** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში **-ს** ჩამოსცილდება და მის ადგილს იჭერს კრებითობის სუფიქსი **-რა**: **აწგს** „ჩიტი“, **აწა-რა** „ჩიტები“.

ფრინველთა გარეულობის აღსანიშნავად ფუძეს ერთვის **აზნა / აზენ** „ტყე“ ლექსემა: **ა-ზენკტგ** „ხოხობი“, რომელშიც **აზენ** „ტყე“, **აკტგ** „ქათამი“, სიტყვასიტყვით: „ტყის ქათამი“.

ფრინველთა სიმრავლე აღინიშნება კრებითობის **-რა** სუფიქსით: **ა-კჭა-რა** „წიწილები“... ან ნივთთა (არაგონიერთა) მრავლობითობის **-ქა** სუფიქსით: **ა-ყვზ-ქა** „ბატები“.

ფრინველთა ხმიანობის აღსანიშნავად გამოიყენება ხმაბაძვითი სიტყვა:

ა-ჭერჭერ-რა „ჭიკჭიკი“ და სხვ. შდრ.: ქართ. ჭიკჭიკი...

ქართულიდან ნასესხები უნდა იყოს შემდეგი სახელწოდებები:

ა-კუკუ „გუგული“,

ა-ჭენჭა „პატარა ჩიტი, რომელიც ღობეში ძვრება“ შდრ.: „ჭინჭრაქა“,

ა-უარზა „არწივი, ორბი“, შდრ.: „ორბი“.

III თავი

უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებები

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენლობაში შემაჯავალი უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებები

შიეძლება დაიყოს ქვეწარმავალთა, თევზებისა და ამფიბიების სემანტიკურ ჯგუფებად.

ჩვენს ხელთ არსებულ უმდაბლესი ხერხემლიანების ლექსიკაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები: უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებანი წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძით, მიიღება აფიქსაციით ან კომპოზიციით.

1. ქვეწარმავალთა სახელები

აინც გშა // **აინწ** გშა „ხვლიკი“,

ამათ „გველი“,

ამთანწ გ, რომლის ეტიმოლოგიასაც ქ. ლომთათიძემ მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა (ლომთათიძე 1980).

აკუტა „კუ“ ნასესხებია ქართულიდან.

2. თევზების სახელები

აფსგმ „თევზი“,

ალახგ „თავბერა“, სიტყვასიტყვით: „შუბლა“,

ათრგს „ქაშაყი“ (ბზიფ.),

უმდაბლესი ხერხემლიანების სახელწოდებების ნაწილი მიიღება აფიქსაციით:

აფსგმსსა „ჭიჭყინა“, **-სსა** სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის გამომხატველია. ზედმიწევნით: „თევზ წვრილი“.

ქართულიდან ნასესხებია:

აკალმაჰ // **აკამლაჰ** (ბზიფ.) „თევზი“,

აგულშაჰ „გველეშაპი“,

აულაგურ // **აოლაგურ**, **ამლაგ** გრ (ბზიფ.), „ორაგული“.

3. ამფიბიების სახელები

ადაღ ,

„ადაჟ“ „გომბეშო“, ამ ლექსემაში -ჟ ელემენტი შესაძლოა აღნიშნავდეს აჟ „ძველს“, ანუ ზედმიწევნით: „ბაყაყი ბებერი“,

„აჩაჯრადად“ „მოსავლის ბაყაყი, ვასაკა“ აჩაჯრა „მოსავალი“, (ა)დალ „ბაყაყი“, ზედმიწევნით: „მოსავლის ბაყაყი“.

IV თავი ნაწლავღრუიანთა სახელწოდებები

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში გამოიყოფა ნაწლავღრუიანთა სახელწოდებების მცირე ჯგუფი:

აღურწკ „ჭიაყელა“,

აბჟე „ნეხვის ჭია, ჭიაფანდურა, ბოსტანა“,

არწჯრახ აც „ჭიაყელა“, შდრ. **ახ აც, არწჯ** „წნილი“, **ახ აც** „ჭია“ ზედმიწევნით: **არწჯ** „წნილი“ + **-რ** მესამე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი კუთვნილების პრეფიქსი + **ახ აც** „ჭია“, „წნილი(ს) (მათი) ჭია“. მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

V თავი მწერთა სახელწოდებები

სემანტიკური თვალსაზრისით მწერთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს მფრინავ და მხოხავ, ადამიანისათვის სარგებლობის მომტან, თუ ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელ, ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით მწერთა ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელეები.

მფრინავი, ადამიანისათვის სარგებლობის მომტანია:

ა-შხა „ფუტკარი“, ამ ფუძისაგან აფხაზურში არაერთი სიტყვაა ნაწარმოები:

ა-შხგ „ერთი ფუტკარი“, **-ც** სუფიქსი „ცალის“ აღმნიშვნელია;

ა-შხარ „მუშა ფუტკარი“, შესაძლოა **-რ** ამ ლექსემაში იყოს ნაშთი სიტყვისა არ „ჯარი“, ანუ „ჯარისკაცი ფუტკარი“,

ა-ყანჟ/ა-ყანჟ-ხ აც „აბრეშუმის ჭია“, **ა-ხ აც** „ჭიას“ ნიშნავს დამოუკიდებლად. ეს სიტყვა ნასესხები ჩანს აფხაზურში. შდრ.: ქართული „ყაჭის ჭია“, ლექსემის მეორე ნაწილი კალკირებულიც კია. **ა-ყან-**

ჰაარა „მეაბრეშუმეობა“, **ა-ძაარა** „აღზრდა“, ანუ აბრეშუმის აღ-
რზდა“. მეაბრეშუმეობა აფხაზთათვის შედარებით ახალი საქმიანო-
ბაა, ამას ისიც მოწმობს, რომ აფხაზურში აბრეშუმის ჭიის აღმნიშვნე-
ლი სიტყვა ნასესხებია.

მფრინავი, ადამიანისათვის ესთეტიკური სიამოვნების მო-
მგვრელია **ა-ფარფალკვ/ა-ფარფალკვ/ა-ხგფგფვრ** (ზოიფ.) „პეპელა“,
შდრ.: ქართული ფარფალი/პარპალი.

VI თავი **სომატური ლექსიკა**

ფაუნის სომატური ლექსიკა აფხაზურში წარმოდგენილია ამ
ენისათვის დამახასიათებელი სემანტიკურ-სტრუქტურული მრავალ-
ფეროვნებით, გვხვდება ოდენფუძიანი, კომპოზიციითა და
ავიქსაციით მიღებული სიტყვები, ცალკეა გამოსაყოფი ნასესხები
ლექსიკა.

ოდენფუძიანი სახელები:

ა-ზ „ნაღველი“,

ა-ჭაგ „პირი“,

ა-მგა, აბაზ. **მგა** „მუცელი“,

კომპოზიციით ნაწარმოებ სახელთა შორის გვხვდება ორ, სამ,
ოთხ და ოთხზე მეტკომპონენტისანი სახელწოდებები:

ორკომპონენტისანი:

ა-მანარ, ბზ. **ა-მანჭა/ა-მანჭა** „მკლავი“, ზედმიწევნით:
ა-მა+ნარ „ხელი+მოხრილი“.

ა-უასცა „ცხვრის ტყავი“, სიტყვასიტყვით: **ა-უას+ცა**, „ცხვა-
რი+ტყავი“.

სამკომპონენტისანი:

ა-შამხგ „მუხლი“, **ა-შა+მ+ხგ**, ზედმიწევნით: „ფეხი კიდური
თავი“,

ა-შაცკვს „ფეხის ნეკი“, **ა-შა+ც+კვს**, სიტყვასიტყვით: „ფეხი
კანი ნეკი“.

ფუძე შეიცავს ხელის აღმნიშვნელი ფუძის **მა** (//**ნა**) ძირეულ
ელემენტს.

ა-მახა-შახა „კიდურები“ კომპოზიტია. ტერმინის შემადგენლობაში **მა** ელემენტი ფეხის აღმნიშვნელი **შა** ძირის ეკვივალენტურია, რაც **მა-ს** „ხელის“, ხოლო **შა-ს** „ფეხის“ აღმნიშვნელად გვაგვარაუდებინებს. აბჟ. **ხა** < ბზიფ. **ხგ** < აბაზ. **ჭა** ელემენტი საკუთრივ კიდურის აღმნიშვნელი თავდაპირველი ფუძე უნდა ყოფილიყო.

ოთხკომპონენტია:

ა-შარგ^აც^ა „წვივი, კანჭი“, ზედმიწევნით: **ა-შა+რ+გ^ა+ა^აც^ა** „ფეხი+მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გული, ამ შემთხვევაში „შუა“ +კანი, „ფეხი მათი შუა კანი“.

ა-ფგრც^აქა „ფაფარი“, ანგ **ა-ფგრც^აქა** „ცხენის ფაფარი“, **აჰა^აა-ფგრც^აქა** „ლორის ჯაგარი“ **ა-ფგ+რ+ც^ა+ქა**, ვვარაუდობთ ოთხ სემენტს: პირველი **ა-ფგ** „წინას“ უნდა ნიშნავდეს, **რ-** მრავლობითისა ჩანს, **ც^ა** „კანის“ აღმნიშვნელი ლექსემაა, **-ქა** ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის ნიშანი უნდა იყოს. ზედმიწევნით: „წინა მათი კანები“.

ხუთკომპონენტია:

ა-ც^აეაფბ^ათაქა „სხეულის ნაწილები“, სიტყვასიტყვით: **ა-ც^ა+ეა+ფ+ბ^ათაქა** „კანი და ხორცი ნაწილები“...

ა-შაპსგრგუწა, ა-შარგუწა, ა-შარგუწ (ბზ.) „ფეხისგული“: **ა-შა+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

აფიქსაციით ნაწარმოებია:

ა-ზთრა „ნაღვლის ბუმტი“ **ა-ზ**+ შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი – **თრა** “ ზედმიწევნით: „ნაღველის ადგილი“.

რედუპლიცირებული ჩანს:

- ა-ყაყა** „ზურგი“.
- ა-ფჭაჭარ** „ქოჩორი“,
- ა-ღაღ** „აკვი“;

ნასესხებია სიტყვები:

- ა-ჭაპან** „ჭიპი“,

ა-ჭაჭა „თირკმელი“,
ა-ზემზელ „ბუმბული“.

VII თავი ხმიანობა და სადგომი

საინტერესოა ფაუნის ხმიანობისა და სადგომოს აღმნიშვნელი
ლექსიკა აფხაზურში.

ისევე როგორც სხვა ენებში, აფხაზურშიც:
ხმიანობის აღმნიშვნელი სახელები ხმაბაძვითია.

ასეთებია:

აჭერჭერა „ჭიკჭიკი“ (**იჭერჭერუმიტ**, **იჭერჭერიტ**) ჭიკჭიკებს,
იჭიკჭიკა.

აყურა „ჟღურტული, დაჟღურტულება“ (**იყურუმიტ**, **იყურიტ**)
ჟღურტულებს, დაიჟღურტულა.

აღურა 1. „კრუტუნი, დაკრუტუნება“ (**იღურუმიტ**, **იღურიტ**)
(კრუტუნებს, დაიკრუტუნა), ხრუტუნი, (ხრუტუნებს, დაიხრუტუ-
ნა), ღრუტუნი (ღრუტუნებს, დაიღრუტუნა), **აგგუ ღურუმიტ** „კატა
კრუტუნებს“ 2. დრუხუნი (დრუხუნებს, იდრუხუნა); **აჰა ღურუმიტ**
„ღორი დრუხუნებს“.

აკაკარა „აკაკანი“ (**იაკაკომიტ**, **იაკაკეიტ**) კაკანებს, იკაკანა; **აკუტგ
კაკომიტ** „ქათამი კაკანებს“ **ზაყა** იკაკაზ **აყარა იმწამაც** (ანდ.) იმდენი
არ დაუღვია, რამდენიც იკაკანაო.

სადგომის აღსანიშნავად გამოიყენება ძირითადად აფიქსაცი-
ით ნაწარმოები ლექსიკა:

-**რა** ზოგადობის სუფიქსიანი:

აბოუ-რა „ბოსელი“,

ათეჯ-რა „სორო, ბუნაგი“.

-**თრა/-რთა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით
ნაწარმოები:

აკუტგ-რთა „საქათმე“,

აფხ არგლა-რთა „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი
ადგილი, ფრინველთ საბუღარი“, **აფხ არგლა** „ღამის გათევა“,

აყზ-თრა „საბატე“,
აკამბაშ-თრა „ბოსელი (კამეჩისა).

-**გარა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნა-
წარმოები:

აჟ-გარა „ძროხის ბაკი“ .

-**წარა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნა-
წარმოები:

აკუტ-წარა „საქათმე“.

-**წართა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნა-
წარმოები: ამ შემთხვევაში -**წა** და -**რთა** სუფიქსების გაერთიანებით
მიღებული:

აკუტ-წართა „საბუდარი“ (ქათმისა).

აჩეხუჩა „ახორი, ბაგა“, კომპოზიტია, **აჩე** „ცხენი“, დაჩრდი-
ლულია მეორე -**ხუჩა** კომპონენტის მნიშვნელობა.

VIII თავი

სტრუქტურული მოდელები

1. ოდენ ფუძის სახით წარმოდგენილი სახელწოდებები

აჟ „ძროხა“ ,

აღ „კამეჩი“,

აჯმა „თხა“,

აგუ „კატა“,

აბ „ბოტი, ვაცი“,

აუასა „ცხვარი“,

აჭენაფ „თაგვი“,

აჭა „ღორი“,

აჟა „კურდღელი“,

ათგ „ვერძი“,

აბგა „მგელი“,

აჩე „ცხენი“.

აყგზ „ბატი“,
აპყა „წერო“,
აგ^ატგ „ქათამი“,
აყ^აართ „კრუხი“,
აწგს „ჩიტი“,
აკ^აა „შევარდენი“,
აპ^აგპ^ა „მტრედი“,
ატგ „ბუ“,
აჩა „მწყერი“,
ა-ლაპა „ყორანი“,
ა-ხ^აშ „ქორი“,
ა-ხ^აჟ „ჩხიკვი, ჯაფარა“,
აქ^ააჩა „იხვი“,
ა-ყ^აარასა „გვრიტი“.

2. რედუბლიცირებული სახელები

ა-კუკუ „გუგული“,
ა-ყ^აყ^ა „ზურგი“,
ა-ფკაჭარ „ქოჩორი“,
ა-ღ^აღ^ა „აპვი“,
აჭგრჭგერა „ჭიკჭიკი“,
აყგჟრა „ჟღურტული, დაჟღურტულეზა“,
აღურრა „კრუტუნი, დაკრუტუნეზა“,
აკაკარა „კაკანი“,
აკარკარა „კრიახი“,
აბგგრა „ბღული“,
აყარა 1. „ყვირილი“, 2. „ღმუილი, დაღმუვლეზა, ზმუილი, დაზმუვლეზა“,
ა-რ არახ „ჯიგარი; ფილტვ-გულ-ღვიძლი“.

3. კომპოზიტები

ორკომპონენტიანი საზღვრულ-მსაზღვრელი:

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად

ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი**, ან მისი ფუძის ნაშთი:

აბგაბ⁰კჳე „მელა“, ზედმიწევნით: „მგელი პატარა“,
აბგადგუ „მგელი“, სიტყვასიტყვით: „მგელი დიდი“,
აძგშ „მერ-ქორი“ **შა < შგ⁰აკ⁰ა** „თეთრი“ ზედსართავი სახელის ნაშთი,

მსაზღვრელ-საზღვრული:

2. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი:**

გარეულობის აღსანიშნავად ცხოველის აღმნიშვნელ სახელის ფუძეს წინ ერთვის **აზნა/ აზენ /აზნ** „ტყე“ ლექსემა:

აზნაგ⁰ „ხარ-ირემი“: **აზნა** „ტყე“, **აგ⁰** „ხარი“,
აზენჳა „ტახი“: **აზენ** „ტყე“, **აჳა** „ღორი“,
აზენჩა „ფურ-ირემი“: **აზენ** „ტყე“, **ჩა** „ცხენი“,

ა-მაზ⁰არ, ბზ. **ა-მაზ⁰ჳა/ა-მაზ⁰ჳე** „მკლავი“, ზედმიწევნით: **ა-მა+ზ⁰არ** „ხელი+მოხრილი“.

ა-უასგ⁰ა „ცხვრის ტყავი“, სიტყვასიტყვით: **ა-უას+გ⁰ა**, „ცხვარი+ტყავი“.

სამკომპონენტთან

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + **არსებითი სახელი + მასდარი აბგჳათაჳარა** „აბლაბუდა, ობობას ქსელი“, სიტყვის პირველი ნაწილი

აბგზ „ენა“, მეორე ნაწილი აკათა „ბადეა“, **აჳარა** „ქსოვა“.

აშამხე „მუხლი“, **ა-შა+მ+ხე**, ზედმიწევნით: „ფეხი კიდური თავი“,

ფუძე შეიცავს ხელის აღმნიშვნელი ფუძის **შა** (//ნა) ძირეულ ელემენტს.

ა-მაზა-შაზა „კიდურები“ -კომპოზიტია. ტერმინის შემადგენლობაში **შა** ელემენტი ფეხის აღმნიშვნელი **შა** ძირის ეკვივალენტურია, რაც **შა-ს** „ხელის“, ხოლო **შა-ს** „ფეხის“ აღმნიშვნელად გვავარაუ-

დებინებს. აბჟ. **ხა** < ბზიფ. **ხგ** < აბაზ. **ჰა** ელემენტი საკუთრივ კიდურის აღმნიშვნელი თავდაპირველი ფუძე უნდა ყოფილიყო.

ა-ბავლაშა, ა-ბგვლაშა „მვლის ტვინი“

ა-ბგვ „ძვალი“ + **ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **შა** ელემენტი **ა-ხშავ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი.

ოთხკომპონენტიანი

აშარგანც „წვივი, კანჭი“, ზედმიწევნით: **ა-შა+რ+გ+ანც** „ფეხი+მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გული, ამ შემთხვევაში „შუა“ +კანი, „ფეხი მათი შუა კანი“.

ახხგვლაშა, ახხვლაშა, ახშავბავ „ტვინი“, **ა-ხ+ბგვ+ლა+შა**, თავი+ძვალი+ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **ახშავ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი -**შა** ელემენტი.

ხუთკომპონენტიანი

ანციფხთაქა „სხეულის ნაწილები“, **ანც+ეფ+ქ+ხთა+ქანც** „კანი“ +**ეფ** საურთიერთო მიმართების აფიქსი **ან > ეფ + ქ** „ხორცი“ + **ხთა** „წილი, ხვედრი“ + **ქა** ნივთის კატეგორიის მრავლობითობის აფიქსი. სიტყვასიტყვით: „კანი + ურთიერთ +ხორცი + წილი, ხვედრი + ები“.

ამაპსგრგუწა, ამარგუწა, ამარგუწ (ბზ.) „ფეხისგული“ **ა-შა+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

ამაცკარაქა მრ. რ. (მხ.რ. ა-შაცა) „ფეხის თითები“, **ა-შა-ც-კ-არა-ქა, შა** „ფეხი“+**ც** „კანი“+**კა** – სიმცირე-სიპატარავის აღმნიშვნელი ელემენტი + **-რა** კრებითი მრავლობითის აფიქსი + **-ქა** ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის აფიქსი.

IX თავი

აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი ზმნური და სახელური აფიქსები და აფიქსოიდები

ფაუნის ლექსიკაში თავს იჩენს სხვადასხვა **მორფემები**, **ზმნური** და **სახელური** სიტყვათმარმოებელი ელემენტები:

ზმნური ელემენტები

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „ლ“-ს რიგისა:

1. რ- მე-3 პირის მრავლობითობის პრეფიქსი:

აყარმაწგს, ანც ა - რ - წგს „ბულბული“ „ღმერთების (მათი) ჩიტი“,

არწ გ-რ-ახ აც „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია,

აბგა-რ-გმმ „ციცინათელა“, „მგელი (მათი) ბუზი“

აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო: **აბგა-ქ ა- რ-გმმ** „მგლები (მათი) ბუზი“. კომპოზიციის დროს კი, მსაზღვრელი სიტყვის ნივთის კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ქ ა სუფიქსი გაუჩინარებულია და მსაზღვრელის მრავლობითობა მხოლოდ კუთვნილების გამომხატველი -რ პრეფიქსითაა გადმოცემული.

ა-შაპ-სგ-რ-გუ-წა, ა-შარ-გუ-წა, ა-შარ-გუ-წ (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტია: **ა-შაპ+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+ (სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი) **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ-** აფიქსი + **გუ** „გულის“, (ამ შემთხვევაში) „შუას“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა **+წა** ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

ა-შარან „დედა ფუტკარი“, სიტყვის პირველი ნაწილია იგივე **ა-შა** „ფუტკარი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების **რ-** პრეფიქსი და **ან** „დედა“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „ფუტკარი (მათი) დედა“; აღსანიშნავია, რომ სიტყვა მხოლოდით რიცხვშია, აფიქსი კი მრავლობითობისა აქვს. ისევე როგორც (**არწ გ-რ-ახ აც** „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია“, **აბგა-რ-გმმ** „ციცინათელა“, „მგელი (მათი)

ბუზი“) შემთხვევაში. სავარაუდოდ, განზოგადებულია მსაზღვრელი სიტყვა.

2. სამიმართებო ზ პრეფიქსი:

აშაპგ-ზ-აწ „ვისაც ცალი ფეხი აქვს ის“ **ა-შაპგ-ზ-აწ** „სავათი“ სიტყვასიტყვით: „ფეხი რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. **ზ-** სამიმართებო პრეფიქსია: „ვისაც“.

3. რ- კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი:

აკამგ-რ-შ.შ.ა „ლოკოკინა“, **აკამგერშ.აშ.** (ბზიფ.), აკამ < აკან, (შე-საძლოა ნასესხები ქართულიდან) **რ-** კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი, (**ა**)**შ.შ.ა** „ცხიმი, ქონი, საპოხი“ სიტყვასიტყვით: „კანგაქონიანებული“, საზღვრული წინ უძღვის ვითარებითი ზედსართავით გამონხატულ მსაზღვრელს.

სახელური ელემენტები

1. მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი -ღ:

- აბა-ღ „კურო“,
- ათგ-ღ „ყოჩი“,
- აბა-ღ „ვაცი“,
- აღ ა-ღ „კურო“,
- აჰაფა-ღ „კერატი“.

2. მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი აბ „მამა“ ლექსემა, ან უკვე აფიქსოდად ქცეული მისი ნაშთი:

- აღ გ-აბ „ხვადი კატა“: აღ გ ° გ „კატა“, აბ „მამა“,
- აბღ-აბ „ხარჯიხვი“: აბღა „ჯიხვი“, ბ < ბა „მამა“,
- აბ „ბოტი“,
- აღ გ °-აბა (ბზ.) აღ გ ° აბ „ხვადი კატა“,
- აბღ-აბ „ხარ-ჯიხვი“,
- აჩა-აბა „მამალი ცხენი“, აბტა „ვაყა“.

3. კომპოზიტს ერთვის მდედრობითობის -ან „დედა“ ლექსემა:
აჩა-ან „ფამატი“.

4. კომპოზიტს ერთვის -ფს მდედრობითობის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი:

- აღგ ° ა-ფს „ძუ კატა“,

აჩადა-ფს „ჭაკი ვირი, ფაშატი, ვირი, ხრდალი“,

აჟა-ფს „დედალი კურდღელი“,

აფს-ლაპ „ნეზვი, დედალი არჩვი“.

5. კომპოზიტს ერთვის დიმიწუტივის -ს სუფიქსი:

ასგს „ბატკანი“,

აძგს „თიკანი“,

აპგს „ხბო“,

აგწგს „მოზვერი“,

აშგშ < აშგს „გოჭი“.

6. -სსა სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის აღსანიშნავად:

აფსგშსა „ჭიჭყინა“, **-სსა** სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის გამომხატველია. ზედმიწევნით: „თევზ წვრილი“.

აკუბრგ სსა „წვრილი ქინქლა“.

7. ზოგადობის სუფიქსი -რა:

აბოუ-რა „ბოსელი“,

ათგვ-რა „სორო, ბუნაგი“

8. დანიშნულების -ტ° სუფიქსი:

ა-ფსაა-ტ° „ფრინველი“,

წაყა-ტ° „ქვეწარმავალი“.

ფრინველის ზოგადი სახელწოდებაა **ა-ფსაა** // **ა-ფსაატ°**, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ეკუთვნის ქეთევან ლომთათიძეს. მკვლევრის აზრით, ლექსემის ძირი უნდა მომდინარეობდეს ტაპანთურში დადასტურებული **აფშარა** „ფრენა“ ძირისაგან, რომელიც პირაქეთა დი-ალექტების (აბჟუურისა და ბზიფურის) **აფსაა**-ს სავსებით თანხვედნილია: **შ**-ს დაკარგვის ნიადაგზე ვიღებთ **აა**-ს. რაც შეეხება **-ტ°** სუფიქსს, იგი აფხაზურსა და აბაზურში ძალზე პროდუქტიულია, გამოხატავს კუთვნილებას, გამოიყენება ნაზმნარ არსებით სახელებში სამოქმედო, მოქმედებისათვის განკუთვნილი სახელის საწარმოებელ აფიქსად. მაგ.: **აშ-ტ°** „დასაკლავი“, **აყაწა-ტ°** „გასაკეთებელი“ და სხვ. **ა-ფსაა-ტ°** სიტყვის მნიშვნელობა უნდა იყოს „საფრენი“, „ფრენისა“, „ფრინველი“ (ლომთათიძე 1945: 311).

9. დანიშნულების -ს>-ზ სუფიქსი:

ა-შაპსგრგუწა, ა-შარგუწა, ა-შარგუწ (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთ-კომპონენტანია: **ა-შა+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის

მრავლობითობის **რ-** აფიქსი+**გუ** გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

ა-ძთას „ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩეკი, წყალჩიტა“, რომელშიც **ამ < აძე** „წყალია“, **-თა-** ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, **-ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწეს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

10. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -რთა / -თრა სუფიქსი:

-თრა/-რთა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები:

აკუტე-რთა „საქათმე“

აფხარგლა-რთა „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხარგლა** „ღამის გათევა“,

აყეზ-თრა „საბატე“,

აკამბაშ-თრა „ბოსელი (კამეჩისა),

ალა-თრა „მაღლის ხუხულა“,

აჟ-თრა „ბოსელი“,

აწეს-თრა „ჩიტის ბუდე“ .

ათეჯრა „ბუდე“ ლექსემის დართვით ნაწარმოები:

აწეს-თეჯრა „ჩიტის ბუდე“

ფრინველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის **-რთა / -თრა** სუფიქსი:

აწეს-თრა // **აწეს-თეჯრა** „ჩიტის ბუდე“, **აკეტე-რთა** // **აკეტე-წა-რთა**

„საბუდარი“, **ა-ფხარგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხარგლარა** „ფრინველის დაჯდომა ღამის გასათევადა, დაბუდება“. **-რთა / -თრა** სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს **ათრა** „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება.

ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სახელის განზოგადებასა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს **აწეს** „ჩიტი“ ლექსემის შემთხვევაში იყო.

11. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი - გ^არა სუფიქსი:
ა^ე - გ^არა „მროხის ბაკი“ .

12. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი - წ^არა სუფიქსით
ნაწარმოები:

აკუტ-წ^არა „საქათმე“.

13. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი - წ^{ართა} სუფიქსით
ნაწარმოები:

ამ შემთხვევაში - წ^ა და -რ^{თა} სუფიქსების გაერთიანებით მიღე-
ბული:

აკუტ-წ^{ართა} „საბუდარი“ (ქათმისა).

14. ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი ლოკალური ელემენტე-
ბი:

-წ^ა

ა-შაპსგრგუწ^ა

ა-შარგუწ^ა, ა-შარგუწ^ა (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტია-
ნია: ა-შა+სგ+რ+გუ+წ^ა, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სა-
ვარაუდოდ დანიშნულების აფიქსი სგ + მესამე პირის მრავლობითო-
ბის რ- აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე
სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

-შ^{თა}

აშთანჭ^გ

ქ. ლომთათიძე ასე შლის ამ სიტყვას: ა- (ტაპანთურისათვის
არადამახასიათებელი სიტყვათა ნომინაციის დროს) შესაძლოა თავ-
კიდურად მოქცეული შ^{თა} კომპლექსის ბუნებით იყოს გამოწვეული,
თუმცა შ^{თანჭ^გ} სახეობაც გავრცელებულია.

-შ^{თა}- „კვალი“, „ქვევით“, „ძირს“ ლექსემაა, ამჟამად გაბატონე-
ბულია შ^{ტა} სახეობა, -წ^ს სუფიქსი გამოხატავს ადგილს, ზმნისართუ-
ლი ფუძის მაწარმოებელია....და მისგან -წ^გ, ჭ^გ (< ტ^გ) განკუთვნი-
ლება, წარმომავლობის სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული
აშთანწ^გ // აშთანჭ^გ, რომელიც უნდა ნიშნავდეს „ძირისა“, „ქვე-
დაური“, ე. ი. „მიწისა“ („მიწიერი“), ასეთ ახსნას სარწმუნოს ხდის
ს. ჯანაშიას მიერ აფხაზურში დადასტურებული გველის ერთ-ერთი
ტაბუირებული სახელწოდება წაყატ^გ, ე. ი. „ქვედა“ (ჯანაშია 1968:
161).

-თა-

ა-ძთას

„ჭარლი, ალკუნი, ზამთარმჩევი, წყალჩიტა“, რომელშიც **ამ** < **ამე** „წყალია“, -**თა-** ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, -**ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწეს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის -**ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

-ლა-

ა-ხბგვ-ლა-ში, ა-ხბავლაშია, ა-ხშიგბავ „ტვინი“, **ა-ხ+ხგვ+ლა+ში, ხ** „თავი“+**ხგვ** „ძვალი“+**ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **-ში** ელემენტი – **ა-ხშიგვ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი.

X თავი **ნასესხები ლექსიკა**

ქართულიდან ნასესხები უნდა იყოს შემდეგი სახელწოდებები:

- ა-კუკუ** „გუგული“,
- ა-ჭენჭა** „პატარა ჩიტი, რომელიც ღობეში ძვრება“ შდრ.: „ჭინჭრაქა“,
- ა-უარბა** „არწივი, ორბი“, შდრ.: „ორბი“,
- ა-უარბაყ** „ძერა“ შდრ.: „ორბი“,
- ა-კაფკავ** „მთის კაკაბი, შურთხი“, შდრ.: „კაკაბი“,
- ა-მალაღურ // ა-მლაღურ** „მოლაღური“,
- ა-შაუარდენ** „შევარდენი“,
- ა-ბადრეი // აბადგრ** „ბელურა“,
- აყრან** „ყვავი“, შდრ.: „ყორანი“,
- აგად** „გედი“,
- ა-კტგ** „ქათამი“ შდრ.: კვატა,
- ა-ჭგჭ** „მტრედი“, შდრ.: ხოხოზი,
- ა-ტგ** „ბუ“ შდრ.: „ტოროლა“,
- ა-ხგმზგლ** „ბუმბული“,
- აკალმაჰ // აკამლაჰ** (ბზიფ.) „თევზი“,
- აგულშაპ** „გველეშაპი“,
- აულაგურ // აოლაგურ, ამლაგურ** (ბზიფ.), „ორაგული“,

აქენტბ „ზუთხი“,
აღლამ „ღლაგი“,
აკამბელა, აკამბულ, ასეყა (ზზიფ.), „კამბალა“,
ახამსია, ახამსა „ხამსა“, (აბჟ.) **აკამშია, ახამსე**, (ზზიფ.), „ხამსა“,
აწერედ, აწარედ „წერედი“,
ათოფრა (აბჟ.), „თევის წყლიდან ამოხტომა, ქვირითის და-
საყრელი ადგილისაკენ სწრაფვა“ (შდრ: იმერ. ტოფი) (ზღაჟბა : 1964)
და ასევე მერ. ტოფი.
ა-ჭაპან „ჭიპი“,
ა-ჭაჭა „თირკმელი“.

რუსულიდან ნასესხებია:

ა-პოპუგაი „თუთიყუმი“,
სეიჰაჩ „ხამსა“.

დასკვნები

1. აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი ცხოველთა (ფაუნის) სახელწოდებებს მოიცავს.
2. ფაუნის ლექსიკა აფხაზურში იყოფა ორ ჯგუფად; ნასესხები სიტყვები და სახელწოდებანი, რომელთა ახსნაც აფხაზური ენის სა-შუალებითაა შესაძლებელი.
3. ცალკეა გამოსაყოფი ფაუნის ლექსიკის გარკვეული ნაწილი, რომლის წარმოშობაც უკვე დაჩრდილულია.
4. ცხოველთა აფხაზური სახელწოდებანი ორ ჯგუფად იყოფა: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარ-ცვალსაც არ აღემატება; ლექსემათა გარკვეული ნაწილი მიღებულია აფიქსაციით; სახელწოდებათა უფრო დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს.

5. კომპოზიტები, ძირითადად, აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

6. აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკა სტრუქტურულად ასე გამოიყურება:

ორკომპონენტური კომპოზიტები:

1. საზღვრულ-მსაზღვრელი

სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (უმეტესად ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + ზედსართავი სახელი (ან მისი ფუძის ნაშთი).

ა) ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი.

ბ) ს. მ.: არსებითი სახელის ფუძე + სიწვრლის, სინორჩის შემცველ ცნებათა ფუძის ნაშთები, დიმინუტივის სუფიქსი.

2. მსაზღვრელ-საზღვრული

სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი + არსებითი სახელი.

ს. მ.: არსებითი სახელი (აზნა „ტყე“ ლექსემა) + არსებითი სახელი (ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა).

სამკომპონენტური კომპოზიტები:

მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრული:

ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი.

ს. მ.: არსებითი სახელი (ცხოველის სახელწოდება) + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი + არსებითი სახელი.

ოთხკომპონენტური კომპოზიტები:

მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრულ-მსაზღვრელი

ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი.

ხუთკომპონენტური კომპოზიტები:

ს. მ. არსებითი სახელი + დანიშნულების პრეფიქსი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ლოკალური აფიქსი.

7. ფაუნის ლექსიკის სტრუქტურულმა ანალიზმა ცხადყო, რომ კომპოზიციის შედეგად მიღებულ ფაუნის ლექსიკაში უფრო პროდუქტიულია მსაზღვრელ-საზღვრულიანი წარმოება საზღვრულ-მსაზღვრელიანთან შედარებით.

8. ცხოველთა სახელწოდებებში გამოვლინდა სახელური და ზმნური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

1. სახელური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

ა) **-ღ** მამრობითი სქესის ცხოველ-ფრივენლთა აღმნიშვნელი აფიქსოიდი,

ბ) **-აბ > ბ** მამრობითობის აღმნიშვნელი აფიქსოიდი,

გ) **-ან** მდედრობითობის აღმნიშვნელი აფიქსოიდი,

დ) **-ფს** მდედრობითობის აღმნიშვნელი აფიქსოიდი,

ე) **-ს** დომინუტივის აფიქსი,

ვ) **-სსა** სიწვრილე/სიპატარავის აფიქსი,

ზ) **-რა** კრებითობის სუფიქსი,

თ) **-რა** აბსტრაქტულობის სუფიქსი,

ი) **-ზ < -ს** გარდაქცევითობის აფიქსი

კ) **-ტე** დანიშნულების სუფიქსი,

ლ) **-რთა/-თრა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი,

მ) **-გარა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი,

ნ) **-წარა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი,

ო) **-წართა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი.

2. ზმნური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

ა) კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან მომდინარე ელემენტი „ლ“-ს რიგისა: **რ-** III პირის მრავლობითობის (კუთვნილების) გამომხატველი პრეფიქსი.

ბ) **ზ-** სამიმართებო პრეფიქსი,

გ) **რ-** კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსი

9. კომპოზიტებში გამოვლინდა ლოკალური პრევერბები: **-წა-**, **-შთა-**, **-თა-**, **-ლა-**.

10. ნაშრომში გაანალიზებულია 400-მდე ლექსიკური ერთეული. მრავლადაა საერთო იბერიულ-კავკასიური ძირის მქონე სიტყვები.

ფაუნის ლექსიკის გარკვეული ნაწილი ნასესხებია უმეტესად ქართველურ ენათაგან.

სიხშირის მიხედვით **ცხოველთა** აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილზე ოდენფუმიანი წარმოებაა, მეორე ადგილზე ცხოველთა გარეული ჯიშების აღმნიშვნელი სახელწოდებებია, რომლებიც **აბნა** „ტყე“ ლექსემას შეიცავს, ბოლო ადგილი ვითარებით ზედსართავ სახელდართულ ფუძეებს უკავია. ასეთებია:

აბგახ⁰ეჰე „მელა“, ზედმიწევნით: „მგელი პატარა“,

აბგადეჟ „მგელი“, სიტყვასიტყვით: „მგელი დიდი“.

ამ შემთხვევაშიც აფხაზურ ენაში არსებული მოდელი, საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარებისა, დაცულია. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც ცხოველთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები ამჟამად არსებით სახელად ქცეული ზმნური ფუძეებია:

ალალა „ირაო საქონელი“ (შდრ. ა-ლა-ლა-რა „რამეში შიგ შე-სვლა“), აგრეთვე **-ხ** სუფიქსით ნაწარმოები სახელწოდება **ა-შ^ა-რა-ხ** „ნადირი“ (შდრ. ა-შ^ა-რა „ნადირობა“).

ფრინველთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში პირველ ადგილ-ზეა კომპოზიტები, მეორეზე ოდენფუძიანი წარმოება, მამრობითი და მდედრობითი სქესის მორფოლოგიური ასახვა ფრინველთა სახე-ლებში არ არის სისტემატური.

უმდაბლესი ხერხემლიანების აღმნიშვნელი სახელწოდებანი აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოირჩევა თავისი მცირერი-ცხოვნობით. **თევზების** აღმნიშვნელი სახელები ძირითადად ნასეს-ხოებებს წარმოადგენს. **ქვეწარმავალთა** და **ამფიბიების** სახელები კი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის საკუთრება ჩანს. ამას ადასტურებს აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ბგერათმესატყვევისობანიც, და ამ სა-ხელთა აგებულებაც, რომელშიც აფხაზური ენისათვის დამახასია-თებელი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი გამოსჭვივის.

ნაწლავდრუიანთა ლექსიკა გაუფორმებელი ფუძით ან კომპო-ზიციითაა მიღებული.

კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს, მი-მართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს. ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრე-ლი კი მოსდევს საზღვრულს. ნაწლავდრუიანთა აღმნიშვნელი სა-ხელწოდებანი აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოირჩევა თავი-სი მცირერიცხოვნობით.

მწერთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურულად არის: ოდენფუძიანი, აფიქსიანი, კომპოზიციით მიღებული, ორ და მე-ტკომპონენტისანი. ზემოთ განხილული, კომპოზიციის გზით შედგე-ნილი სახელწოდებები, აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა და ც-ვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებებისაგან განსხვავე-ბით, მწერთა სახელწოდებებში მოტივაცია ნაკლებად შეინიშნება. ლექსიკური ფონდის ეს უბანი ოდენფუძიანი სახელწოდებების სიმ-რავლითაც გამოირჩევა.

სომატურ ლექსიკაში უძველესი ჩანს მცირე რაოდენობით წარმოდგენილი, ოდენფუძიანი სიტყვები.

ცოტაა ნასესხები მასალაც. მრავლადაა კომპოზიციით მიღებული ლექსემები.

ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა ძირითადად ხმაბაძვით, რედუპლიკაციის შედეგად მიღებულ სიტყვებს შეიცავს.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

„სამთილო / სამთილი“ – ქორწინების გზით შექმნილ ნათესავთა აღმნიშვნელი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში დაცულ დიალექტურ მასალებში (1949-1988) დასტურდება სოფელ ჭიორაში ჩაწერილი ანდაზა „სამთილონი – სათბილონი“ (ტექსტის ჩამწერი გ. რეხვიაშვილი). რაჭული დიალექტის ლექსიკონში (ავტ.-შემდგ. ალ. კობახიძე) **სამთილი / სამთილო** განმარტებულია, როგორც „ქმრის ოჯახი“, იქვე გვხვდება იმავე მნიშვნელობის სიტყვა **სამთილოობა** („ქმრის ოჯახი, ოჯახი, სადაც გათხოვილი ქალი ცხოვრობს“). ამ უკანასკნელის ოდნავ სახეცვლილი ფორმა დასტურდება ერთ ეთნოგრაფიულ ტექსტში, რომელიც, თავის მხრივ, განსახილველი ლექსემის სემანტიკასაც ცხადად წარმოაჩენს: „ჩვეულების ძალით უშვილო ქალი ... მეუღლეს თავის ნაცვალს მიუყვანდა და ქმარს კერას არ გაუცივებდა. შემდეგ ის ან ოჯახში რჩებოდა და მის „ფეხს“ შვილების გაზრდაში ეხმარებოდა, თუ თავს ვერ მოერეოდა, **სამთილობიდან** დიდსულოვნად მიდიოდა და თავის სახლს უბრუნდებოდა“ (ლ. ფრუიძე).

სწორედ **სამთილოა** ის დიალექტური ერთეული, რომლის საშუალებითაც ქეთევან ლომთათიძემ **„მთილის“** სემანტიკა დაადგინა, რითაც, თავის მხრივ, ქორწინების გზით წარმოქმნილი ნათესაობის ტერმინთა წყვილის – დედამთილ-მამამთილის – ეტიმოლოგია განსაზღვრა.

ქართველურ ენათაგან მხოლოდ ქართულისთვის არის დამახასიათებელი განსხვავებული წყვილ-წყვილი ტერმინის – დედამთილ-მამამთილისა და სიდედრ-სიმამრის – გამოყენება ქმრისა და ცოლის მშობლების აღსანიშნავად. მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ქმრის დედ-მამაცა და ცოლის დედ-მამაც დედამთილ-მამამთილის შესატყვისი ლექსიკური ერთეულებით აღინიშნება: მეგრ. დიანთილი, მუანთილი (იოსებ ყიფშიძეს დამოწმებული აქვს შემდეგი სახეობებიც: დიანთირი, დიანთელი და მუანთირი, მუანთელი); ლაზ. დამთირე, მთირი; სვან. დიმთილ, მიმთილ (აღნიშნული ფორმები მეგრულიდან ნასესხებად მიიჩნევა; სვანურში ასევე დასტურდება შემდეგი სახესხვაობებიც: დიმეთილ, მუმეთილ).

დასახელებული ტერმინების (გარდა ლაზური „მთირისა“) კომპოზიტიური წარმოშობა ეჭვს არ იწვევს, ნათელია თითოეულის პირველი კომპონენტის სემანტიკაც. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, მის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ი. ყიფშიძემ მთირ-/მთირ- მეგრულ-ლაზური ფუძეები მეგრულ „თირუა“ („გამოცვლა“) ზმნის ძირს დაუკავშირა, რაც არ იქნა გაზიარებული. ბ. გიგინეიშვილმა ქართული *მთილ -ილ სუფიქსიან მიმდევობად მიიჩნია და *მთ-ს ვლთ- ძირთან (ვლთ-ომ-ა „განყოფა, განშორება“) კავშირი ივარაუდა.

3. ფენრიხისა და ზ. სარჯველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონზე“ დაყრდნობით, აღნიშნულია: „ლაზური **მთირ**-ი (**მთილ**-ის კანონზომიერი შესატყვისი) მოწმობს, რომ ეს ფუძე ადრე ქართველურ ენებში დამოუკიდებლად იხმარებოდა და მას უფრო ზოგადი სემანტიკაც ჰქონდა. **დედა-მთილ**-, **მამა-მთილ** კომპოზიტთა პირველი ნაწილის დართვა ამ ზოგად მნიშვნელობას აკონკრეტებს“. მოხმობილი მსჯელობა შემდეგნაირად სრულდება: „საფიქრებელია, მთილ- წარმოქმნილი ფუძე იყოს (**მ-თილ**- ?)“. როგორც ჩანს, ლექსიკონის ავტორები არ იცნობდნენ 1984 წელს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში გამოქვეყნებულ ქეთევან ლომთათიძის წერილს, რომელშიც მეცნიერი სემანტიკურთან (შიდაფორმობრივთან) ერთად, სიტყვა **მთილის** გრამატიკულ (გარეფორმობრივ) მოტივირებულობას ასაბუთებს. იგი წერს: „ქართულში დამოყრებით შექმნილი ნათესავები არიან მოკეთეები, კეთილები. აღნიშნულ ფუძეს უნდა შეიცავდეს თავად მთილი და სა-

მთილო“. მეცნიერი ვარაუდობს „კეთილ“ და „მოკეთე“ ვარიანტთა უფრო რთული ფუძით არსებობას *მ[v]-კეთილი / *მ[v]-კეთილ-ე (შდრ. ტრფიალი / მო-ტრფიალი / მო-ტრფიალ-ე). ამ დაშვების საფუძველზე ირჩევს **მეკეთილე** ფორმას და მსჯელობას შემდეგნაირად ავითარებს: „მ- პრეფიქსის მომდევნო ხმოვნის რედუქციით მკ კომპლექსი უნდა წარმოქმნილიყო, კომპლექსის ცვლილების შედეგად ჩავარდნილი ჩანს კ თანხმოვანი, რის ნიადაგზეც უნდა მიგველო „მეთილ“. ეს სავარაუდო სახეობა დასტურდება კიდევ სვანურ დი-მეთილ, მუ-მეთილ ვარიანტებში“. მეთილ-ის შემდგომი გამარტივებით, ე ხმოვნის ჩავარდნით, მიიღება „მთილო“, რომელიც შემონახულია როგორც „სამთილოში“, ასევე იმავე მნიშვნელობის სვანურ „ლამთილშიც“.

მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ დამატებით არგუმენტებს, რითაც უკეთ წარმოჩნდება „მთილის“ „კეთილის“ სემანტიკასთან დაკავშირების საფუძველიანობა.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

ერთ-ერთი უძველესი სვანური არქაული ლექსიკური ერთეულის ეტიმოლოგიისათვის. II. უჩეხტა¹

„სვანური ენის ქრესტომათის“ ბალსზემოური ნაწილის ერთ-ერთ ტექსტში – **მრშ-მრშ ლამზერ ადგილარ ი ეჩე ლიმზერ** „სხვადასხვა სალოცავი ადგილები და იქ ლოცვა“ (1978:17), რომელიც დაწერილია ლენჯერელი ს. გულედანის მიერ 1940 წელს, ვკითხულობთ: **„ქრისდიანრე ლანწამ ღერთარენქა ჯჷინალდ შჷანარს მრშ-მრშ ღერთარ ხამწმენახ, ეგრხის ეჩუმ პატიჷს ხაჩომდახ ი ხაყჷლონდახ, ერე ღერბათდ ხოშა. შჷანარს ეგრხი მნარალი წყილდან მნარალ ხოხალდახ; ოხაშინ უირამარე ღერთარი ხამწმენხ...** „ქრისტიანი ღმერთების გარდა ძველად სვანებს სხვადასხვა ღმერთების სწამდათ თურმე,

¹ ნაშრომი მომზადდა 2023 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური რელიგიური ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტები“ – ფარგლებში.

ზოგს ისეთ პატივს მიაგებდნენ და ისე ეშინოდათ, როგორც ნამდვილი ღმერთის. სვანებს ზოგიერთი ადამიანებიც წმინდანებად მიაჩნდათ. ზოგჯერ კი ებრაელთა ღმერთებიც სწამდათ (ზედმიწ. – **ქრისტ-იან-ებ-ის**) *სა-წამ-ო **ღმერთ-ებ-ის**) გარდა ძველად სვან-ებ-ს სხვადასხვა **ღმერთ-ებ-ი** *ნა-წამ-ებ-ა-თ, ზოგს იმ-**ზომა პატივ-ს** უქმოდნენ და ეშინოდათ, რომ **ღმერთ-ად** უფრო. **სვან-ებ-ს** ზოგი კაცებიც **წყლ-იან-ი** კაცები ეგონათ. ზოგჯერ **ური-ებ-ის**) **ღმერთ-ებ-ი-ც** ს-წამ-დ-ათ)“ და იქვე ჩამოთვლილია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **ტეჩხტარ, სოლომნ, ან, აფსანთ, სუნდუქ დეცემ** და ა. შ., რომელთა უმეტესი ნაწილი მეცნიერთა მიერ მეტნაკლებად ნაკვლევა და, ამასთანავე, მათი ნაწილი სხვა ენათაგან შეთვისებულად ითვლება სვანურში (მ. საღლიანი).

ამჯერად ჩვენი დაინტერესება, ბუნებრივია, გამოიწვია უცნობი ეტიმოლოგიის **ტეჩხტარ** ლექსემამ, რომელიც ზემოთ დასახელებული ტექსტების გარდა ვერც სხვა ნაბეჭდ ტექსტებში, ვერც ზეპირმეტყველებაში ვერ დავადასტურეთ და შესაბამისად, ფაქტია, არც არავის უკვლევა.

„სვანური ენის ქრესტომათის“ მიხედვით, **ტეჩხტარ** ერთ-ერთი ღმერთის სახელია, რომლის სახელზეც პარასკევობით აღველინებოდა ლოცვა: „ამზუ ღერბათ **ტეჩხტარს** ხაყლახ [შუანარ] ი ეხას ჭებშარს ხემზერდახ. ლემზირჟინ ეჩრ ნახაზს ხანახ... (ბზ., სვან. ენის ქრესტ., 1978, 21:7) „ერთ-ერთ ღმერთს ვეჩხტარს ეძახდნენ სვანები და მის სახელზე პარასკევობით ლოცულობდნენ. სალოცავ პურზე კი მის გამოსახულებას გამოსახავდნენ ხოლმე (ზედმიწ. – ერთ **ღმერთ-ს**) ვეჩხტარს ეძახდნენ **სვან-ებ-ი** და იმას პარასკევობით *ე-ზორ-ებ-ოდ-ნენ. სა-ზორ-ავ-ზე იმი[ს] ნახაზს ა-დგ-ამ-დ-ნენ“. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სეფისკვერზე სწორედ ამ, ერთი შეხედვით საკმაოდ ბუნდოვანი, არქაული და დიდი ინფორმაციის მატარებელი **ღმერთის** (თუ **ღვთაების**) გამოსახულებას გამოსახავდნენ, რომელიც შესაძლოა წარმართობის დროინდელიც კი აღმოჩნდეს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურისა და ამასთანავე „სვანური პროზაული ტექსტების (ოთხივე ტომის)“ მიმოხილვამ გვაჩვენა, სხვა ინფორმაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არ მოგვეპოვება, თუმცა საინტერესო აღმოჩნდა როგორც ქართული ეთნოგრაფიული მასალების გაცნობა, ასევე ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ქართული **ცოცხალ-ი...** სიტყვის შესატყვისობისათვის გამოყე-

ნებული ზანური ფორმების: {ო-**ჩხ**-არ-ი}, {ო-**ჩხ**-ი} „შესაწევარი“ (მ. ჩუხუა) განხილვა.

ქართულ-ზანური *ოჩხარი/ოჩხი/ონჩხი...* ძალზე გავრცელებული ტერმინი იყო საქართველოში, რომელსაც დიალექტების მიხედვით რამდენიმე მნიშვნელობა უდასტურდება: 1. „აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული ჩვეულება – დაზარალებული მეცხვარის დახმარება“...; 2. „ხელმოკლე (ჩვეულებრივ, რაიმე უბედური შემთხვევის გამო დაზარალებული) კაცის კოლექტიური დახმარება საქონლით, მარცვლეულით, ფულით“; 3. „შრომითი დახმარება გასამრჯელოს გარეშე, სამუშაოს პატრონის მიწვევით, გულუხვად გამასპინძლებით. ანალოგიური ფორმაა ნადი“; 4. გარდა მატერიალურისა, *ოჩხარი* გულისხმობდა „მეზობლების მიერ გაჭირვებული ოჯახის შრომით დახმარებას, როგორც მემინდვრეობასთან დაკავშირებული სამუშაოებისას, ისე სახლის მშენებლობისას“...; 5. „საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი, ჩვეულებრივ შემოდგომაზე, როდესაც ჭირნახულს დააბინავებდნენ“; 6. „მასობრივი ნადირობის შემდეგ მოწყობილი საერთო სასოფლო ლხინი (რაჭა)“ და ა. შ.

ცხადია, იგი დასტურდება სულხან-საბას, ი. გრიშაშვილის, ნ. ჩუბინაშვილის, ა. ქობალიას და სხვ. ლექსიკონებშიც ასევე სხვადასხვა მნიშვნელობით.

სათანადო მასალების შესწავლამ კი აჩვენა, რომ სვანურში ამ კეთილშობილური და მეტად ჰუმანური საქმის აღმნიშვნელად, სულ სხვა ტერმინები (**ნოდობ** „ნადი, მამითადი“, **გალდმობ** „დიდი ნადი მშენებლობის დროს“, **ახანახა** „თიბვის დაწყება ნადის დახმარებით“, **ლიწუნწი** „შემწეობა ფულის სახით“...) დასტურდება, რომელთაც სიტყვა *ოჩხართან* სტრუქტურულად ვერ დავაკავშირებთ, თუმცა ჩვენ მიერ „სვანური ენის ქრესტომათიაში“ მიკვლეული ერთ-ერთი „ღმერთის“ სახელად წოდებული **ჟეჩხტარ**, შესაძლოა სწორედ აღნიშნულ ფუძესთან იყოს კავშირში.

მოხსენებაში ვრცლად იქნება წარმოდგენილი *ღმერთის* (თუ *ღვთაების*) აღმნიშვნელი საკრალური სემანტიემის როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური, ასევე ეტიმოლოგიური ანალიზი ქართულ-ზანურ შესაბამის ფორმებთან შედარება-შეპირისპირების საფუძველზე.

ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის ახალი რედაქციის გამოცემისათვის

ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონების ელექტრონულ ბაზაში – ქართულ ტერმინთბანკში – თავმოყრილია 1920, 1921, 1935, 1960, 1977, 1982 წლებში გამოცემული ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონები. გარდა ამისა, ტერმინთბანკში შეტანილია 1993 წელს დასრულებული ახალი რედაქცია, რომელიც არ გამოცემულა და ბარათების სახით (ე.წ. ღამბაშიძის ფონდი) შემორჩა ტერმინოლოგიის განყოფილებას. ქართულ ტერმინთბანკში გაერთიანებული ტერმინოლოგიური მასალა აადვილებს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების ახალ რედაქციებზე მუშაობას, მათ გამოსაცემად მომზადებას. უკვე გამოსაქვეყნებლად მზადაა რამდენიმე დარგის ტერმინოლოგიური მასალა, დაწერილია ქართული ტერმინთბანკის გამოსაქვეყნებელი პროგრამის კონცეფცია, ტექნიკური ამოცანა, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ქართული ტერმინთბანკის აგებულება, შინაარსი, ინტერნეტსივრცეში მისი გამოქვეყნებისა და მართვა-განვითარების გზები.

2018 წლიდან, ტერმინთბანკის შევსებასთან ერთად, ტერმინოლოგიის განყოფილებაში დაიწყო მასალის დამუშავება, შესწავლა, ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენა, აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების (ხელმძღვანელი მანანა რუსიემვილი) დოქტორანტების ჩართვა სარედაქციო სამუშაოებში. მათი დახმარებით მიმდინარეობს ინგლისური მასალის საბოლოო რედაქციაზე მუშაობა. ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალ რედაქციაზე მუშაობენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ცხადია, ახალი რედაქცია ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რადგან 1977 წელს ღამბაშიძე-დვალის რედაქტორობით გამოცემული ტექნიკური ტერმინოლოგიის შემდეგ ახალი რედაქცია არ დაბეჭდილა. გარკვეული ცვლილებები 1982 წლის ლექსიკონშიცაა შესული, მაგრამ

ის, ძირითადად, 1977 წლის რუსულ-ქართული ლექსიკონის შებრუნებული ვერსიაა.

რა ამოცანების წინაშე დგას ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი ახალ ეპოქაში? სამსჯელო და განსახილველი საკითხი ბევრია, რომელთა მოგვარების გარეშე ქართული ტერმინოლოგია სრულყოფილი და გამართული ვერ იქნება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მაგალითად, სინონიმია. მე-20 საუკუნის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში, უმეტესად, ორი ტერმინია, უცხო და ქართული. დღეს ეს საკითხი სხვაგვარ გადაწყვეტას მოითხოვს. სადაც შესაძლებელია, ცხადია, უნდა დარჩეს ერთი და თანაც უპირატესობა მიეცეს ქართულ ტერმინს, თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტა დროსა და თვალსაზრისების შეჯერებას მოითხოვს.

მასალის შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა რუსულის გავლენით ქართულში დამკვიდრებული ძველი ფრანგული და გერმანული ტერმინები, რომელთა უმეტესობა დღეს ამ ენებშივე მოძველებული. ძველი თაობისთვის ეს ტერმინები მისაღებია, ახალგაზრდა სპეციალისტები კი უპირატესობას ინგლისურ ტერმინებს ანიჭებენ და ასევე მხარს უჭერენ ქართული ტერმინების შემოღება-გაცოცხლებას. ამ მიმართულებით ბევრი სამუშაოა.

ტექნიკური ლექსიკონის გამოცემიდან 103 წლის განმავლობაში ახალ რედაქციას ასე არასდროს დაუგვიანია, რამაც თავისი უარყოფითი შედეგები მოგვიტანა კიდეც, სამწუხაროდ. მოხსენებაში განვიხილავთ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე მუშაობის შედეგებს, უკვე შეთანხმებულ ცვლილებებს, რომლებიც შევა ახალ რედაქციაში.

დასანანია, რომ ციფრულ ეპოქაში, როცა თანამედროვე ტექნოლოგიები განვითარების შესანიშნავ საშუალებებს სთავაზობს ენებს, ტერმინოლოგიური მუშაობა შეუთანხმებლად და დაუგეგმავად მიმდინარეობს, რაც, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, ძველი ტერმინოლოგიური პოლიტიკის მომლამ და ახლის არარსებობამ განაპირობა საქართველოში.

სინტაქსური კალკები ქართული ტრანსკრიფციით შესრულებულ თურქულ სახარებაში

თურქული ხელნაწერები საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა დამწერლობით იქმნებოდა. მათ შორისაა ქართულიც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ქართული ანბანით თურქულ ენაზე შესრულებული სახარება. ხელნაწერის პირველი ნუსხა დათარიღებულია 1739 წლის 27 სექტემბრით. იგი დაცულია ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მეორე, 1881 წლით დათარიღებული ნუსხა, ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში. ორივე ნუსხა მხედრულითაა შესრულებული.

სახარება ქართულიდანაა თარგმნილი, თუმცა უცნობია მთარგმნელისა და ორიგინალი ნუსხის შემქმნელის ვინაობა. კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ ტომში“ საუბარია 1737 წელს ქართულიდან თურქულად გადათარგმნილ სახარებაზე, თუმცა არაფერია ნათქვამი მთარგმნელის შესახებ.

ორიგინალ ნუსხას მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა მურმან ბელთაძემ „XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიპციით“. ხელნაწერის მეორე, 1881 წლით დათარიღებულ ნუსხაზე მიაა მესხიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ქართული ანბანით თურქულ ენაზე შესრულებული სახარება: ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი“. სწორედ ამავე ხელნაწერის სინტაქსურ კვლევას წარმოადგენს ჩვენი სადოქტორო ნაშრომი „ქართული ანბანით თურქულ ენაზე შესრულებული სახარების სინტაქსი“.

თურქული სახარება მნიშვნელოვან მსგავსებას ავლენს ძველი ქართული სახარების ხელნაწერებთან. საკვლევი ტექსტის ქართულ ხელნაწერებთან შედარებამ აჩვენა, რომ თურქული სახარება ახლოს დგას წინაათონურ რედაქციასთან.

¹ ქალაქ რიზეს რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

თურქულ სახარებაში ნათლად ჩანს სახარების ქართულიდან თურქულად თარგმნისას ჩამოყალიბებული სინტაქსური გავლენები. მაგალითად, თურქულ ენაში სუბიექტი უბრუნველია, არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს, თუმცა საკვლევ ტექსტში დასტურდება დატიური კონსტრუქციები. ქართულის გავლენა ვლინდება ატრიბუტულ სინტაგმასა და მის წევრთა წყობაში. რამდენიმე მაგალითში ქართული ენის გავლენა ჩანს პრედიკატულ სინტაგმაშიც. თურქულ სახარებაში ხშირია კავშირიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რაც ასევე ქართული სინტაქსის გავლენად უნდა ჩაითვალოს. გარკვეული ტიპის წინადადებებში აშკარაა ძველი ქართული სინტაქსის გავლენა. მეტიც, თარგმნისას ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქცია ქართულიდან პირდაპირაა გადატანილი, რაც ართულებს თურქული ტექსტის გაგებას. საკვლევ ტექსტში გვხვდება „წინამე პირსა შენსა“ და „და იყო“ შესიტყვებების თურქული თარგმანი. აღნიშნული შესიტყვებები ქართულში ბერძნულის გავლენადაა მიჩნეული, ხოლო თურქულში ქართული დედნის გავლენად უნდა ჩაითვალოს. თურქულ სახარებაში ვაწყდებით უშემასმენლო წინადადებებსაც, რაც ასევე ქართული დედნის გავლენაა.

ქართულიდან თურქულად თარგმნილ სახარებაზე ქართული სინტაქსური კონსტრუქციების გავლენა ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: სასულიერო მწერლობის თარგმნის პრინციპებითა და მთარგმნელის ქართული წარმომავლობით.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და განვიხილავთ ქართულ-თურქული ენების სინტაქსის საკვლევ საკითხებს.

ჭ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

დერივატა კლასიფიკაციის საკითხი ქართულში

წარმოქმნა, ანუ **დერივატა** ისეთ აფიქსაციას გულისხმობს, რომლის შედეგადაც ახალი სიტყვა წარმოიქმნება. ამით განსხვავდება ის ფლექსიური ფორმაცვალებიდან.

სიტყვაწარმოებელი სუფიქსები რაოდენობით გაცილებით მეტია შესაბამის პრეფიქსებზე და ზოგი მათგანი პრეფიქსებთან შეწყვილებულია. ამ სუფიქსებიდან, ალექსანდრე ღლონტის დაკვირვებით, ყველაზე პროდუქტულია: **-იან, იერ, -ოსან, -ედ, -ა, -ივ, -ილ, -უკ, -უნ, -ურ, -ო, -ელ, -იურ, -იელ, -დელ, -ე, -ობა, -ება, -ებ, -არ** (|| **-ალ**), **-ევ, -ის, -ეს, -ით, -ეთ, -თქო, -მეთქი...** (იხ. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, 87).

უნდა შევნიშნოთ, რომ **-ედ** სუფიქსი არათუ ერთ-ერთი პროდუქტიულია, არამედ პრაქტიკულად არანაირ როლს არ ასრულებს სიტყვაწარმოების პროცესში (არც ისტორიულად და არც დღეს). ქონა-ყოლის მაწარმოებელ სუფიქსებს, ჩვეულებრივ, ამ თანმიმდევრობით წარმოადგენენ ხოლმე: **-იან, -ოსან, -ოვან-, -ედ, -ა**. ლოგიკური იქნება, თუ **-ა** სუფიქსს **-იან** სუფიქსის შემდეგ წარმოვადგენთ, – მისი როლის, პროდუქტიულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით; მერე **-ოსან** და **-ოვან** სუფიქსების ადგილია. არ უნდა შევხედოთ ასეთ საკითხებს, როგორც წვრილმანსა და უმნიშვნელოს.

ტრადიციულად გამოიყოფა წარმოქმნილ სახელთა სხვადასხვა **სემანტიკური** ჯგუფი: **კინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა** და სხვ. (იხ. ა. შანიძე, თხულებანი, ტ. 3; 120).

ამგვარ კლასიფიკაციაში (პრაქტიკულად ყველა ტიპის გრამატიკულ თუ ლექსიკოლოგიურ ნაშრომში) ჩვეულებრივ ვხვდებით ასეთ ჯგუფებსაც: **უცხოაფიქსიანი** სახელები, **ბრუნვისაფიქსებიანი** სახელები, **თანდებულებით** წარმოქმნილი სახელები, **ნაწილაკებით** წარმოქმნილი სახელები.

„წარმოქმნილი სიტყვებიდან გამოიყოფა: **თანდებულებითა და ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები, ხარისხის, ნამყოფობის, აბსტრაქტული, დანიშნულების, ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, მოსაქმეობის, კინობითი სახელები, ზმნები და სახელზმნები**“, – წერს ალ. ღლონტი „ქართულ ლექსიკოლოგიაში“ (1964: 88).

ლეო კვაჭაძის „ქართულ ენაში“ წარმოქმნილ **არსებით** სახელთა კლასიფიკაცია ასეთია: გამოიყოფა **კინობითი, აბსტრაქტული, გეოგრაფიული, ერთგვარ საგანთა კრებადობის და წინა ვითარების** სახელები; ბოლოს **უცხოურაფიქსიანი** სახელებია წარმოდგენილი: „ქართულ ენაში მოგვეპოვება რამდენიმე ისეთი აფიქსი, – წერს ავ-

ტორი, – რომლებიც შემოსულია აღმოსავლური ან ევროპული ენებიდან. მაგ., სპარსულია წარმოშობით -**დან** (ჩაიდანა), -**ხანა** (აგურხანა, ყავახანა, ლუდხანა), -**დარ** (დახლიდარი, ხაზინადარი), ხოლო ბერძნულია -**იზმ** (მარქსიზმი) და -**ისტ** (მარქსისტი). -**იზმ** მოძღვრებას აღნიშნავს (დარვინიზმი, მატერიალიზმი), -**ისტ** მოძღვრების მიმდევარს (მარქსისტი, მატერიალისტი) ან პროფესიას (ტანკისტი, ტრაქტორისტი, პარაშუტისტი) (კვაჭაძე, ქართული ენა, 106-110, თბ., 1993). აქვე, **ქონებისა და უქონლობის, წარმომავლობის, დანიშნულებისა და ხარისხის** სახელებთან ერთადაა განხილული **ბრუნვის აფიქსებით, თანდებულებითა და ცალკე სიტყვებით** წარმოქმნილი **ზედსართავები** (გვ. 153).

„თანამედროვე ქართული ენის გრამატიკაში“ აღნიშნულია, რომ „შინაარსობრივი, სემანტიკური თვალსაზრისით გამოიყოფა ნაწარმოები სახელების შემდეგი ჯგუფები: **ქონების, უქონლობის, დანიშნულების, ხარისხის, წარმომავლობის, აბსტრაქტული, ხელობის, რიგობითი, წილობითი, ადგილის, გეოგრაფიული, წინა ვითარების, კნინობით-საალერსო** და სხვ.“ (იხ. გოგოლაშვილი... თანამედროვე ქართული ენის გრამატიკა, თბ., 2011, 212). ამას მოსდევს:

- **ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი სახელები;**
- **თანდებულები ან თანდებულებთან გათანაბრებული სიტყვებით და ნაწილაკებით წარმოქმნილი სახელები;**
- **უცხოაფიქსიანი სახელები;**
- **აფიქსოიდების საშუალებით წარმოქმნილი სახელები.**

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

ამკარაა, რომ დარღვეულია კლასიფიკაციის წესი და პრინციპი, – ერთმანეთშია არეული დერივატთა ჯგუფები **შინაარსისა** და ფორმის მიხედვით: ჯგუფების უმეტესობა ნამდვილად არის შერჩეული სემანტიკის მიხედვით, მაგრამ მეორე ნაწილი მხოლოდ **მაწარმოებლების** მიხედვით გამოიყოფა და სახელებიც ამის გათვალისწინებით აქვს შერჩეულ-შერქმეული.

საინტერესოა, რომ „თანამედროვე ქართული ენის გრამატიკაში“ **აფიქსების მიხედვით** გამოყოფილ ჯგუფებში (ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი სახელები, თანდებულები ან თანდებულებთან გათანაბრებული სიტყვებით და ნაწილაკებით წარმოქმნილი სახელები, უცხოაფიქსიანი სახელები, აფიქსოიდების საშუალებით წარ-

მოქმნილი სახელები) წარმოდგენილია სწორედ **სემანტიკური** ნიშნით გაერთიანებული დერივატები.

კერძოდ, ირკვევა, რომ:

-**გან** გვიჩვენებს **წარმომავლობას, მრავლიდან ერთს (კაც-თა-გან-ო...)**;

-**ებრ/-ებურ** გამოხატავს მსგავსებას (**კაცის-ებრ-ო... ლომის-ებურ-ო...**);

წარმომავლობის სახელებს, მრავლიდან ერთს აწარმოებს -**გან (კაცთა-გან-ო...), -თანა: კაცის-თანა... -ნაირ (დედის-ნაირ-ო...), -გვარ (ამ-გვარ-ო...)**;

-**ებრივ** საგნის ან მოვლენის **დანიშნულება-რაგვარობას** გამოხატავს (**საზოგადო-ებრივ-ო...**);

-**მიერ** გამოხატავს **წარმომავლობას (ზაგის-მიერ-ო...)**;

მსგავსებას გამოხატავს -**თანა/-ნაირ/-გვარ** სუფიქსები (**კაც-ის-თანა... დედ-ის-ნაირ-ო... ამ-გვარ-ო...**);

ჯერადობის გამოსახატავად გამოიყენება: -**ჯერ (მრავალ-ჯერ-ო...), -მაგ (ათ-მაგ-ო...), -კეც (შვიდ-კეც-ო...), -გზის (მრავალ-გზის-ო...)**;

უარყოფა-უქონლობის გამოსახატავად გამოიყენება არა ნაწილაკ-მორფემიდი (**არა-კაცი...**);

ხელობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი -**ანტ (დოქტორ-ანტ-ო...)**;

პროფესიის აღმნიშვნელია -**ორ (რევიზ-ორ-ო...)**;

მეცნიერების, ხელოვნების დარგის აღმნიშვნელი -**იკა (სტილისტ-იკა...)**;

რამე **თვისების მქონებლობის**, რაიმესთან **მსგავსების** გამოხატველი -**ოიდ: (მორფემ-ოიდი...)**;

-**იზმ** აღნიშნავს: ა) **მოძღვრებას, მიმდინარეობას რომელიმე პიროვნების სახელის, რაიმე დებულების, პრინციპის მიხედვით (ბუდ-იზმ-ო...)**; ბ) რაიმე **განმსაზღვრელი, დამახასიათებელი ნიშნის მქონებლობას (ლიბერალ-იზმ-ო...)**;

-**ისტ** გამოხატავს: ა) რომელიმე **მოძღვრების, მიმდინარეობის მიმდევარს (ბუდ-ისტ-ო...)**; ბ) **პროფესიას, ხელობას (ტრაქტორ-ისტ-ო...)**;

უწინარესობას, წინამორბედობას გამოხატავს **პრა-/პრე-** (**პრა-გერმანული... პრე-ამბულია...**);

პრო- აღნიშნავს რაიმე მოძღვრების მიმდევარს, მომხრეს, ვი-
სიმე მაგიერს (**პრო-ქართული...**) (იხ. გოგოლაშვილი... თანამედროვე
ქართული ენის გრამატიკა, თბ., 2011, 238-242).

კლასიფიკაციის მარტივი ლოგიკით:

**თუ სემანტიკურ ჯგუფებს გამოვყოფთ, მაშინ სემანტიკური
ჯგუფები უნდა გამოვყოთ;**

**თუ აფიქსების მიხედვით ვაკეთებთ კლასიფიკაციას, მაშინ ამ
პრინციპის მიხედვით და გათვალისწინებით უნდა წარმოვადგინოთ
მასალა.**

აფიქსებით ნაწარმოებ სახელთაგან, ვთქვათ, **-ორ** სუფიქსია-
ნებმა, ანუ, **პროფესიის** აღმნიშვნელმა სახელმა ადგილი უნდა დაი-
კავოს სწორედ **პროფესიის** აღმნიშვნელ სახელებში;

თუ **-იზმ მოძღვრებას** აღნიშნავს, გამოვყოთ სათანადო ჯგუფი
და დავარქვათ მას **მოძღვრების** აღმნიშვნელი სახელები;

თუ **-ისტ მოძღვრების მიმდევარს** ან **პროფესიას** აღნიშნავს, ამ
სუფიქსით ნაწარმოები სიტყვების ნაწილი **მოძღვრების მიმდევართა**
ჯგუფში ვავაერთიანოთ, მეორე ნაწილი – **პროფესიის** სახელებში.

ანუ: **თუ შესაძლებელია არსებულ სემანტიკურ ჯგუფებში
გადანაწილება, იქ უნდა წარმოვადგინოთ ეს მასალა, თუ არადა
ახალ დერეკაციულ ჯგუფში/ჯგუფებში იქნება მისი ადგილი.**

ახალ ჯგუფებს შექმნიან: **მსგავსების, დანიშნულება-რავგარო-
ბის, მრავლიდან ერთ-ერთის, უწინარესობა-წინამორბედობის, მეც-
ნიერების/ხელოვნების დარგის, ჯერადობის** და სხვათა გამომხატვე-
ლი სახელები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ყოველთვის არ არის ადვილი **საერთო
სემანტიკური ნიშნის/ნიშნების** მოძებნა, რომელიც სახელდებისთვის
(resp. სემანტიკური კლასიფიკაციისთვის) გამოდგება. მაგალითად,
მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოებ სახელებს (**პირობითი,
შემთხვევითი, არსებითი...**) დამატებითი სემანტიკური ანალიზი და-
სჭირდებათ ამისთვის, მაგრამ ვითარებითის სუფიქსით ნაწარმოებ
ფორმებში შეიძლება გამოვყოთ ერთი რიგი, რომელიც სემანტიკის
მიხედვით **შესაძლებლობის** სახელებში გაერთიანდება. ეს სპეციფიკა
ქეგლ-ის განმარტებებშიც იგრძნობა, თუმცა აქ არ ჩანს ინტერპრეტა-
ციის **საყოველთაო** და **ერთიანი ზოგადი მოდელი:**

წელვად-ი (წელვადისა) რაც იწელება, რასაც [გა]წელების უნარი აქვს,
– ჭიმვადი.

რხევად-ი (რხევადისა) სპეც. რხევის უნარის მქონე. რხევადი სხეული. || რყევადი, ცვალებადი. ტრავმული ფსიქიკური განცდები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ბავშვთა ასაკში, რადგანაც ბავშვების ფსიქიკური სფერო უფრო მგრძობიარე, ლაბილური და რხევადია (**ა. ზურაბ.**).

დენად-ი (დენადისა) სპეც. დენის უნარის მქონე, – მდინარი. || რაც მუდმივად მოედინება, მოძრაობს, დის. აწმყო და წარსული ანუ მოგონებები და სინამდვილე მისთვის ერთი უწყვეტი მთლიანი პროცესია, რომელიც მუდამ დენადია და არასოდეს არ მთავრდება (**გ. მაღულ.**)

ჭედად-ი (ჭედადისა) ტექ. რის დამუშავებაც ჭედვით შეიძლება, რაც შეიძლება იჭედებოდეს (ან იგლინებოდეს, იწინებოდეს...). ჭედადი შენადნობები.

შდრ.:

ფეთქებად-ი (ფეთქებადისა) რაც ადვილად ფეთქდება, რაც აფეთქებას იწვევს. საგრძობლად შემცირდა ფეთქებადი ნივთიერების... ხარჯვა (**«კომ.»**).

კუმშვად-ი (კუმშვადისა) რაც იკუმშება, – კუმშვის თვისების მქონე. ღრუბელი კუმშვადია. || კუმშვადი სახელი.

ხურებად-ი (ხურებადისა) ტექ. რაც ხურებას განიცდის, რაც ხურდება, – თბობადი.

-ად-სუფიქსიანი სახელების ნაწილი **ქონების** სახელთა სემანტიკურ ჯგუფში მოხვდება: თვალადი (= „კარგი გარეგნობის მქონე“), ტანადი („კარგი აღნაგობის მქონე“), გულადი („გულიანი“ > „უშიშარი“), პურადი (= „პურიანი“ > „სტუმართმოყვარე“), ფერადი (= სხვადასხვა ფერის მქონე“)...

აღსანიშნავია, რომ ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიაში განსაკუთრებით გავრცელებულია **-ად შესაძლებლობის დერივანტი** ნაწარმოები რუსული ტერმინების კალკები: ადვილაალებადი, ადვილანთებადი, ადვილადდგენადი, ადვილდნობადი, ადვილხსნადი, თვითგანმუხტვადი...

ამდენად, **-ად/-დ** სუფიქსი ფუნქციურად საკმაოდ დატვირთული ჩანს დერივაციის სისტემაში; გამოდის, რომ ის არის: 1. ქონების სახელთა მაწარმოებელი; 2. წილობითი სახელების მაწარმოებელი; 3. შესაძლებლობის სახელთა მაწარმოებელი.

ამა თუ იმ აფიქსის პოლიფუნქციურობა უცხო არ არის ქართულისთვის (მაგ., **-ა** სუფიქსმა შეიძლება **ქონებაც** გამოხატოს (**„ცხვირა“**) და უქონლობაც (**„კუდა“**), **კნინობითობაც** (**„კაცა“**).

ვფიქრობთ, დერივაციული სისტემის დამატებითი **სემანტიკური** კვლევა ლექსიკური ანალიზის ახალ გზებსა და პერსპექტივებს წარმოაჩენს.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

**ნათელმრონობით დადგენილი აკრძალვების
სადვთისმეტყველო წანამდღვრებისათვის: აკრიბია**
(ბერძნ. „სიმკაცრე; სიზუსტე“) და **იკონომია**
(ბერძნ. „სახლი ღვთისა“)

ნათელმრონული ნათესაობითი კავშირების ამსახველ საეკლესიო ტერმინოლოგიაში საგულისხმოდ იქცევს ყურადღებას ნათელმრონობით დადგენილ აკრძალვებთან დაკავშირებული ტერმინები: **აკრიბია** (← ბერძნ. „სიზუსტე; სიმკაცრე“) და **იკონომია** (← ბერძნ.: **იკოს** „სახლი ღვთისა“ + **ნომოს** „კანონი“, ანუ „ქვეყნიერების ხსნის საღმრთო განგებულება“).

პირველით ტერმინით (**აკრიბია**) აღინიშნება მართლმადიდებელ ეკლესიაში მოქმედი მეთოდოლოგიური წესი (პრინციპი), რომელიც ეკლესიის წევრს ავალდებულებს, რომ მან მკაცრად, ზედმიწევითი სიზუსტით დაიცვას ადგილობრივ თუ მსოფლიო კრებებზე შემუშავებული საეკლესიო (დოგმატური) კანონები.

ეკლესიის მიერ დაშვებული მეორე მეთოდოლოგიური წესით კი (**იკონომიით**, შდრ.: ეფესელთა მიმართ 1, 9-10; ასევე, წმიდა ეგნატე ღმერთმემოსილი) – ეკლესიის მსახურს (მღვდელმთავარს, მოძღვარს...) ეკისრება ვალდებულება, ამა თუ იმ კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე (ადამიანის სისუსტის, სასოწარკვეთილების ან დისციპლინურ მიზეზთა გამო) საეკლესიო განწყობებიანი ადასრულოს არა ოდენ ზედმიწევნით მკაცრად, არამედ – **იკონომიის** კეთილგონივრული გამოყენებით, უპირატესად: საღმრთო სიბრძნისა და ნების თანხმიერებით, ღვთიური კაცთმოყვარეობით, ღმობიერებით, თანაგრძნობით, ადამიანის სულზე მზუნველობით, რაც განა-

პირობებს საეკლესიო აღმშენებლობის უზენაესი საქმის ღვთივმოსაწონად განხორციელებას.

მრჩობლად მომარჯვებული ორივე საუკუნოვანი საეკლესიო მეთოდოლოგიური წესის გათვალისწინებით, მოხსენებაში ნიშანდობლივ განიხილება რამდენიმე მაგალითი მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს წმიდა მამათა მიერ დაშვებული იკონომიისა, მაგალითად:

„მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებამდე ეპისკოპოსებს უფლება ეძლეოდათ, ჰყოლოდათ ცოლი, ამ კრების შემდეგ კი ეს დროებითი იკონომიაც გაუქმდა. დღეს ეპისკოპოსს ცოლის ყოლის უფლება არა აქვს“ (იხ. არქიეპისკოპოსი პავლე [ხორავა], „იკონომიის შესახებ“: https://www.oldorthodox.ge/sxvadasxa_ikonomiis_shesaxeb.html) და სხვ. ამის მსგავსნი.

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

მრავალგზისობის გამოხატვა ქიზიყურში

მრავალგზისობა ქართული ზმნის ერთ-ერთი საინტერესო კატეგორიაა. იგი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ხოლმეობითის მწკრივების მეშვეობით გადმოიცემოდა, ხოლო თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში ამ ფუნქციას ძირითადად ხოლმე ნაწილაკი, ლექსიკური ერთეულები და უწყვეტლის მწკრივი გადმოსცემს. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში (მთის დიალექტებში) მრავალგზისობა მორფოლოგიურად გამოიხატება. კატეგორია ორგანულად იწარმოებოდა კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავშიც, თუმცა ამჟამინდელ სასაუბრო მეტყველებაში ხოლმეობითის მწკრივები თითქმის უკვე აღარ გვხვდება.

საანალიზოდ გამოვიყენეთ 2021 წელს ქიზიყში ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა, რომლიც ჩავიწერეთ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ ახალგაზრდა მეცნიერის საგრანტო პროექტის ფარგლებში „მრავალგზისობის გამოხატვა ქარ-

თულში“. მასალა ჩაწერილია სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონების სოფლებში.

ჩვენი მიზანი იყო, გამოგვევლინა, იყენებდა თუ არა ხალხი მეტყველებისას ხოლმეობითის მწკრივებს. შევარჩიეთ ყველა თაობის რესპოდენტი და შევეცადეთ იმგვარი შეკითხვები დაგვესვა მათთვის, რომლებიც შინააარსობრივად მოითხოვდა აღეწერათ წარსულში განმეორებით მომხდარი მოვლენები. შესაბამისად, საუბრისას აუცილებელი იყო მრავალგზისობის გამომხატველი ენობრივი საშუალებების გამოყენება.

მასალის მიხედვით გამოვლინდა, რომ მრავალგზისობა ძირითადად გადმოიცემა **ხოლმე** ნაწილაკის მეშვეობით:

„– ხოდა ბროწოლები ედგათ ბევრი, ტბილი ბროწოლები, მჟავე ბროწოლები, რო ვჭამდით **ხოლმე** მე და ჩემი და, პატარები რო ვიყავით, იმაღ მოგვაკრეფინებდა **ხოლმე**, ძირ რო ვყრიდით, ტიტბისა“ (სოფ. მაღარო).

„– სიძე რო მოიდოდა, დაალევიებდნენ **ხოლმე**, გადაიპატიჟებდნენ საცეკვაოთ **ხოლმე**, ფულებსა ძყრიდა **ხოლმე**, აჩუქებდათ **ხოლმე**, ხო უნა მიეცა დოლ-გარმონისთვინ“ (სოფ. ნუკრიანი).

ვხვდებით უწყვეტლის მწკრივისაგ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხოლმე ნაწილაკის გამოყენება უპირატესია, ვიდრე მხოლოდ უწყვეტლის მწკრივის გამოყენება მრავალგზისობის გადმოსაცემად:

მიცვალებულზე ცალკე **მზადდებოდა** აბრამი ტაბლა. სადაც დაიღუპა და სადაც ესვენა, იქ **კეთდებოდა** პატარა მაგიდა (სოფ. ძველი ანაგა).

ასვე ვხვდებით მყოფადის წრის ხოლმეობითს (ხოლმეობით-შედეგობითს):

მემრე კალოზე **გამშლიდნენ** აგრე, შუა დღეა რო **გაფიცდებოდა** და მემრე **შააბამდნენ** ცხენსა და გარეშამო ურბენამდა ეს ცხენი და ილეწებოდა ხორბალი (დედოფლისწყაროს რაიონი).

უნდა აღინიშნოს, რომ საუბრის დროს არცერთმა რესპოდენტმა არ გამოიყენა ხოლმეობითის მწკრივები მრავალგზისი მოქმედების გადმოსაცემად, თუმცა როდესაც ვკითხეთ, რომ ხომ არ ახსოვდათ ხოლმეობითის მწკრივები (იყვის, მოვიდის – გვანტერესებდა II ხოლმეობითის ფორმები), ყველამ აღნიშნა, რომ ახსოვთ ხალხის მეტყველებაში ეს მწკრივები და უფროსი ასაკის ადამიანები (გუ-

ლისხმობენ თავიანთ თავსაც) ახლაც იყენებენ ზოგჯერ ხოლმეობითის ფორმებს მრავალგზისობის გადმოსაცემად.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

1923 წელს ჩაწერილი დღემდე უცნობი ლაშხური ტექსტები

თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტები, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველური ენა-დიალექტების შესწავლისა და კვლევის საქმეში. შესაბამისად, სტუდენტებს ინტენსიურად აგზავნიდნენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩასაწერად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის სვანეთში.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი სტუდენტთაგანი, რომელიც 1923 წელს ქვემო სვანეთში, კერძოდ ლაშხეთის ხეობაში, გაუგზავნიათ, იყო სტეფანე ჩხენკელი, რომელსაც ლაშხეთის ოთხ სოფელში (მებეცი, ლამფალაში, ჟახუნდერი და სასაში) ჩაუწერია ზღაპრები და ლეგენდები. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ საინტერესო მასალაა, აღმოჩნდა, რომ ეს ნიმუშები არ არის შეტანილი დღემდე გამოცემულ სვანურ ტექსტებში.

სტეფანე ჩხენკელი სვანური მასალის ჩაწერისას სიტყვათა ქართულად განმარტების ორ ხერხს იყენებს: ხან ტექსტშივე, განსამარტ სიტყვასთან ფრჩხილებში უწერს ქართულ მნიშვნელობას, ხანაც ვარსკვლავით აღნიშნავს და ტექსტის დასასრულს განმარტავს.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ არქაულ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც დღეს ლაშხური დიალექტის ცოცხალ მეტყველებაში ან აღარ გვხვდება, ან სვანურის დანარჩენი დიალექტებისაგან გარკვეული სემანტიკური ცვლილებებით დასტურდება, ასევე არ არის შეტანილი სვანური ენის ლექსიკონებში. ნაწილი, აღნიშნული ლექსიკური ერთეულებისა, თავად სტეფანე ჩხენკელს აქვს განმარტებული.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

მცირე შენიშვნები ოთხი ქართული ლექსიკური ერთეულის შესახებ

1. ცელქი

ქართული **ცელქი**- ფუძის შესატყვისი უნდა იყოს მეგრული **ცირქი**-, რომელიც გვაქვს სიტყვაში **ცირქინი** „უადგილო, უშნო სიცილი“. აქ წარმოდგენილია შესატყვისობები: ქართ. **ც**: მეგრ.-ლაზ. **ც**; ქართ. **ე**: მეგრ.-ლაზ. **ი**, ქართ. **ქ**: მეგრ.-ლაზ. **ქ**; მეგრული **რ** < ***ლ**.

2. ქართული **ამხოზს** ზმნის ფუძე **მხო**- შეიძლება დაუკავშირდეს მეგრულ **ხუ**-ს, რომელიც **ხუნს** „შლის“ ზმნის ფუძეა (შდრ. **დო-ხუ** „დაშალა“).

ქართული **მხო**- ფუძისათვის კი ამოსავლად **მხეც**- ივარაუდება.

3. ჩლიქი

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ქართული სიტყვის მეგრულ შესატყვისად მიიჩნევა **ჩირქი** (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე). ვფიქრობთ უფრო ზუსტია გ. როგავას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ქართული **ჩლიქი**-ის შესატყვისია მეგრული **ჩორქო**.

რაც შეეხება **ჩირქი**- ფორმას, ის მეგრულში ნასესხებად უნდა მივიჩნიოთ.

4. ქართული **ჩხარი** „არამჭიდრო, არახშირი, მეჩხერი, ფარღალაღა“ შეიძლება უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას **ჩხორია** „სხივი“.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

ჭკუა სიტყვის შემცველი იდიომებისათვის მეგრულში

ჭკუა სიტყვის შემცველ იდიომებს სხვადასხვა მნიშვნელობა უდასტურდება.

კერძოდ: **ჭკვიანი, გონიერი: ჭკუა უჭკირუნს** „ჭკვიანია, გონი-

ერია“, ზედმიწე. „ჭკუა უჭრის“, შდრ. ქართ. **ჭკუა უჭრის.**

შეშლილი: ჭკუა შელასირი „შერყეული, შეშლილი“, ზედმიწე. „ჭკუა შერყეული“, შდრ. ქართ. **ჭკუაზე შეირყევა.**

ვინმეს გადარევა: ჭკუას გეუფაჩუნს „შეშლის, გადარევეს, ზედმიწე. „ჭკუას აურევეს“. შდრ. ქართ. **ჭკუას შეურყევეს.**

მოხერხებულად, გონივრულად მოქცევა: ჭკუას იხვარს „მოხერხებულად მოიქცევა“ ზედმიწე. „ჭკუას იხმარს“, შდრ. ქართ. **ჭკუას იხმარს.**

ძლიერი სურვილი: ჭკუას ოდინუანს გიჟდება, ძალიან დიდი სურვილი აქვს რისამე“, ზედმიწე. „ჭკუას კარგავს“, შდრ. ქართ. **ჭკუას კარგავს.**

მოტყუება: ჭკუას წა(ა)გენს „მოტყუვდება“, ზედმიწე. „ჭკუას წააგებს“, შდრ. ქართ. **ჭკუას წააგებს.**

სწორად განსჯის უნარი: ჭკუაშ ჭკირუა „სწორად გამორჩევის, განსაზღვრის, განსჯა“, ზედმიწე. „ჭკუის ჭრა“, შდრ. ქართ. **ჭკუა უჭრის.**

სიმართლესთან ახლოს ყოფნა, ჭკვიანური, გონივრული რამე: ჭკუაშ ხოლოს რე || ხომოსიე (მარტვ) „სიმართლესთან, სინამდვილესთან ახლოსაა; სწორი უნდა იყოს“, ზედმიწე. „ჭკუასთან ახლოს არის“, შდრ. ქართ. **ჭკუასთან ახლოს არის.**

გონს მოგება: ჭკუაშა მუთმურს „ფხიზლდება, გონს ეგება“, ზედმიწე. „ჭკუაზე მოდის“, შდრ. ქართ. **ჭკუაზე მოდის.**

ძალისხმევა (რამის გასაკეთებლად): ჭკუაშა ნძალაში მეჩამა „ჭკუისათვის ძალის მიცემა“, შდრ. ქართ. **ჭკუას ძალას ატანს.**

მიხვედრა, რჩევა, დარიგება: ჭკუაში გურაფა, ზედმიწე. „ჭკუის სწავლება“, შდრ. ქართ. **ჭკუის სწავლება.**

მოწონება: ჭკუაში დობუნა, ზედმიწე. „ჭკუაში დაჯდომა“, შდრ. ქართ. **ჭკუაში უჯდება.**

სულელი, ჭკუანაკლი: ჭკუაწკუმა ჭე გოჭყორინელი ქორე „ჭკუა აკლია, სულელია“. ზედმიწე. „ჭკუასთან ცოტა მწყრალად კი არის“, შდრ. ქართ. **ჭკუაზე მწყრალადაა.**

შინაარსობრივად მეგრული იდიომები ქართულთან საერთოა. შეიძლება სხვა ჯგუფებიც გამოიყოს. საყურადღებოა მათი სტრუქტურა. ძირითადად ორკომპონენტური იდიომები გამოვლინდა, სამკომპონენტური იშვიათია. იდიომის შემცველი ერთეულები სხვადასხვა მეტყველების ნაწილით არის წარმოდგენილი.

უმადური უცხო სტუმარი სვანეთში

XVIII-XIX საუკუნეებში კავკასიით დაინტერესდნენ ევროპელი მკვლევრები, დიპლომატები, მოგზაურები და ალპინისტები. ცხადია, არც ერთ მათგანს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ულამაზესი სვანეთი, რადგანაც მაშინ ეს რეგიონი სრულიად შეუსწავლელი იყო.

რა თქმა უნდა, ევროპელ არისტოკრატებს უგზოუკვლო და იმ დროისათვის მართლაც მიუვალ სვანეთში ყველაფერი არ მოეწონებოდათ (სისხლის აღების წესი, მკვლევლობანი საქონლისა თუ საძოვრების მიტაცების გამო, ჩვილთა აკვანშივე დანიშვნა დაოჯახებისთვის, ბარბაროსული დამოკიდებულება ახალდაბადებული გოგონებისადმი და ა. შ.), თუმცა ცდილობდნენ, ყურადღება იმ ზღაპრული სამყაროს აღმაფრთოვანებელი მოვლენებისთვის მიექციათ, სადაც მათ უხდებოდათ ცხოვრება – არადა ღამის გასათევი სულ სამეზარი ჰქონდათ, რადგანაც მგზავრობისას ხან დათვებითა თუ მგლებით სავსე ტყეში, ნაწვიმარ მიწაზე, ეძინათ და ხანაც მიტოვებული სოფლის თითო-ოროლა მოსახლის თივის ზვინსა ან ტალახის იატაკზე. მიუხედავად ამისა, **ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში დღემდე დაცული** კავკასიის (მათ შორის სვანეთის) კვლევისადმი მიძღვნილი **15 ტომის** არც ერთ ავტორს არც ერთი კუთხე-კუნჭული არ გაულანძღავს, გარდა ერთისა – ეს გახლავთ **Clive Phillipps Wolley**, რომელმაც 1883 წ. ლონდონში გამოცემულ თავის ორტომეულს „**Savage Svanetia**“ უწოდა.

ინგლისურ Savage-ს ქართულ ენაში სამი სხვადასხვა ლექსემა გადმოსცემს – „ველური“, „მრისხანე“ და „მკაცრი“, მაგრამ ბატონ კლაივს ყველგან, ორსავე ტომში, ისეთ კონტექსტებში აქვს გამოყენებული ეს სიტყვა, რომ ის მხოლოდ ქართულ „ველურს“ შეესაბამება.

„სვანებს ჩვენზე დადებითი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ – წერს კ. ოლეი – სვანური პური დამზადებულია ყველაზე უხეში შვრიისა და **ქვიშის** ნარევისაგან... (I ტ., გვ. 269-271); საინტერესოა, კაცმა, რომელსაც სვანები ჯიხვისა და არჩვის მწვადებს უწვავდნენ სანადიროდ ყოფნის დროს, შვრიისა და ქვიშის გემო ერთმანეთისგან ვერ გაარჩია?!

მიუხედავად იმისა, რომ ვოლვი საოცრადაა აღფრთოვანებული უნიკალური უშგულით (მსგავსი სილამაზე არასოდეს მინახავს არც აქამდე და ვერც აწი ვნახავო – ტ. I, გვ. 272), იქაურ მცხოვრებთ „ჭუჭყიან ოჯახებს“ უწოდებს, რომელთათვის მთელი ცხრა თვის მანძილზე თოვლი ერთგვარი წყალობაა, რადგან ამ სიბინძურეს ასუფთავებს (ტ. II, გვ. 4-5). მათ ღამე გაათიეს ერთ-ერთი მხლებლის – სიმონის უსაკვამურო და უფანჯრო სახლში, რომელსაც „Savage Svanetia“-ს ავტორი „ბუნაგს“ ეძახის. მას თვითნაკეთი ავეჯი ძალიან მოეწონა, რასაც სახლის სიამაყეს უწოდებს, თუმცა ოთხფეხა საქორწინო ტახტი კუბოს ჰგავდაო – ამასაც ამბობს. ქართველ თუ უცხოელ ხელოვნებათმცოდნეებს ეპითეტები აღარ ყოფნით ხოლმე სვანების ავეჯის მშვენიერების გადმოსაცემად, ბატონმა კლაივმა კი „კუბოს“ მეტი ვერაფერი მოიფიქრა.

გაოცებული დარჩნენ ვოლვი და მისი უხოელი თუ ქართველი მხლებლები სიმონის კოშკის დათვალიერებისას, რის შემდეგაც მათ **მურყუმს** „მუზეუმი“ უწოდეს, მისი შვილის შესახებ კი წიგნში დაფიქსირდა სრულიად ობიექტური შეფასება: „ეს პატარა ველური ჩვენს თვალწინ საგრძნობლად გაიზარდა და ჩვენი განწყობაც ამალღდა“ (ტ. II, გვ. 12). მართალია, ბატონი კლაივი ხშირად ეძახის სვანებს „ველურებს“, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ისინი ჩემი მეგობრები იყვნენო, და არაერთხელ მსჯელობს მათი კეთილშობილების შესახებ. მაგალითად, პირველი ტომის 263-264-ე გვერდებზე ნათქვამია: „როცა გავიღვიძე, ვიგრძენი, რომ ვიღაც ხელით შემეხო – ჩემმა კეთილმა ახალგაზრდამ ახალი მორები შეუკეთა ცეცხლს, საკუთარი საბანი ფრთხილად შემომახვია, თავად კი ძონძებში გაეხვია ჩემს ფეხებთან ერთგული დარაჯი ძალივით. რა თქმა უნდა, როგორც კი გავიფიქრე, რომ უკვე ეძინა, საბანი მაშინვე დავუბრუნე, თუმცა გაღვიძებისას ისევ მასში ვიყავი გახვეული“.

თავისთავად ცხადია, ნებისმიერი ტექსტის ნეგატიური ეპიზოდები ყველა მკითხველს ატკენს გულს – როგორც უცხოელს, ისე ქართველს, რადგანაც სვანეთი ჯადოსნურ სამყაროდ წარმოგვიდგენია, რომლის მსგავსი ზღაპარი ბავშვობაშიც კი არსად, არავისგან გვსმენია...

XVIII-XIX საუკუნეებში გამოქვეყნებულ წიგნებსა თუ სტატიებს აღრაფერი ეშველება, ჩვენი კრიტიკის მეტი, მაგრამ მსგავსი

რამ აღარ უნდა განმეორდეს! როგორ შეიძლება უცხო სტუმარმა ლანძღოს ალალი მასპინძელი, ვინც მიუვალ ტყე-ღრეში თავის ოჯახში (რანაირიც გინდა იყოს იგი!) შეიფარებს შორეული ქვეყნის წარმომადგენელს, ასმევს და აჭმევს, მან კი (კალამს ხელში რომ აიღებს), ასე ლანძღოს ადგილობრივი მოსახლეობა?! ამიტომ დღეს მაინც, როცა სვანეთს მიაწყდა თითქმის მთელი ევროპა და ამერიკა, **არც ერთი ნაშრომი არ უნდა დაიბეჭდოს სპეციალისტ მეცნიერთა ჩარევის გარეშე.**

წინამდებარე მოხსენება გახლავთ ერთ-ერთი ნაწილი ჩვენი დიდი მონოგრაფიისა, რომელსაც ეწოდება „ევროპელი მკვლევრები სვანეთში“ (რომელიც გამოქვეყნდება, ალბათ, მომავალ წელს...).

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

პოეტური გამეორება და სინონიმური პარალელიზმი შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „ქვეშევრდომები“

შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემა „ქვეშევრდომები“ სტილისტიკური და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნაწარმოების მხატვრულ-ლინგვისტური თავისებურებები პოეტური სინტაქსის არაერთ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს (ზოგი თავისებურების შესახებ ჩვენ ვწერდით კიდევ, იხ. მაგ.: მ. ჩაჩანიძე, შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტული პოემის – „ქვეშევრდომები“ – პოეტურ-ლინგვისტური თავისებურებებისათვის“, ჩიქოზავს საკითხავები, თბილისი, 2023).

ვერლიბრით აგებული პოემის ტექსტის ენობრივ-სტილისტიკური მახასიათებლებიდან ყურადღებას იპყრობს **პოეტური გამეორება** და **სინონიმური პარალელიზმი**. მათი გამოყენების სიხშირე და ვარიაციულობა პოემას საგანგებო ექსპრესიულ ხატოვანებას სძენს: გამეორება თხრობის ენერგეტიკულ მუხტსა და დინამიზმს განაპირობებს, სინონიმური პარალელიზმი კი – ღრმა აზრობრივ წიაღსვლებსა და შინაარსობრივ სიზუსტეს. მათი ოსტატური მონაცვლეობით იქმნება და ბალანსირდება პოემის მელოდიკური სტრუქტურა

და რიტმული წონასწორობა. როგორც ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ წარმოდგენილი ამონარიდებიც მოწმობს, ორივე მათგანი – გამეორებაცა და სინონიმური პარალელიზმიც – პოემის ტექსტის საკომუნიკაციო სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია. მათი საგანგებო გამოყენებით პოეტი საუკეთესოდ ახერხებს სათქმელის აქტუალიზაციასა და რიტორიკული ფიგურების გამოყოფა-აქცენტირებას. პოეტურ გამეორებაში მონაწილეობს: სახელი, ზმნა, დამხმარე მეტყველების ნაწილები, შორსდებული. გარკვეული სტილისტიკური მიზანდასახულება (შინაარსობრივ-ემოციურ-ინტონაციური) უზიძგებს ავტორს გაიმეოროს მისთვის ლოგიკურად მნიშვნელოვანი სიტყვა, ფრაზა თუ წინადადება. შესაბამისად, ორგვარი ფორმით, ლექსიკური და სინტაქსური ემფაზის მეშვეობით ხორციელდება ტექსტში სასურველი მონაკვეთების ემფატირება. თვალსაჩინოებისათვის დავიმოწმებთ რამდენიმე ფრაგმენტს პოემის ემფატირებული მონაკვეთებიდან:

„ვამ, შე საბრალოვ, შე ცოდვის შვილო,
აღბათ, როგორ ებძროდი, როგორ ეომებოდი
საკუთარ თავს, საკუთარ უმწეობას?!
ებრძოდი მაქანკალ კნეინას ჩურჩულს... ებრძოდი...
ებრძოდი...“

მაგრამ სუსტი იყავი, სუსტი სიღარიბისაგან,
სუსტი და განწირული...“ (გვ. 34).

„მაგრამ ვის უნდა ეცეკვა იმპერატორის წინაშე
გენერალურ წვეულებაზე?
რომელ დიდგვაროვან ქალბატონს სამეფო შტოდან?
ვინ იქნებოდა უკვდავი ფოთოლი?
ვის ხვდებოდა ასეთი პატივი,
ვინ წარმოაჩენდა საქართველოს?
...
ვინ იცეკვებდა მბრძანებლის წინაშე?
ვინ ასახელებდა გვარს, ოჯახს, სამშობლოს?
ამაზე ბჭობდა მთელი საქართველო“ (გვ. 30-31).

„უმშკს მიაფურთხეო... შენც ადექი და მიაფურთხე...
მაგრამ მიაფურთხე მთელ საქართველოს (რაც არ გინდოდა),

მიაფურთხე ათასებსა და მილიონებს,
ყველას, ვინც თავმოყვარე ქართველად დაბადებულა,
ან დაიბადება მომავალში.
ვაი, სიღარიბეო... და ვაი და ვაი, სიხარბეო...“ (გვ. 34).

„გარეთ ვედარ გადიოდი,
ყველას ემალებოდი – შინაურსა თუ გარეულს,
სულ გამკილავი მზერა გელანდებოდა ნაცნობ-უცნობისაგან,
სულ გამჭორავი ჩურჩული გესმოდა თვითონ სიჩუმდიდანაც
კი...

სულ ქირქილი და კუჭკუჭ-ხითხითი...
მხოლოდ ღამღამობით მიიპარებოდი გარეუბნის საყდარში
და ხატ-სანთლების წინ ლოცულობდი...
ლოცულობდი და ტიროდი... ტიროდი...
ცრემლებითაც და უცრემლოდაც...“ (გვ. 34).

პოეტი, ტექსტის აქტუალიზაციისას, მართალია თანაბარი ძა-
ლისხმვით იყენებს ორივე სტილისტიკურ ხერხს, თუმცა პოეტური
გამეორება ოდენ გარეგანი, ფორმოზრივი ხასიათისაა, მისგან გან-
სხვავებით კი, სინონიმური პარალელიზმი საკუთრივ შინაარსობრი-
ვი გამეორებაა. იგი სათქმელის შინაარსობრივ ნიუანსებს აზუსტებს
და კონოტაციურ ელფერს აძლიერებს, აზროვნებას სასურველ გეზს
აძლევს და აზრის, მნიშვნელობის უკეთ წვდომას, შინაარსის სრულ-
ყოფას ემსახურება. ასე მაგ.:

„ო, ღმერთო, ღმერთო, ამ წყეულ და სლიპინა სიტყვას
როგორ გავეცე... სად დავემალო!..
ამ წუთას ნამდვილად მეზიზღებიან ქართული ასოები.
ისინი იფშვნიტებიან და ქალღმერთი იპარებიან
და გამირბიან... გამირბიან სირცხვილისაგან...
დაცემა და გადაგვარება მედროვეთა მეტი იქნება?!
იქნებ ჭორი და მონაჩმახია ეს ამბავი?
ხმა ამოიღეთ, გარდასულთა წმიდა სულეზო,
ხმა ამოიღეთ, ამეტყველდით, დამიდასტურეთ,
რომ სიცრუეა, ტყუილია ეს ყველაფერი“ (გვ. 31-32).

„ნუ ტირი, შემოგველე... განა შენ ტირილის თავი გაქვს?
ისევ მე ვიტირებ შენს მაგიერ...
თუ ნებას მომცემ, მე ვიქნები შენი მომფერებელი...
მე ვიქნები შენი ნუგემისმცემელი...
შენი კარის მგოსანი,
შენი პირადი მცველი, პირისფარეში“ (გვ. 35-36).

„მოგხვდათ? გემწუთხათ? დაგისივდათ ბოღმით გულელები?
გიხურთ, გისკდებათ საფეთქლები უროთა ცემით?“ (გვ. 36).

საგულისხმოა, რომ სინონიმური პარალელიზმი ერთგვარი კომენტირების მოვალეობასაც ითავსებს, რამდენადაც მსჯელობაში ახსნა-განმარტების ელემენტები შემოაქვს. ამ გზით იზრდება როგორც აქტუალიზებული ფორმის სემანტიკური წონა, ისე, ამისდა შესაბამისად, ტექსტის ემფატირებული მონაკვეთის აზრობრივი დატვირთვაც. მაგალითად, ამგვარადაა აქტუალიზებული პოემაში უმთავრესი ზმნა:

„იმპერატორს ულამაზესი ქართველი ასულიც **ჩაუწვინესო...**
რა საშინელი სიტყვაა „ჩაუწვინეს“... – მეხითგატენილი
და თან მიწაზე მუცლით მხოხავი...
ერთდროულად ურცხვიც და თავის მომჭრელიც“ (გვ. 31).

„ჩაუწვინესო“... ამას როგორ ვწერ...
ან დაწერილს როგორ ვკითხულობ!“ (გვ. 31)

„ჩაუწვინეს“... ანუ სამარეში ჩააწვინეს
ჩემი და შენი – ყველა ქართველის თავმოყვარეობა,
სამარეში ჩააწვინეს ჩემი ამაყი ჯიში და ჯილაგი...“ (გვ. 32).

წარმოდგენილ ილუსტრაციებში ცხადად ჩანს ავტორისეულ განცდათა და განმარტებათა თანაზიარი ენობრივი საშუალებებისაკენ სწრაფვა.

აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვათგამეორების პოზიციური შესაძლებლობების მხატვრულ-სემანტიკური სრულყოფისათვის სათანადო ინტონაციურ ველს ქმნის პაუზის ფუნქცია და

სასვენ ნიშანთა სისტემა. პოეტური გამეორება (ცალკერძ, და, ძალზე ხშირად, სინონიმური პარალელიზმით) ინტონაციის მარგანიზე-ბელ როლზე მიუთითებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი შინაარსის აქტუალიზაციისა და ნააზრევის უმჯობესი გაგებისათვის ინტონაციურ-სინტაქსურ ბაზაზე შექმნილ ტექსტებსა და, მით უფრო, ვერლიბრის ენობრივ სივრცეში.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

ვნებითი გვარის მიმღეობური მე- -- ე წარმოების კვალი „ვეფხისტყაოსანში“

ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობის კონფიქსური წარმოება, არც ქართულ და არც ზანურ ქვესისტემებში დღეისათვის პროდუქტიული აღარ არის. ქართველური იდიომებიდან ამგვარი დერივაცია ბუნებრივია სვანურში, სადაც ნამყო დროის ვნებითი გვარის ერთი ტიპის მიმღეობები მე- -- ე კონფიქსით იწარმოება ძირითადად ფუძედრეკადი ზმნებისაგან. წარმოდგენილ ილუსტრაციებში მეტი თვალსაჩინოებისათვის სვანური მასალა მოცემულია ლენტეხური კილოს მიხედვით, სადაც რედუქციის ფონეტიკური პროცესი შესუსტებულია, რაც ფუძის ამოსავალი სახეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

მე- -- ე:

მე-ბეფ...-ე	„გაპობილი, გაჩეხილი“
მე-დეგ-ე	„ჩამქრალი“
მე-დღებ-ე	„გახრწნილი“
მე-კ...ეშ-ე	„მოტეხილი“
მე-რელ...-ე	„დანგრეული, დარღვეული“
მე-ტყ...ეფ-ე	„ატყავებული“
მე-ყ...ეფ-ე	„გახუნებული; ამოდრობილი“
მე-ხ...ეტ-ე	„ამოწყვეტილი“...

როგორც ვხედავთ, ქართულის ნამყო დროის **-ილ/-ულ** სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობების შესატყვისები სვანურში მე-ე კონფიქსით იწარმოება, რაც ძველ ვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს; ვფიქრობთ, მსგავსი დერივაცია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

სვანურისებური **მე- -ე** წარმოების ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობის კვალი უნდა იკითხებოდეს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ტაეჰში (იხ. 689-ე – ნ. ნათაძის გამოცემა), რომელიც ეკუთვნის ცნობილ განაკვეთს „ამბავი ავთანდილისა არაბეთს მიქცევისა ტარიელ რომ იპოვნა და წავიდა“:

„რა მიეახლა, გარდახდა, ყმამ თავყვანი-სცა მეფესა;
აკოცა როსტენ, მიმხვდარმან ნიშატთა სიიეფესა;
გულ-მხიარულნი, შვებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა;
მის ყმისა მოსვლა უხარის ყოველსა მუნ **მეკრეფესა**“.

ცხადია, ბოლო სიტყვა-ფორმის სეგმენტაცია მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს – **მე-კრეფ-ე**, რაც **კრეფ- „შეკრება“** ზმნის ნამყო დროის **მე- -ე** კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობაა ვნებითი გვარისა და შინაარსით უდრის **შეკრებილს**; ე. ი. რუსთაველმა რითმის აუცილებლობიდან გამომდინარე გაააქტიურა **მე- -ე** წარმოება, რომელიც მისი ეპოქის ქართულისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

სავარაუდოა, რომ **მეკრეფე** ტიპის წარმოება ოდესღაც ახასიათებდა ზანურსაც, რასაც ცხადყოფს ქვემოთმოყვანილი რუდიმენტები **მე- -ე** კონფიქსური დერივაციისა.

მეგრულის შემთხვევაში ამდაგვარი კონფიქსის გამოყოფა ხერხდება რამდენსამე მიმღეობაში, შდრ.: მეგრ. **მე-რკ-ე** „ნაკლული“ (**რკ-აფ-ა** „კლება“, **ო-რკ-უ(ნ)** „აკლია“), **მე-რძლ-ე** „დანაყრებული, დაყუათებული“ (**რძლ-აფ-ა** „ძლომა“), **მე-სქ-ე** „შეუსვენებლივ, მიბმით, გამუდმებული“ (**სქ-უ-აფ-ა** „ბმა“), **მე-რგ-ე** „მორგებული“ (**რგ-აფ-ა** „მორგება“), **მე-გ-ე** „დამგვანებული“ (**გ-უ(ნ)** „ჰგავს“).

მე- -ე ასევე გამონაწევრდება რამდენსამე ლაზურ მიმღეობაში: **მე-ნჭიპ-ე** „ჩაჭურთული“ (**ნჭიპ-აფ-ა** „ჩაჭურთვა“), **მე-კიდალ-ე** „მიბმული“ (**ო-კიდალ-უ** „მიბმა“), **მე-სპირ-ე** „გალესილი“ (**ო-სპირ-უ** „გალესვა“), **მე-ნზუმ-ე** „თქმული, გალექსილი“ (ლაზ. **ნზუმ- :** ქართ.

ზამ- „თქმა“). ლაზურის ზოგ ფორმაში ბოლოკიდური **ე** მონაცვლეობს **ა**-სთან, შდრ.: **მე-სპირ-ე / მე-სპირ-ა** „გალესილი“, **მე-ოქთ-ა** „დახრილი“, რაც ბუნებრივი ჩანს ლაზური აუსლაუტისთვის (შდრ. **მა-ბუძალ-ე / მა-ბუძალ-ა** „მემუძური“) და ასახავს საკუთრივ ზანურ შესატყვისს, ანუ ქრონოლოგიურად უფრო ძველია, შდრ. ბგერათმესატყვისობა ქართ.-სვან. **ე** : ზან **ა**.

ზანურ ნიმუშებში **მე-** – **ე** დერივაცია ყოველგვარ ზმნასთან ჩანს შესაძლებელი, მაშინ, როდესაც რუსთველისებური **მე-კრეფ-ე** ეფუძნება **კრეფ-/კრიფ-** ფუძედრეკად ზმნას, ისევე, როგორც ეს საზოგადოდ ხდება სვანურში, შდრ. **დეგ-/დიგ-** „ქრობა“, **მე-დეგ-ე** „ჩამქრალი“...

აქვე საყურადღებო და ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ქართულსა და სვანურში მიმდგომის საყრდენი ფუძე მხოლოდ **-ე** გახმოვანებითაა წარმოდგენილი.

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

ლექსიკოლოგიური და დიალექტოლოგიური მუშაობა პროფესორ აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით (XX საუკუნის 20-იანი წლების საარქივო მასალების მიხედვით)

1918 წელს ქართული უნივერსიტეტის ერთადერთ სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტზე თავიდანვე დაიგემა ქართული სალიტერატურო ენის, ქართველური ენებისა და დიალექტების შესწავლა. უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებში მოეწყო საენათმეცნიერო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რასაც მოწმობს იმდროინდელი სტუდენტების: **ხენედიკტე ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი ჯაკობიას** და სხვათა ანგარიშები. აღნიშნულ სამეცნიერო მივლინებებს ხელმძღვანელობდა პროფ. **აკაკი შანიძე**. სწორედ მისი თაოსნობით თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტში ლექსიკოლოგიურ და დიალექტოლოგიურ მუშაობას ორგანიზებული ხასიათი მიეცა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ 1923 წელს პროფ. ა. შანიძემ წერილობით მიმართა თბილისის უნივერსიტეტის გამგეობას და სთხოვა უნივერსიტეტის მთავარ შენობაში გამოეყოთ ლექსიკოლოგიური კაბინეტი. სისტემატური მუშაობისთვის ა. შანიძე აპირებდა დაესაქმებინა უნივერსიტეტში პროფესორობისთვის მოსამზადებლად დატოვებული პირები, ნიჭიერი სტუდენტები და სხვადასხვა დარგის მოწვეული სპეციალისტები. ა. შანიძის მიმართვის ტექსტის ამონარიდი ასეთ შინაარსს შეიცავს:

„მოგახსენებთ, თუ რა უნუგემო მდგომარეობაშია დღეს-დღეობით ქართული ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოლოგიის საქმე. მოგახსენებთ, რომ არ გაგვაჩნია ცოტად თუ ბევრად ჩვენი დროისთვის შესაფერისი ლექსიკონი ქართული ენისა, რიგაზად შედგენილი და სანდო წყაროებზე დამყარებული და კარგად დალაგებული. ვრცელისა და კარგი ლექსიკონის შედგენას ერთი და ორი ვერ შეძლებს. ლექსიკონს, რომელიც უნდა შეიცავდეს ქართული ენის საუნჯეს უძველესი დროიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, არა თუ ერთი და ორის, არამედ სამი და ოთხი პირი მოერიოს. არა, ამისთვის საჭიროა მრავალ პირთა თანამშრომლობა და დიდი ხანი“ (სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 924, გვ. 8). ზემოაღნიშნულ წერილს თან ერთვის 1923 წლით დათარიღებული ბარათი, რომელზეც მოცემულია ლექსიკოლოგიური კაბინეტისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

როგორც ჩანს, პროფ. აკ. შანიძემ ვერ მიიღო დადებითი პასუხი აღნიშნული საქმის განსახორციელებლად, რადგან 1924 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ისევ სთხოვდა კაბინეტს, შესაბამის ავეჯს და ქაღალდს ლექსიკონისთვის.

ჩვენ მიერ მოძიებული საკვლევი მასალების მიხედვით ჩანს, რომ ა. შანიძე აგრძელებდა ლექსიკოლოგიური და დიალექტოლოგიური სამუშაოების ორგანიზებას. ამას მოწმობს მის მიერ 1925 წელს შედგენილი წერილი, რომლითაც ის მიმართავდა შრომის ბირჟას და სთხოვდა თანხის გამოყოფას საენათმეცნიერო ექსპედიციების ჩასატარებლად (სვანეთში უნდა გაეგზავნათ – **ა. ჩიქობავა და ვ. თოფურია**, თუშეთში – **პეტრე ცისკარიშვილი**, ფშავ-ხევსურეთში – **ვ. ტუქსიშვილი**). მიმართვის პასუხად შრომის სახალხო კომისარიატს ა. შა-

ნიძისთვის გამოუგზავნია დოკუმენტი, რომლითაც პროფესორს სთხოვდნენ დიალექტოლოგიურ ექსპედიციებზე წაეყვანათ კომისარიატის მიერ შერჩეული 20 უმუშევარი პირი. ოფიციალურ საბუთში პუნქტებად არის ჩამოწერილი, როგორ უნდა ეხელმძღვანელა ა. შანიძეს უმუშევრებისთვის და როგორ უნდა შეეფასებინა მათი შრომისუნარიანობა.

ამრიგად, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საარქივო მასალებით ცხადად ჩანს, რომ სირთულეების მიუხედავად, პროფ. ა. შანიძისა და მისი თანაგუნდელების ძალისხმევით, აქტიურად მიმდინარეობდა ლექსიკოლოგიური და დიალექტოლოგიური მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათი უპირველესი მიზანი იყო ფოლკლორული მასალებიდან, უძველესი მწერლობის ნიმუშებიდან, ხელნაწერებიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხის კილოებიდან ამოკრებული ენობრივი მარგალიტების აღნუსხვა და ლექსიკონების სახით გამოცემა.

ნ ი ნ ე ლ ი ქ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

შაქარ-სიტყვის ისტორიისათვის ქართულში

კრისტალური, ტკბილი საკვები ნივთიერების აღმნიშვნელი სიტყვა შაქარი დასტურდება ძველი, საშუალო და ახალი ქართული სამწერლო ძეგლებსა და მის დიალექტებში. შაქარი ცუქურო B.; შაქარ ZAABCaqDE.; ინდოურისა ენითა თაფლი შეყინებული ითქმის ZA. – საბა. ქეგლის მიხედვით იგი სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევა. წარმომავლობით კი – (ბერძ. σάκχαρον < ძვ. ინდ. [śarkarāḥ] — „ქვიშა“) — შაქრის ჭარხლის ან შაქრის ლერწმისგან მიღებული ტკბილი პროდუქტია (ვიკიპედია).

შაქარი – თვთ ბერძენნიცა ამასვე ჰყოფენ, რომელ სხჳსა ქუეყანისა ნაყოფსა, რომელი საბერძნეთისა არა დგას, მისვე ენისა სახელითა დასწერენ: *შაქარსა* სახარად (A=1115 223r) – ზ. სარჯველაძე. მტერს *შაქარი* უნდა აჩვენოს და შხამი აჭამოს (ხოსროვ შირინიანი). წყალი უგემოა, *შაქარი* ტკბილია, ძმარი მჟავეა, მარილი მლაშეა

(ი. გოგებ., ქეგლი). **შაქარი** ამავე მნიშვნელობით დაფიქსირებულია კახურში, ქართლურში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში და სხვ.

შაქარ- ფუძე დასტურდება ნაწარმოებ სახელებში, ზმნურ ფორმებში, აგრეთვე სხვადასხვა სინტაგმებისა და იდიომების შემადგენელ ნაწილადაც. მაგ. **საშაქრე, შაქარა, შაქრიანი, ყინვარშაქარი, დაშაქრდება, შაქრის ჭარხალი, თაგვის შაქარი, შაქრის ავადმყოფობა, ♠ შენ (თქვენს) პირს შაქარი** და სხვ. – ქეგლი.

ახალ ქართულში სხვადასხვა ფორმის გაწმენდილი, მაგარი შაქრის მნიშვნელობით იხმარება ♠ **ნატეხი შაქარი** და **რაფინადი** [ფრან. raffinade] – ქეგლი.

საშუალო ქართულის სამწერლო ძეგლებში რაფინადის მნიშვნელობით დამოუკიდებელი, ან სინტაგმის შემადგენელი ლექსიკურ ერთეულებად გვხვდება შემდეგი ლექსემებიც:

ყანდი/კანდი (არაბ.) დაწმენდილი და თეთრი შაქარი (დ. ჩუბინაშვილი). ვეცხლისა ფერთა ფრჩხილითა *ყანდისა* და ნუშის მსგზავსი პირი ჩამოიჭოჭეს (შაჰნამე).

ტაბარზადი (სპ. ტაბარზად), **ტაბარზათი / ტაბარზათან / ტაბარზი / ტაპარზი / ტაპარზინი**. აიღე ზაფრანი და **ტაბარზადი** შაქარი (ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი).

მისირდნი საუკეთესო შაქარი (დ. ჩუბინაშვილი). შდრ. ქალაქი მისირდანი (მოკლედ გამოჩინება გარემოს ქვეყნისა).

შაქარი მაზანდამანისა წითელი შაქარი (დ. ჩუბინაშვილი). შდრ. მაზანდარანი ისტორიული ოლქი და ოსტანი ირანის კასპიისპირა რეგიონში (ალ. ელერდაშვილი).

ქალა შაქარი, ე. ი. დაბალი შაქარი, გარნა თავი შაქარი, ე. ი. უპირველესი შაქარი – საბა, დ. ჩუბინაშვილი. (აიღე) *ქალა* შაქარი, ასი დრამი წყალი დაასხი, ამდონი ადუღე, რომ შესქელდეს (აჭარული, მცირე კარაბადინი). წამლადამც გერგება... უცეცხლო თაფლი, *ქალა შაქარი*, მთის ბალახი (შელოცვიდან) (მოხეური, ქავთარამე). შდრ. თავი შაქარი.

კუტლეული თეთრი შაქარი – საბა. აიღე ... შაქარი *კუტლეული* ექუსისა წონა (ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი). გამოყოფილი სიტყვა ძველის კვალიფიკაციით მითითებულია ქეგლშიც. შდრ. კოტორი პურის მონატეხი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **კრინტი, კრინტაი** ნატეხი, კვინტი, ნამტვრევი, ნაჭერი. „კრინტაი შაქრით მიყორს

ჩაის დალევა, ძაუგჩი ბაზარზე ვიყიდითვე სანთლის კრინტები და ჩავეწითკე“ (მოხ. ქავთ.). ფ. ერთელიშვილს, **კრინტა** წარმომავლობით ხმოვანრედუცირებული კოტორ-ს სიტყვასთან აქვს დაკავშირებული (ფ. ერთელიშვილი 1970: 234).

პატარა ნატეხი შაქრის აღსანიშნავად **შაქარ** სიტყვასთან სინტაგმას ჰქმნის აგრეთვე **კვნიტი**, ს.-ქართვ. *კუინტ- „მცირე ნამსხვრევი; ნამცეცა“ (მ. ჩუხუა), რომელიც საშ., ახ. ქართულსა და მის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებით დასტურდება. მაგ. **კვნეტა**, **კვნიტი**, **კენჭი** (გურული), **კვნიწი** (საბა, ქეგლი, ქართლური, ქიზიყური), **კვნიჭი** (ლეჩხუმური), **კნუტ** (ინგილოური).

შაქრის ნაფხვენის სემანტიკით ქეგლში მითითებულია **შაქრის ფხვნილი**, **ფხვიერი შაქარი** (ნეიმანი). ძვ. **ხამი შაქარი** (დ. ჩუბინაშვილი, ქეგლი).

დიალექტებში ამავე მნიშვნელობისაა **დანაყილი შაქარი** (მესხური), **სილა შაქარი** (გურული), **ქვიშა შაქარი** (ალ. ნეიმანი). შდრ. **პესოკი**. ბარბარიზმის სწორი შესატყვისია **შაქრის ფხვნილი** сахарный песок (რუს.) (ბარბარიზმების ლექსიკონი).

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ,
და ვ ი თ ჭ ე ლ ი ძ ე

ძველ ქართულ კარაბადინებში დადასტურებულ სამკურნალო მცენარეთა სახელების ასახვის საკითხი „მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“

ძველი ქართული სამკურნალო წიგნები (კარაბადინები) მკვლევართათვის მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო. „მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის“ (ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დ. ჭელიძე) შედგენისას ჩვენთვის ძვირფასი აღმოჩნდა აქ დადასტურებული მცენარეთა სახელები. ეს არის გამორჩეულად მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი და მდიდარი ლექსიკური მასალა. მიგვაჩნია, რომ ამ მასალის დადასტურება არა მხოლოდ მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ლექსიკონს, არამედ ხშირად ნათელს ჰფენს

რიგ ბუნდოვანებას, რომელიც თან ახლავს ზოგიერთი მცენარის სახელის ამოცნობას, წარმომავლობას, სესხების გზებსა და თავისებურებებს.

მხედველობაში გვაქვს ის კარაბადინები, რომელთა შესწავლა და აკადემიური გამოცემა მოხერხდა მე-20 საუკუნეში. ესენია: ქანა-ნელის „უსწორო კარაბადინი“ (1940 წ., 1997 წ.), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (1978 წ.), ხოჯა ყოფილის „წიგნი სააქიმოი“ (1936 წ.), დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“ (1992წ.). ამ ნაშრომებს თან ერთვის გამომცემელთა მიერ საგულდაგულოდ შედგენილი ლექსიკონები.

„მცენარეთა სახელების კრებისთ ლექსიკონში“ აისახა მხოლოდ კარაბადინებს თან დართული ლექსიკონების სათანადო მასალები, ტექსტებზე მუშაობა და მათი ანალიზი ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა.

მუშაობისას თავი იჩინა მნიშვნელოვანმა სირთულეებმა (ხშირად მოულოდნელმაც), რადგან, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული, აქ დადასტურებული ბევრი სამკურნალო საშუალება და უპირატესად სწორედ მცენარეები, ჯერ კიდევ არ არის ამოცნობილი, ამასთან, ლექსიკონებში შეინიშნება რიგი ბუნდოვანებანი, შეუსაბამობანი.

შევიმუშავეთ აღნიშნულ წყაროთაგან მასალის გადმოტანის გარკვეული წესები, რომელთაც ზედმიწევნით წარმოვადგენთ მოხსენებაში.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა

ჩვენებით ნაცვალსახელთა შესახებ მეგრულში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, ქართულ ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევრა სისტემისაგან განსხვავებით, მეგრულ-ლაზურსა და სვანურს ორწევრა სისტემა მოეპოვება (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...). მკვლევართა ნაწილი ამოსავლად ორწევრა სისტემას მიიჩნევს, ნაწილი – სამწევრას.

ვფიქრობთ, მეგრულში ამჟამად არის ტენდენცია ჩამოყალიბდეს ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევრა სისტემა, კერძოდ, დაპირისპირება – **ათენა, ეთინა, თინა...**

ა) **ათე(ნა)** პირველ (მეტყველ) პირთან მყოფ პირზე ან ნივთზე შეიძლება მიუთითებდეს.

ათე კოჩი ზუგდიშა მეურს „ეს კაცი ზუგდიშში მიდის“.

ათე ცუდე მიშიე? „ეს სახლი ვისია?“

ათენა რე ჩქიმ ჯიმა „ეს არის ჩემი ძმა“.

ბ) **ეთი(ნა)**-მ მეორე (მოსაუბრე) პირი ან ნივთი აღნიშნოს.

ეთი კოჩი ჩქიმ მეზობელიე „ეგ კაცი ჩემი მეზობელია“.

ეთი ოზეს ხუთ ჯა გეჩანს „მაგ ეზოში ხუთი ხე დგას“.

ეთინა ვარე ჯგირ კოჩი „ეგ არ არის კარგი კაცი“.

გ) **თი(ნა)** მესამე პირთან მყოფი ადამიანისთვის ან ნივთისთვის არის გამოყენებული.

თი კოჩი ვარე ჩქინიანი „ის კაცი ჩვენიანი არ არის“.

თი ღალიშ წყარი ირო ტიბუ რე „იმ ღელის წყალი ყოველთვის თბილია“.

თინა ოკო ვათქუე „ის არ უნდა თქვა“.

პროექტი „წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა ამსახველი კოლოკაციები კავკასიურ ენებში“

(პროექტი №FR-21-2100 ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით)

რ ე ვ ა ზ ა ბ ა შ ი ა

ეთნოლინგვისტურ კოლოკაციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში¹

ისევე როგორც ქართულსა და სვანურში, მეგრულ-ლაზურშიც ვხვდებით ეთნოლინგვისტურ კოლოკაციებში კომპონენტად შემავალ არაერთ ლექსემას, რომლებიც საინტერესოა არა მხოლოდ ეთნოგრაფიულ რეალიებთან მათი მიმართების შესწავლის მხრივ, არამედ ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის თვალსაზრისით. ასეთი ანალიზი კი, თავის მხრივ, გულისხმობს ცალკეული ლექსემის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ განხილვასაც.

ამჯერად შევჩერდებით სამეგრელოში საოჯახო ყოფასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველ კოლოკაციებში კომპონენტად წარმოდგენილი **ნერჩი** სიტყვის ისტორია-ეტიმოლოგიაზე. იგი გვაქვს კოლოკაციებში, როგორცაა **ნერჩიშ ხვამა** „ფუძის ლოცვა“, **ნერჩიშ ოხვამერი** „ფუძის სალოცავი“, **ნერჩიშ გითოხვამა** „ფუძის გამოლოცვა“, **ნერჩიშ მარდი** „ფუძის მადლი“, **ნერჩი პატენი** „ფუძის ბატონი (ანგელოზი)“.

ამ ლექსემის სემანტიკა მრავალფეროვანია: **ნერჩი** „ფუძე, ძირი, ადგილი, რომელზედაც სახლი დგას; ფსკერი (ნავისა); დედამიწა; მორჩი; შთამომავალი; ახალშობილი ბავშვისთვის ლოცვა; მიწის ღვთაება, ფუძის ანგელოზი; ზოგჯერ იხმარება მშობლიური კერის მნიშვნელობითაც“ (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 2010).

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

კოლოკაცია – **ნერჩიშ ხვამა, ნერჩიშ ოხვამერი** – ასახავს სახლის, ოჯახის ფუძის დალოცვის რიტუალს, რომელიც სრულდება და დიდმარხვამდე 25 დღით ადრე (ი. ყიფშიძის აზრით), ოთხშაბათობით, რის გამოც ამ რიტუალს ოჯღუმაშხურიც (საოთხშაბათო) ჰქვია. რიტუალის ერთ-ერთი თავისებურებაა მისი შესრულება მხოლოდ მიწურში, უიატაკო სახლში, ვინაიდან მიწის (სახლის ფუძის) მფარველს მიემართებოდა. ამასთანავე, **ნერჩი** აუცილებლად მიწას, როგორც ფუძეს, რომ გულისხმობს, იქიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, სხვა შემთხვევაში, სიმართლის დადგენისას ბრალეულ ადამიანს ქვაზე შეაყენებდნენ, რომ მიწაზე, „ნერჩზე“ არ მდგარიყო და **ნერჩი პატენის** (ფუძის ბატონის) მფარველობით არ ესარგებლა.

ამდენად, **ნერჩი** ლექსემის ზემოხსენებული მნიშვნელობების მიხედვით, შესაძლებელია სეგმენტაცია – **ნე-რჩ-ი**, სადაც გამოიყოფა **რჩ-** ძირი, რომელიც წარმოდგენილია არაერთ სხვა ფუძეშიც: **რჩ-აფ-ა** „დაფენა, დაგება“, **დო-რჩ-ელ-ი** „დაფენილი, გაშლილი“, **ნო-რჩ-ალ-ი** „ქვეშაგები, ლოგინი“... ამავე ძირით ნაწარმოები ფუძეები დასტურდება ლაზურშიც: **დორჩაფა** „დაფენა, დაგება, გაშლა“, **დორჩელი** „დაფენილი“, **დორჩუ** „დაფენა, დაგება, გაშლა“ (ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, 2013).

ცნობილია **რჩ-** ძირის ქართული და სვანური შესატყვისებიც: ქართ. და-**რეც**-ვა, სა-**რეც**-ელ-ი : სვან. ლი-**რშ**-ი „გაშლა“, ლგ-**რამ**-ტუ „გაშლილი“, ლე-**რშ** „ლეიბი“ (ნ. მარი, 1914; არნ. ჩიქობავა, 1938...). სანალიზო ფუძის საერთოქართველური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ დისკუსიის საგანია ფუძეების დონეზე სარწმუნო არქეტიპის რეკონსტრუქცია. სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით სამი სახის არქეტიპს: ***რაც-** (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000), ***რც-** / ***რეც-** (G. Klimov, 1998). ბ. გიგინეიშვილმა ეჭვი შეიტანა ამ არქეტიპების მართებულობაში, თუმცა საკუთარი რეკონსტრუქცია არ შემოუთავაზებია. აზრთა სხვადასხვაობას ძირითადად სვანური ძირის გახმოვანება – **რამ** – იწვევს (ქართულში სხვა გახმოვანების **რეც-** ძირის ფარდად). აქედან გამომდინარე, არქეტიპის სანდო რეკონსტრუქციისთვის ორი გზა რჩება: 1. სვანურში წარმოდგენილი **ა** გახმოვანებით (შესაბამისად, არქეტიპი ***რაც-** იქნება) და 2. ქართული ფუძის ე გახმოვანებით (შესაბამისად, არქეტიპი ***რეც-** იქნება). ჩვენი აზრით, უპირატესობა **ე**-ხმოვნის ძირისკენაა, ვინაიდან: 1. დასტურდება ადრინდელ ძველქართულ წყაროებში; 2. საფუძველი

ს.-ქართვ. ა > ქართ. ე ფონეტიკური ცვლილებისთვის არ არსებობს; 3. სვანურში კი ე > ა გადასვლის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო უმლაუტი ან სხვა ფონეტიკური პროცესი, რომელიც ამ ენას უფრო მეტად ახასიათებს, ვიდრე ქართულსა და მეგრულ-ლაზურს.

ამდენად, საერთოქართველური ფუძემენის დონეზე, ვფიქრობთ, შესაძლებელია *რეც- არქეტიპის რეკონსტრუქცია.

მოხსენებაში ასევე განხილულ იქნება ეთნოლინგვისტურ კოლოკაციებთან დაკავშირებული სხვა ლექსემებიც (**გინოჩამა** „გადაცემა“, **მორსხა** „ხსნა“, **ხალა** „დაბადება, გაჩენა“...).

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ცხენი კომპონენტის შემცველი შესიტყვებებისა და კომპოზიტების ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის¹

მსოფლიოს არაერთი ხალხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ცხენი საკულტო პირუტყვს წარმოადგენს და იგი ფიგურირებს სხვადასხვა წეს-ჩვეულებათა თანმხლებ რიტუალებშიც; კერძოდ, თვალსაჩინოა მისი კავშირი მიცვალებულის დაკრძალვის წესებთანაც. ეს ფაქტი, ცხადია, ასახვას პოვებს ენაში.

ამ თვალსაზრისით, ქართული ენის დიალექტებში დაიმბნება საყურადღებო ლინგვისტური მონაცემები. შთამბეჭდავია, ამ მხრივ, ხევსურული კილო, რომელიც ხასიათდება როგორც შესაბამისი მასალის (მყარი შესიტყვებების, კომპოზიტების...) სიუხვით, ასევე ღირსსაცნობი თავისებურებებით, რასაც ეს მასალა ავლენს სათანადო ეთნოგრაფიულ რეალიათა სახელდებისა და სემანტიკის თვალსაზრისით.

ხევსურულისათვის სპეციფიკურ კომპოზიტს წარმოადგენს **ცხენ-დოღ[ვ]ი** („ცხენი და დოღი“). განსხვავებით სალიტერატურო ქართულისაგან, რომელშიც **დოღი** „ცხენების ჭენებაში შეჯიბრს“,

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

„მარულას“ ნიშნავს მხოლოდ, ხევისურულში **ცხენ-დოღვი** სარიტუალო მნიშვნელობითაც იხმარება, კერძოდ, დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან; მაგ., „ხევისურეთში არის ასეთი წესი, რომლის მიხედვითაც ყველა მოკეთეს ევალება მიცვალებულის დასატირებლად წასვლა მისი სიკვდილის გაგებისთანავე. თუ მკვდარი ახალგაზრდაა, აუცილებლად ცხენთურბოლებენ (დოღვი). დოღვი ნათესავების ცხენებს ურევენ (ნ. ბალიაური, 1991. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.). სარიტუალო ცხენების სახელწოდებაა ხევისურულში **ცხენნი** და ეს სიტყვა თვითონ „დოღსაც“ (ხევის. **ცხენ-დოღვი**) აღნიშნავს კრებითად (ალ. ჭინჭარაული, 2005). მას მოეპოვება, აგრეთვე, ფორმა **ცხენტა**, რომლისგანაც მიღებულია შესიტყვება **ცხენტაჩი გასარევი**. ეს შესიტყვება წარმოადგენს ერთ-ერთ სახელწოდებას სარიტუალო ცხენისა. სათანადო რიტუალში მონაწილეობასთან (სარიტუალო ქმედებასთან) დაკავშირებით, ეთნოგრაფიულ ტექსტებში თვალსაჩინოა რეგულარულად გამოყენება ზმნებისა -**რევ-ა**, **[გა]-ურევ-ს**, **რბოლ-ა**; მაგ., შესიტყვებები: **ცხენს გაურევს**, **ცხენს ურევს**, **ცხენთ არბოლებს**, **ცხენთ ურბოლებს** (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, 1940; ალ. ჭინჭარაული, 2005).

მიცვალებულის ნათესავთა და მოკეთეთა „ცხენტაჩი გასარევი“ (ე.ი. სარიტუალო სადოღე) თითოეული ცხენი სახელდებულია შემდეგნაირად: **დედულთა**, **მამიდასი**, **დედიდასი**, **სახლისკაცებისა**, **ცოლეულთა**, **მმოხილისა**, **მამისახლისა**, **ქმრეულთა...** მსგავსადვე: **სუდრის ჩამცმელისა**, **ნარევთა** (ხევის. დიალ. **ნარევნი** „პირები, რომლებიც მიცვალებულს უთევენ ღამეს და ცხედარს აპატიოსნებენ“) (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, 1940; ალ. ჭინჭარაული, 2005).

სალიტერატურო ქართულზე ან რომელიმე სხვა დიალექტზე მეტყველისათვის გაუგებარი იქნება მნიშვნელობა შესიტყვებებისა **ცხენის გაკეთება** (**ცხენს გააკეთებს**), **ცხენის გამკეთებელი**, მაგრამ ხევისურულში იგი ნიშნავს შემდეგს: „მიცვალებულისათვის დაკურთხებულ ცხენს ფაფარს დაუწნავს (ქალი) და სამკაულებით მორთავს“ (ალ. ჭინჭარაული, 2005). ამ სარიტუალო ქმედების ასეთი სახელდება გასაგები რომ გახდეს, გასათვალისწინებელია ის დამატებითი მნიშვნელობა, რომელიც, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, მოეპოვება ხევისურულში **[გა]კეთება** ზმნას; კერძოდ, ეს მნიშვნელობაა „მოქარგვა (პერანგისა, ჩოხისა)“, **გაკეთებული** „მოქარგული“; შდრ. ხევისურულშივე შესიტყვებები **გაკეთებული კვერი**

„მოქარგული კვერი“, **გაკეთებული მინა** „ნაქარგითა და მძივ-ლილე-ბით შემკობილი ბოთლი ვისამე მოსახსენებლად, სალოცავად“ (ალ. ჭინჭარაული, 2005). ანალოგიურად, **ცხენის გაკეთება** = „ცხენის მორთვა, შემკობა“. თავის მხრივ, [გა-]კეთ-ებ-ა ზმნის აღნიშნული სემანტიკა ხევესურულში ახლოს არის ძველი ქართულის მნიშვნელობასთან: **გან-კეთ-ებ-ა** „გალამაზება“, „გამშვენიერება“ (ილ. აბულაძე, 1973; ზ. სარჯველაძე, 2004).

სალიტერატურო ქართულისათვის არაფერია უჩვეულო შესიტყვებაში **სახლის ცხენი**, მაგრამ ხევესურული კილო აქც თავისებურებას გვიჩვენებს, თუ გავითვალისწინებთ ეთნოგრაფიული სინამდვილის სათანადო კონტექსტს, რომელშიც ეს შესიტყვება მოიხმარება; კერძოდ, **„სახლის ცხენი** იგივეა, რაც სულის ცხენი, ოღონდ ქალის დოღში მონაწილეობს. დაუკურთხებელია და შეკაზმული“ (ალ. ჭინჭარაული, 2005). ამის საპირისპიროდ, მამაკაცის დაკრძალვის რიტუალში ფიგურირებს **სულის ცხენი**: „მიცვალებულთან დააყენებენ მის ს უ ლ ის ც ხ ე ნ ს, რომლის ადვირი მიცვალებულს მარცხენა ხელში აქვს გამოზმული. ხევესურის წარმოდგენით, ვაჟკაცს საიქიოში სჭირდება ცხენი, რომლითაც ის ეგებება საიქიოში მიმავალ სულებს და მათ სააქაოს ამბებს გამოჰკითხავსო... დოღში მიცვალებულის ს უ ლ ის ც ხ ე ნ ს პირველი ადგილი უკავია; შემდეგ მას რიგით მისდევს: დედის ძმის ცხენი, მამიდის, მიცვალებულის გვარის, ცოლეურის, დების, მეგობრების და სხვა.“ (ს. მაკალათია, 1984). „მიცვალებულ ქალს ც ხ ე ნ ს ა რ „უ კ უ რ თ ხ ვ ი ე ბ დ ე ს“, ისე ც ხ ე ნ თ კ ი „უ რ ბ ო ლ ე ბ დ ნ ე ნ“, სადაც „ს უ ლ ის ც ხ ე ნ ის“ მაგიერ „ს ა ხ ლ ის ც ხ ე ნ ი“ გაერეოდა. როგორც „სულის ცხენი“ – „სახლის ცხენიც“ აგრეთვე შეკაზმული წავა „ც ხ ე ნ თ ა ჩ ი... ს ა ხ ლ ის ც ხ ე ნ ი – ეს ცხენი მიცვალებულის ოჯახიდან იყო, მაგრამ ს უ ლ ზ ე ა რ ი ყ ო და - ლ ო ც ვ ი ლ ი და დოღში ისე მიდიოდა“ (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, 1940. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.).

მთის სხვა კილოებში მოიპოვება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სათანადო რიტუალების ამსახველი შემდეგი სახელწოდებები:

ფშაურში, მსგავსად ხევესურულისა, – **სულის ცხენი** „თუ მიცვალებული მამაკაცია, თავთან დაუყენებენ შეკაზმულ „ს უ ლ ის ც ხ ე ნ ს“, რომელზედაც ხურჯინია გადაკიდებუ-

ლი შიგ პურით, ყველითა და არაყით. ცხენზე მიკრულია ნაბადი და მათრახი. ჭირისუფალს ამ შემთხვევაში ცხენი თუ არა ჰყავს, მას ნათესავი აძლევს. ს უ ლ ი ს ც ხ ე ნ ი ვ ა ჟ კ ა ც ხ ე ი ც ი ა ნ, ქალზე კი იშვიათად“; მიცვალებულის წლისთავზე „ნათესავ-მოკეთეები „პატივით“ მიდიან. საკლავებს დახოცავენ და მიცვალებულს ნიშანზე უკანასკნელად დაიტირებენ. ამის შემდეგ „სატირელს“ აიღებენ და ს უ ლ ი ს ც ხ ე ნ ს ა ც და ა კ უ რ თ ხ ე ბ ე ნ... ჭირისუფალი ს უ ლ ი ს ც ხ ე ნ ს ვ ე რ ც გა ყ ი დ ი ს და ვ ე რ ც გა და - ც ვ ლ ი ს და ის შ ი ნ ბ ე რ დ ე ბ ა (ს. მაკალათია 1985. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.); **დოდვი** „მიცვალებულის სულის პატივსაცემად გამართული შეჯიბრი-ჯირითი“ (გ. ხორნაული, 2000).

თუმურში – **სულის ცხენი** „გარდაცვლილის სახელზე ნაკურთხი ცხენი. იგი ოჯახში არ უნდა დარჩეს, ვინმეს უნდა აჩუქონ. ს უ ლ ი ს ც ხ ე ნ ი ვ დ ე დ ი ზ - მ მ ა თ ს ა კ უ თ ნ ო ი ა ვ, იციან“ (გ. ცოცანიძე, 2012. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.); **სადგინი** „მიცვალებულის წლისთავზე გამართული დოღი“ (გ. ცოცანიძე, 2012). „ალუდს“ „სადგინით“ ანუ დოდით მხოლოდ მამაკაცებს უხდიდნენ, უმეტესწილად „უკეთესის დროისებს“ – ახალგაზრდებს. არც ისე ხშირად – ბებრებს და იშვიათად – ქალებს. წლის ხარჯის – „ალუდის“ გარეშე კი მიცვალებულის დატოვება არ შეიძლებოდა. ასეთი მკვდარი „დაუმარხავად ითვლებოდა. თუმური „ალუდის“ ორიგინალური ნაწილი „ს ა დ გ ი ნ ი“ ანუ „ც ხ ე ნ თ - რ ბ ე ვ ა“ და „დალაობა“ (გ. ცოცანიძე, 1990. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.); „ც ხ ე ნ ი ს ო ფ ლ მ ა მი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ი უ ნ და ა ც ხ ო ნ ო - ს ო“, სადგინი იმიტომ იმართებაო. რამდენიც მეტი მანძილიდანაა გამოჭენება, მით მეტი მარგებელია მიცვალებულისთვისაო... სადგინში არის დ ე დ ი ს მ მ ა თ ც ხ ე ნ ი, ც ო ლ ე უ რ თ ც ხ ე ნ ი, დ ი ს წ უ ლ ი ს ც ხ ე ნ ი, მ მ ო ბ ი ლ ი ს ც ხ ე ნ ი, მ მ ი ს წ უ ლ ი ს ც ხ ე ნ ი...“ (გ. ბოჭორიძე, 1993. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა.); **ცხენჯამაგირი** „სადგინში მოწაწილე ცხენის გასამრჯელო“ (გ. ცოცანიძე, 2012). ეთნოლოგ დ. გიორგამის მიერ გარკვეულია, რომ სიტყვა **სადგინი** მომდინარეობს **დგენა** ზმნისაგან; მაგ., სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „დგენა – ორთა სამჯობინაროთა გამოცდა“; „ვეფხისტყაოსანში“ – „მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ც ხ ე ნ თ ა დ გ ე ნ ი ს ა“; თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, „დგენა – ცხენნი ერთმანეთს რომ გაუჭენოს გამოსაცდელად, თუ რომელი ცხენი ემ-

ჯობინება, რომელნიც მოსწრაფედ გაიქცევიან და მეორეს გაუსწრობენ, იგინი მიიღებენ ჯილდოსაცა“ (დ. გიორგაძე, 1987).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისაგან განსხვავებით, სვანეთში არსებობდა თავისებური რიტუალი, რომელიც გულისხმობს ცხენის მოკვდინებას, პატრონისათვის საიქიოში გაყოლების მიზნით: მამაკაცის დაკრძალვისას წესად იყო მისი ცხენის ქენება მანამდე, ვიდრე იგი გარდაცვლილის საფლავთან უსულოდ არ დავარდებოდა. ამ ქმედებას ერქვა **ჩაქი ლიბჭკუტე** („ცხენის გახეთქვა“). სვანეთში დადასტურებული ეს რიტუალი უფრო ადრინდელია და არქაული ვითარების ამსახველი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში **ცხენნი** (**ცხენ-დოღვი**), **სადგინი** (ალ. რობაქიძე, 1981). ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში მივიწყებული და გამქრალია წესი სარიტუალო ცხენის მოკვდინებისა. არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებენ მიცვალებულთან ერთად მისი ცხენის დამარხვის უძველესი წესის ოდინდელ არსებობას საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა თ. სახოკიას ცნობა XX ს.-ის დასაწყისში სამეგრელოში არსებული სინამდვილის შესახებ, რომლიდანაც ჩანს თუ როგორ ტრანსფორმაციას განიცდიდა იმ დროისათვის წეს-ჩვეულება: „მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ს , ჯ ე რ კ ი დ ე ვ შ ე დ ა რ ე ბ ი თ ა ხ ლ ო ხ ა ნ ს ა ფ ლ ა ვ შ ი მ ი ს ს ა ჯ დ ო მ ც ხ ე ნ ს ჩ ა ა ტ ა ნ დ ნ ე ნ ხ ო ლ მ ე , რომელსაც სულეთშიაც უნდა განეგრძო თავისი სამსახური პატრონისათვის. ეს ჩვეულება ძალიან გავრცელებული იყო მთელს საქართველოში, რაც მტკიცდება მის სხვადასხვა პროვინციებში საფლავების გათხრის დროს ადამიანის ძვლების გვერდით ცხენის ძვლების აღმოჩენით... ს უ ლ დ ი დ ი ხ ა ნ ი ა რ ა რ ი ს , ც ხ ე ნ ს მ უ ა ს მ ო ს ჭ რ ი დ ნ ე ნ და პ ა ტ რ ო ნ ი ს ს ა ფ ლ ა ვ შ ი ჩ ა ა ყ ო ლ ე ბ დ ნ ე ნ ; მაგრამ მეგრელებს ახლა ესეც არ მიაჩნიათ საჭიროდ, სჯერდებიან იმას, რომ მ ო - ჰ ყ ა ვ თ შ ა ვ ი თ შ ე მ ო ს ი ლ ი უ ნ ა გ ი რ ი ა ნ ი ც ხ ე ნ ი თავის გარდაცვალებული პატრონის საფლავთან. ცხენი მანამდეა გაჩერებული, სანამ მის პატრონს მიწას მიაბარებდნენ; შ ე მ დ ე ე გ ი ს ე ვ ს ა ხ ლ შ ი მ ო ჰ ყ ა ვ თ“ (თ. სახოკია, 1956. ხაზგასმა ჩემია – ლ. ა. ციტატა მოხმობილია ნაშრომიდან „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“, რომელიც დაწერილია 1913 წელს). სარიტუალო ცხენის სახელწოდებებად მეგრულში მოიპოვება

შესიტყვებები: **სურდული ცენი** „მესუდრული ცენი“ ან **შურიმ ცენი** „სულის ცენი“ (ა. ქობალია, 2010); შდრ. მთის ქართულ კილოებში (ხევს., ფშ., თუშ.) **სულის ცენი**.

მეგრულში საყურადღებოა, აგრეთვე, შესიტყვებები **ცენიმ ხვამა** „ცენის ლოცვა“ – თერდობის (თევდორობის) დღეს ოჯახში ასრულებდნენ რიტუალს, რომლის დროსაც წმ. თევდორეს ლოცვით შესთხოვდნენ ცენების გამრავლებასა და მფარველობას; **ცენიმ კვარი** „ცენის, მისი სხეულის ნაწილის ან მოსართავის ფორმის რიტუალური კვერი, საახალწლო რიტუალური ნაცხოზი, საწირი საქონლის გამრავლებისთვის მლოცველისა“ (ა. ქობალია, 2010). ხევსურულ კილოში აღსანიშნავია შესიტყვებები **ცენის დალოცვა** „მიცვალებულისათვის ცენის კურთხევა (რომ საიქიოში ქვეითი არ იყოს)“, **ცენის მისამზარეო** „საკლავი, რომლითაც პატრონი ხატს სთხოვს თავისი ცენის მფარველობას“, **ტაბლის ცენი** „იგივეა, რაც სულის ცენი“, **ცენ[თ]ტაბლა** „დოდის დროს დასაკურთხებელი სუფრა“ (ალ. ჭინჭარაული, 2005).

კავკასიის სხვა ხალხებშიც (ჩერქეზები, ოსები, ვაინახები, დაღესტნის ხალხები...) ყოფილა გავრცელებული მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წესი, როგორცაა დოდის გამართვა მიცვალებულის ნათესავებისა და მოკეთებების ცენების მონაწილეობით. დაღესტნის ხალხებში (მაგ., დარგულები, ყუმიყები, რუთულელები...) ცენი მონაწილეობდა შეძლებულ და განსაკუთრებით პატივცემულ, აგრეთვე, სიმამაცით გამოჩენილ პირთა დაკრძალვის წესებში. ასეთ შემთხვევებში ცენს კუდს მოაჭრიდნენ, ფაფარს შეკრეჭდნენ, თავსა და ზურგზე გადააფარებდნენ შავ საფენს, რომელსაც თვალებისათვის ნახვრეტები ჰქონდა ამოჭრილი და მიცვალებულის ეზოში წრეზე დაატარებდნენ (ჰ. ჰაჯიევი, 1991). ძველად არსებობდა ცენის შეწირვის წესიც; მაგ., ეთნოლოგ გ. ჩურსინის ცნობით (1927 წ.), დაღესტნის ერთ-ერთ ხალხში – ხუნძებში ისლამის განმტკიცებამდე, მოხუცთა გადმოცემებით, არსებობდა ცენის დამარხვის წესი, პატრონთან ერთად, და ამ გადმოცემათა სინამდვილე დადასტურებულია ძველი საფლავების გათხრებით. გ. ჩურსინი აღნიშნავს, რომ ამჟამად ხუნძებთან ცენი არავითარ როლს აღარ ასრულებს დაკრძალვის წესებში (გ. ჩურსინი, 2004).

ხევსურულ დიალექტს მოეპოვება შეერთებითი კომპოზიტი **ცენ-მწედარ[ნ]ი**, **ცენ-მწედრები**, რომლის მნიშვნელობაცაა რო-

გორც „ცხენი და მხედარი“, ისე „დოდის მონაწილე[ნი]“. სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, საინტერესო კომპოზიტი ხევესურულშივე ცხენკა „კარგი ცხენის პატრონი“ (← ცხენ-კარგი) (ჭინჭარაული 2005). სალიტერატურო ქართულში ანალოგიური კომპოზიტები არ ჩანს.

„ვეფხისტყაოსანში“ შეერთებითი კომპოზიტის სახით გვხვდება **ცხენ-კაცი** („ცხენი და კაცი“):

შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ც ხ ე ნ - კ ა ც ი ს ა დავდგი გორი.

შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: **„ცხენ-კაცი** (ცხენ-კაცისა) ცხენი და კაცი. *შუაზე გაჭრა ცხენ-კაცი, შამხს კოცნის ხმლისა წვერია* (ვაჟა)“. განმარტებით ლექსიკონში დადასტურებულია, აგრეთვე კომპოზიტური ზმნისართი **ცხენიან-კაციანად**. ქართულ ენაში კომპოზიტი **ცხენ-კაცი**, გამოყენების მხრივ, არ ჩანს პროდუქტიული .

საყურადღებო მოვლენას წარმოგვიდგენს ხუნძური ენა, რომელსაც ქართულის ანალოგიური კომპოზიტი (**ცხენ-კაცი**) თუმცა არ მოეპოვება, მაგრამ შეინიშნება ერთმანეთის გვერდით რეგულარულად ხმარება სიტყვებისა **ჩი** („კაცი“) და **ჩუ** („ცხენი“), რაც თვალსაჩინოა პარემიებში; მაგალითად:

ჩი ლალა რაჟუდასან, **ჩუ** ლალა რილადასან „კ ა ც ი იცნობა სიტყვით, ც ხ ე ნ ი იცნობა სვლით“; **ჩი** უხუხუგე – მალე, **ჩუ** ბუხუგე – კალწი ბამ „კ ა ც ი არ გალახო – ჭკუა დაარიგე, ც ხ ე ნ ი არ გალახო – საკვები დაუყარე“; **ჩი** უხუნ ქუნ ტურალ, **ჩუ** ბიხუნ ხერ ტურალ „კ ა ც ს ნახვენ საჭმელს აძლევენ, ც ხ ე ნ ს ნახვენ თივას აძლევენ“; **ლიკაუ ჩი მასა ე ცო რაში, ლიკაბ ჩო - დ უ მ ე ცო წალ** „კარგი კ ა ც ი ს ა თ ვ ი ს ერთი სიტყვა [საკმარისია], კარგი ც ხ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს მათრახის ერთი გადაკვრა [საკმარისია]“; **მალარუნ ჩი** ლუჰუნარეუ, **ბუხუნ ჰამილ ჩუ** ლუჰუნარეუ „ჭკუის სწავლებით კ ა ც ი არ გამოდის, ცემით ვირისაგან ც ხ ე ნ ი არ გამოდის“; **რეტელ ბიხუნ – ჩი, ჩუ ბიხუნ – ბაჰარჩი** „ტანისამოსს დაინახავ – კ ა ც ი („ადამიანი“), ც ხ ე ნ ს დაინახავ – ვაჰკაცი“; **აჰლულუნ ჰეჰეუ ჩი** ბეტერლუნგი თოგე, **ჰუნარ ჰეჰეუ ჩუ** რეკუნ ჩაბკადგი უნგე „უთვისტომო კ ა ც ს მეთაურად ნუ დააყენებ, უუნარო ც ხ ე ნ ზ ე ამხედრებული სათარემოდ ნუ წახვალ“;

უნიკოგო ჩიგო ლაღარო, რეინკოგო ჩუგო ლაღარო „უნა-
 ხავად კაცს ვერ გაიცნობ, თუ არ შეჯეცი ცხენს ვერ გაიცნობ“;
**დაღატ ქოღარეუტი ჩი უუკუნარეუტი, მალე კუტულარებ ჩუ ბუკუნა-
 რებ** „უშეცდომო კაცი არ არსებობს, ფლოქვის დაურტყმელი
 ცხენი არ არსებობს“; **ჩუგო კუტაქოგო, ჩიგო კუტაქოგო კაღა
 ბაკულარებ** „ცხენი თუ არ მოიკლა, კაცი თუ არ მოიკლა ციხე
 არ აიღება“; **ჩუ ბერცინ ჰაბულა ტიღიღაღი, ჩი ბერცინ ჰავულა
 ზაკმაღაღი** „ცხენს აღამაზებს უნაგირი, კაცს აღამაზებს შრო-
 მა“; **ჩუ ლაღა ტოღოღუტი ქუეღაღ, ჩი ლაღა ტაღღე უქუეღაღ**
 „ცხენი შეიცნობა აღვრის ქვეშ რომ მოხვდება, კაცი შეიცნობა
 ბრძოღაში რომ მოხვდება“; **ღურღაღაღი – ჩუ, იშაღი – ჩი** „იორღო-
 ბით – ცხენი, საქმით – კაცი“; **შაღან რეინკებ ჩუგო ჩი
 კაღაქუეღ მასგი რუკუნარეღ** „ადამიანი რომ არ ამხედრებულა [ისე-
 თი] ცხენი და კაცს რომ არ დაღაპარაკებია [ისეთი] გოგო არ
 არსებობენ“; **ტარაღანი ჩუგო ლიკაბ, ბეჩეღანი ჩიგო ლიკაბ**
 „თუ გასუქდა ცხენი ცკარგია, თუ გამღიღრღა კაცი ცკარგია“;
**ჩანგით ბარაბშინაბ ჩუ ბუკუნარო, ჩუკა რეტანშინაუტი ჩი უუკუნა-
 რო** „ავშარა დაღებულღ ყვეღა ცხენი არ არის [ხოღმე], ჩოხით
 შემოსიღი ყვეღა კაცი არ არის [ხოღმე]“; **ქუუუუ მაჩე ჩი მაღე
 ინკეღ, ჩუ ბოსე ჩი მაღა რეინკებ** „ქაღი მოიყვანე კაცთან
 არ წასული („გასათხოვარი“), ცხენი იყიდე [მასზე ჯერ] კაცი არ
 ამხედრებულღ“ და სხვ. (ზ. აღიხანოვი, ს. აღიხანოვი, 2012).

„კაცი“ და „ცხენი“ სიტყვების ერთმანეთის გვერდით ასე რე-
 გულარულად გამოყენება ხუნძურ ანდაზებში, როგორც ვხეღავთ,
 ეფუძნება პარონომაზიას, რაც შეპირობებულღა სიტყვათა ფონეტი-
 კური მსგავსებით: **ჩი** „კაცი“ – **ჩუ** „ცხენი“. ქართულში, ანალოგიის
 თვალსაზრისით, საინტერესო იქნება, მაღალითად, ერთ-ერთი მთიბ-
 ლური სიღღერის ტექსტი ხევსურულიდან (ა. შანიძე, 2009):

ც ე ლ ი ვღესე და ვერ გავღესე, –
 გაღაღეული ყოფიღიყო.
 ც ო ლ ი ვწურთნე და ვერ გავწურთნე, –
 გაღაღაჯული ყოფიღიყო
 ც ე ლ ს ა წინავა ვერ შავატყვე, –
 გაღაღესიღი მქონდა ც ე ლ ი.

ცოლსა წინავე ვერ შავატყვე, –
გადალაჭული მყავის ცოლი.

მსგავსადვე:

ცელ-ცუდაო და ცოლ-ცუდაო,
მთიბელო ვედარასაო.

ცელ-ლამაზო და ცოლ-ლამაზო,
მთიბელჩი ნამჭრევ-მშვენიერო.

სიტყვათა ფონეტიკურ მსგავსებასთან დაკავშირებით, სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ხუნძურ ენაში „კაცის“ აღმნიშვნელი **ჩი** სავსებით ემთხვევა „დათვის“ აღმნიშვნელ დიალექტურ სიტყვას **ჩი** (ბათლუხურ კილოში). ეს მოვლენა წმინდად ფონეტიკურია და საქმე გვაქვს ოდენ ომონიმასთან, ანუ დიალექტური **ჩი** („დათვი“) მეორეულია და მისთვის ამოსავალია ცი „დათვი“ (**ჩ** ← **ც**), მაგრამ ხალხური ეტიმოლოგია თანხვედრაშია დაღესტნის ხალხთა უძველეს მითოლოგიურ წარმოდგენებთან ადამიანსა და დათვს შორის ნათესაური კავშირის შესახებ. ამ რიგის მოვლენები ენებში ცალკე განხილვის საგანია.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - დ ა დ ვ ა ნ ი

**ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული
კოლოკაციები სვანურში** (კოდორული
ეთნოლინგვისტური მასალების მიხედვით)¹

სვანური ენა ხასიათდება წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ამსახველი ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების, კოლოკაციების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით. სვანურ ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული კოლოკაციების საანალიზო მასალა ამოკრებილია სვანური ენის ლექსიკონებიდან; ბ. ნიჟარაძის, ივ. მარ-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № FR-21-2100).

გიანის, ე.კოჟენიკოვას, ვ. ბარადაველიძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობიდან... ე. გაზდელიანის, რ. გუჯეჯიანის, ნ. წერედიანის, ხ. იოსელიანის... პუბლიკაციებიდან. სანაალიზო მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია ასევე დალის ხეობის პირადი არქივიდან (1988–2008 წწ.) და საექსპედიციო ჩანაწერებიდან (2006–2008 წწ.).

ჩვეულებით ს ა მ ა რ თ ა ლ თ ა ნ დაკავშირებული სვანური კოლოკაციებია:

დედ ი სამგერთალ „კანონ-სამართალი“ (**ულად დედიში სამგერთალი** მუშმწუინე თერქაძე ოხუზგზე „უსამართლო სამართლის გამსწორებელი (გამმართავი) მაკრატელი გამომიგზავნეო“ (სვან. ლექსიკ. 2000: 793). **ღგ-ღღედ** „სამართლიანი“, **ლი-ღღედი** „სამართლიანად მიდგომა, სამართლიანი დამოკიდებულება“, **ღა-ღღედ** „სამართლიანობის უნარი“, **ღაგნაჟი ლიგნე** „ადგილმონაცვლეობა?“, **ნაერთგულენი მაღვრა** „ერთგულების ფიცი“, **ლიქაბი/ლიქაბუნა/ლიქაბუნე** „თავის არიდება, აცდენა“, **მორვე მარე** „მსაჯული, საქმის მომგვარებელი, მედიატორი“, **ლიმორვე** „განსჯა, მსჯავრის დადება, გამართლება, მედიატორობა“, **ლიგერცაში** „დაფიცება, ხატზე გადაცმა“, **მეგერცაში** „დამფიცებელი, ხატზე გადამცემა“, **ბაჩა ლილჯენი** (< ქვის ჩარგვა) „განაჩენი, მედიაციის დასასრული“, **ლიმწვედი/ლიმწოდალ** „გამართლება, თავის მართლება“, **ლიღვრინე** „დაფიცება, ფიცზე მინდობა“, **ლულვერ** „დაფიცებული, ფიცზე მინდობილი“, **ლიწვრი** „სისხლის აღება“, **ლირიგეალ** „მორიგება“, **ლიმბანი/ლიმბანალ** „მედიატორობისას დაფიცება“ (შდრ. **ლიღვნე** „ძვირფასი ადამიანის დაფიცება, სემანტიკით „გეფიცები“), **ლიმშერალ** „დარდის ამოთქმა, შეჩვილება“, **ლიწამაშრე-ლივარგულე** „ახლობლობა და ერთგულება“, **თერალისგა ტგტი ლიშდე** „მოტყუება, გამასხარაება“, ზედმიწ. „თვალში ნაცარ-ტუტის მიყრა“; **მერმეში შიარზე ცხენდრე ლიკედ** „სხვისი მეოხებით რთული საქმის მოგვარება“, ზედმიწ. „სხვისი ხელებით ნაკვერჩხლების აღება“; შდრ. „სხვისი ხელით წარის გლეჯა“, **ლიმჯალ** „სინანული, სამდურავის თქმა“, **ლისემწალ** „აჯა, მუდარა, დახმარების თხოვნა“, **ლიჩგნე** „ჩაგვრა, აბუჩად აგდება“, **ყაბულს ლიკედ** „დათანხმება, ზედმიწ. ყაბულს მოსვლა“, **გუდ ლიკედ** „მიხვედრა“. ზედმიწ. გულად მოსვლა“, **ლირიგეალ** „შერიგება, მორიგება, დარიგება“ (**ლირიგავალს** ზეთ ესერ ხოწურ (ანდაზა) (სვან. ლექსიკ. 2000: 446) – შერიგება კარგი საქმეაო / შერიგებას ზეთი სდისო.

კინჩიქვაცა „შერცხვენა, კისრისმოჭრა“, **ქვინისადა** „გადა-
რჩენა, სულის შერჩენა“, **ბოლაკადა** „ამოწყვეტა, ძირფესვიანად ამო-
წყვეტა“, **ცოდ ლიხვანინე** „ცოდვების მონანიება ქვების ტარებით“,
ლიჩქვევი/ლიჩქვანელ „დაჩოქება“, **ვერი მგქდენი** „მოდალატე,
მიწის ამცდენი“...

კოლოკაციათა ეთნოლინგვისტური ანალიზისას გათვალისწი-
ნებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ სემანტიკა და ლექსიკურ-ფრაზეო-
ლოგიური თუ მორფოსინტაქსური ურთიერთობა კოლოკაციაში
კომბინირებული სიტყვებისა, არამედ გარკვეული კონტექსტიც, რო-
მელშიც ესა თუ ის კოლოკაცია გამოიყენება. ეთნოგრაფიული კონ-
ტექსტის თვალსაზრისით. საინტერესოა სვანური კოლოკაციები:
ლანაეი ლიგნე „ადგილმონაცვლეობა?“ **ლიმწვედი/ლიმწოდლ**
„გამართლება, თავის მართლება“, **ლიდგრინე** „დაფიცება, ფიცზე მი-
ნდობა“, **ხაჩ ლილჯენი** „ქვის ჩარგვა“, **ლიგგრცმი** „დაფიცება,
ხატზე გადაცმა“... მაგ., სვანურ ჩვეულებით სამართალში (ლიმოო-
რევში) კოლოკაცია **ხაჩ ლილჯენი** სიტყვასიტყვით „ქვის ჩარგვა“
ნიშნავს საქმის მოგვარებას, სამართლის აღსრულებას, მედიაციის
დასასრულს: მახვშის შემდეგ სიტყვა მიეცემოდა ხნით უფროსს და
ასე მორიგეობით თითოეული მსაჯული (მორევი) იტყოდა თავის
აზრს. ბოლოს ყველანი ერთ დასკვნამდე მივიდოდნენ. გადაწყვეტი-
ლების მიღების ნიშნად ერთ-ერთი მედიატორი აიღებდა პატარა
ქვას (სწორედ ამ დროს სრულდებოდა **ხაჩ ლილჯენის** რიტუალი),
ამოთხრიდა მიწას იქვე და მსაჯულების თვალწინ ამ ქვას ჩამარხავ-
და. რიტუალს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: აღნიშნავდა საქმის
დასასრულს; მეორე – გამოტანილი გადაწყვეტილება საიდუმლოდ
უნდა შენახულიყო, სანამ მსაჯულები (მოორევ მარეები) ერთად არ
გამოუცხადებდნენ მხარეებს თავიანთ განაჩენს.

როგორია ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული სვან-
ური კოლოკაციების სტრუქტურა ანუ კომბინატორული მექანიზ-
მი, როგორია ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთა როლი მყარი
ენობრივი ფორმების „შენების“ საქმეში: **მორევ მარე** „მსაჯული კა-
ცი“ სინტაგმა, მსაზღვრელ-საზღვრულია; **ლი-მორევ** „საქმის მო-
გვარება, მსჯავრის დადება, მედიატორობა“ საწყისია; **მე-მორევ**
„სვანური ჩვეულებითი სამართლის აღმასრულებელი“ მოქმედე-
ბითი გვარის მიმღეობაა, **ლე-მორევ** „განსაჯელი საქმე, სამედი-
ატორო“ ვნებითი გვარის მიმღეობა, **ლედ ი სამერთლ** „კანონ-სამარ-

თალი“ კომპოზიტია. სვანურში ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული ზმნურკომპონენტის სტრუქტურის კოლოკაციები: **ღანაყი ლიგნე** „ადგილმონაცვლეობა“, **ლიჩქუეუი** „მუხლდრეკა“, **ლიჩქუანაელ** „ჩამუხლვა მრავალგზის“... ოდენსახელურკომპონენტის სტრუქტურის კოლოკაციები: **მეგერცამი** „დამფიცებელი, ხატზე გადამცემი“ **მორეე მარე** „მსაჯული, მედიატორი“, **ნერთ-გულეში მანდრა** „ერთგულების ფიცი“, **ღედ ი სამერთალ** „კანონ-სამართალი“, **ვერი მექდენი** „მოღალატე, მიწის ამცდენი“...

სვანურში ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებულ კოლოკაციებში იკვეთება დაპირისპირება აქტიური და პასიური შინაარსისა, რაც ფორმოზრევადც სხვადასხვა სტრუქტურული მოდელით გამოიხატება: **ლიქაბი/ლიქაბუნალ** „თავის არიდება, აცდენა“, **ლინბანი/ლინბანალ** „დაფიცება“, **ლიმწუედი/ლიმწოდალ** „გამართლება, თავის მართლება“, **ლი-ჩქუეუი** „მუხლდრეკა“ **ლი-ჩქუან-აელ** „ჩამუხლვა მრავალგზის“ (**აელ** სუფიქსით დაბოლოებულ საწყისებში იგულისხმება მოქმედების ზოგადობა, მრავალგზისობა, დაუსრულებლობა). საყურადღებოა სწორედ სვანურში მრავალფუნქციური **-ალ** ფორმანტიანი კოლოკაციების პასიური სემანტიკა **ლი-ი/ლი-ი** ყალიბის მასდარებთან მიმართებით: **ლი-მწუედი-ი** ითქმის მაშინ, როცა მსაჯულები ასამართლებენ პირს, **ლი-მწოდ-ალ** კი იმ შემთხვევაში, როცა პირი თავად იმართლებს თავს. **ლინბანი/ლინბანალ** ორივე „დაფიცება“, სვანურ ჩვეულებით სამართალში **ლინბანი** ითქმება მაშინ, როცა მსაჯულები აფიცებენ, **ლინბანალ** კი იმ შემთხვევაში, როცა განსასჯელი იფიცებს თავად. შესაბამისად, სალიტერატურო ქართულის შესატყვისები – „გამართლება“ „დაფიცება“, თავის არიდება“... ვერ ასახავს ამ ფორმებს (**ლიმწუედი/ლიმწოდალ, ლინბანი/ლინბანალ, ლიქაბი/ლიქაბუნალ...**) შორის სვანურში არსებულ შინარსობრივ სხვაობას.

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი სვანურ ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების ეთნოლინგვისტური ანალიზი, კოლოკაციების გამოყენების კონტექსტის, სტრუქტურის და სემანტიკის გათვალისწინებით.

**ზოგი წეს-ჩვეულებისა და რიტუალის ამსახველი
იდენტური ფრაზები (მყარი შესიტყვებები)
ხევსურულსა და ქისტურ დიალექტში¹**

ქართული ენის ხევსურულ დიალექტში იძებნება სიტყვათა ისეთი მყარი ენობრივი ერთეულები, რომლებიც სტრუქტურისა და სემანტიკის თვალსაზრისით ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის შესაბამისი მასალის იდენტურია. ასეთი ერთეულები სხვადასხვა ენის ორი დიალექტის ხანგრძლივი კონტაქტების შედეგს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ზოგი მსგავსი ერთეულის პოვნა ერთი ან მეორე ენის დიალექტებში გამორიცხული არ არის. მოვიყვანოთ მაგალითები:

ქართული ენის ხევსურულ დიალექტში სანაქებო ადამიანი არწივთან არის შედარებული, მის შთამომავალს **არწივის თესლს** ეძახიან. სადაც ისინი სახლობენ, მათი ადგილ-სამყოფელი არის **არწივთა ნახუდ(ვ)არი** (ა. ჭინჭარაული). სანაქებო ადამიანის ეპითეტი ჩეჩნურში არის **ბჷორზ** „მგელი“ (მრ. რ. **ბერზლჷომ**). მათი შთამომავალი იწოდება ასე: **ბერზლჷომხ სჷაგვალლა** „მგლების შთამომავალი, მგლების მოდგმისა“.

ფიცების ფორმულებს განეკუთვნება ხევსურული სიტყვათა მყარი კომბინაცია, როგორცაა: **მუკლებზეით ჩამავცდ!**, რაც ნიშნავს: „(მე) მოვკვდე“. ამ შესიტყვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხევსურულ დიალექტში „სიკვდილი“ ლექსემის ერთ-ერთი სინონიმია გამოთქმა „მუხლებიდან ჩამოხდომა“. ფრაზა ზუსტი ანალოგია ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში არსებული სინტაგმისა **გჷომშთარ//გჷაშთერ ვ-უს-უ-ლ-ვ-ა-ს**, სადაც **გჷომ** არის „მუხლი“, **-შ-** – სახელის მრ. რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი, **-თა (< ტა) -ტა** „ზე(დ)“ თანდებულის ფონეტიკური ვარიანტი, რომელსაც მოსდევს გამოსვლითი ბრუნვის ფორმანტი **-რ:** „მუხლებზედან“. სინტაგმის მეორე

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

სიტყვა კლასნიშნიან ზმნაა ბრძანებით მეორეში, ნიშნავს მოქმედის (მუხლებიდან) ჩამოსვლას, მიწაზე დანარცხებას, ე. ი. სიკვდილს.

საოჯახო წეს-ჩვეულებებიდან ან რიტუალებიდან აღსანიშნავია ხევსურული **თავს დაიმარხავს**: თავის ხარჯებს, რიგებს – ქელეხს სიცოცხლეშივე ჩაატარებს. პიროვნება, რომელიც მოხუცი იყო და შთამომავალი არ ჰყავდა, „თავს დაიმარხავდა“, ქელეხთან დაკავშირებულ ხარჯებს, რიტუალებს სიცოცხლეშივე ადასრულებდა. იგივე რიტუალი დადასტურებულია ჩეჩნეთის ბარისა და მთის რეგიონების წარმომადგენლებში, მათ შორის პანკისის ქისტურ მოსახლეობაშიც. ამ რიტუალს **ბუდ(ა) სწყ** „უმი ქელეხი“, **შიენ ტაერ(ა) ბუდ(ა) სწყ აკვ(ა)** (ჩეჩნურის ბარის კილო: საღა) „თავის სახელზე მოწყალების უმად გაცემა“ ჰქვია (ქელეხის გადახდა ვალად მიაჩნიათ და ზოგი ამ ვალს სიცოცხლეშივე იხდის. ქართული თარგმანი ადეკვატური შესატყვისი არ არის). რიტუალი ითვალისწინებდა საკლავის დაკვლას და ხორცის უმად გაცემას, ხორცის გარდა თვითდამმარხავი გასცემდა პურს, მარილს, შესაძლებლობის ფარგლებში – სხვა სახის სურსათ-სანოვაგესაც. ეს რიტუალი სრულდებოდა იმ პიროვნებებისთვისაც, ვინც ვითარებათა გამო დაკარგული იყო (გადასახლებაში, ომში...).

ნათელია, რომ წეს-ჩვეულება ხევსურეთსა და ჩეჩნეთში თავისი არსით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, თუმცა წეს-ჩვეულების ამსახველი კოლოკაციები ხევსურულსა და ჩეჩნურში განსხვავებულია.

თუ ჩვილი ბავშვი ჭირვეულობს, ტირის და ვერ აწყნარებენ, ხევსურულში არსებობს გამოთქმა **სახელ აეკდების**, ბავშვს სახელს გამოუცვლიან – „საიქიოში სულები დაობენ, არა ჩემი სახელი უნდა დაერქვას. არა – ჩემიო“. ხევსურთა რწმენით, სახელის გადარქმევით ბავშვი დაწყნარდება, ჭირვეულობა გადაუვლის.

ჩეჩნურშიც არსებობს გამოთქმა **წე ღუორთა⁵//ღუართა⁵** „სახელის გამოცვლა“ (თარგმანი პირობითია). მასთან დაკავშირებული რიტუალი გულისხმობს იმ მიცვალებულის გამოცნობას, რომელიც მშობლებისაგან მოითხოვს ბავშვისათვის მისი სახელის დარქმევას. მკითხაობის მცოდნე ქალი ლოცვით მკითხაობს პირსახოცზე, რა დროსაც პირსახოცზე იდაყვიდან ხელის ბოლომდე გაზომილი მონაკვეთი ამა თუ იმ მიცვალებულის სახელზე ხან გრძელდება, ხან

მოკლდება. როცა რომელიმე სახელზე გაზომვისას დაგრძელდა, იტყვიან, იმის „გათვალუღია“, მისი სახელი დაარქვითო.

რიტუალი აქაც იდენტურია ხევსურეთსა და ჩეჩნეთში, რიტუალის სიტყვიერი გამოხატვაც თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სალიტერატურო ქართულმა არ იცის სიტყვა **უერთოდ**: **უერთოდ არ დამთავრდება; უერთოდ არ ჩაივლის**, რაც ხევსურულში ნიშნავს: „ერთი რამე რომ არ მოხდეს, ისე“. ამ ფრაზებს ქისტურ დიალექტში (სალიტ. ჩეჩნურშიც) შესატყვისება **ცჰა' დრცუმ ხირ დაც** „ერთი (რამ) რომ არ იყოს, არ იქნება“; **ცჰა' დრცუმ ჩაქდარდაც/ჩეკდარდაც** „ერთი (რამ) რომ არ იყოს, არ დამთავრდება“, ე. ი. ზოგადად: „უერთოდ არ იქნება; უერთოდ არ დამთავრდება//არ ჩაივლის“. დასახელებულ სიტყვათა მყარი კომბინაციები ხევსურულსა და ჩეჩნურში იდენტურია. იგივე ითქმის ინგუშურის შესახებაც.

სინტაგმა „ხელის დაშვება“ ქართულში იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც, რაც ნიშნავს: იმედი გადაეწურა, ხელი ჩაიქნია, ე. ი. დამარცხდა. ამ ფრაზის ადეკვატური შესატყვისია ჩეჩნური ქუჰ 'ოჰადახიითა „ხელის დაშვება, ხელის ჩაქნევა, იმედის დაკარგვა; დამარცხება“. ქისტურ დიალექტში სინტაგმაში შემავალი ზმნა, ზმნისწინის გამარტივების გარდა (**ოჰა-** > '**ო**), მხოლოდ ფონეტიკურად არის განსხვავებული სალიტ. ჩეჩნურისაგან (მდრ., **ქუჰ 'ოდახაითა/'ოდახეითა**, თუმცა ქისტურის ჯოყოლოურ კილოკავში ჩვეულებრივია '**ოდახიითა-ც**).

ქისტურში **წა ტეკეთ(ა)//ტეკათ(ა)** პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „სახლი დაექცა, სახლი დაენგრა“. ფრაზას აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: „დიდი უბედურება დაატყდა, საშინელება დაემართა, ავს გადაეყარა, ჭერი თავზე ჩამოემხო“. იმავე მნიშვნელობით იხმარება ეს სინტაგმა ჩეჩნურ-ინგუშურშიც. „სახლი დაექცა“ სინტაგმა ქართულშიც უბედურებას უკავშირდება გადატანით. იმავე მნიშვნელობისაა ქისტური (**ცუნწა**) **თხოჟ ტეკეთ(ა)//ტიკეთ(ა)** „(იმას) ჭერი ჩამოექცა“, ე. ი. დაიღუპა, განადგურდა.

მოხსენებაში საუბარია ანალოგიურ სხვა შესიტყვებებზეც.

დაოჯახებასთან დაკავშირებული ზოგიერთი აფხაზური შესიტყვების ეთნოლინგვისტური ანალიზი¹

დაოჯახებასთან დაკავშირებული აფხაზური რიტუალები და ლექსიკური ერთეულები აღწერილი აქვთ ს. ბახია-ოქრუაშვილსა და ნ. ანთელავას. წინამდებარე კვლევაში მოცემულია სათანადო აფხაზური შესიტყვებების ეთნოლინგვისტური ანალიზი.

საანალიზო მასალა მოპოვებულია ს. ბახია-ოქრუაშვილისა და ნ. ანთელავას შრომებიდან, ასევე აფხაზურ-რუსული ლექსიკონიდან, სრული მასალა გადამოწმებული, ხოლო მისი გარკვეული ნაწილი ჩაწერილია ჩემ მიერ.

დაოჯახება მოიცავდა რამდენიმე ეტაპს – ქალ-ვაჟისა და მათი ოჯახების დათანხმებას, ნიშნობას, ქორწილს. დათანხმების პროცესს უძღვებოდა მაჭანკალი, რომელსაც აფხაზურად **აქაღ-არმა** ეწოდება. ნიშნობის აღმნიშვნელად აფხაზურში გამოიყენება არკაარა „დანიშვნა“ ან **ამბარკაარა** (ზედმიწ. „ურთიერთდანიშვნა“), აგრეთვე **ამმდანა**, რომელიც ნიშნობის სამკაულსაც ნიშნავს. ბევრი სხვა ხალხის მსგავსად, აფხაზებშიც იყო აკვანში დანიშვნის ტრადიცია – აფხ. **აგარაჭააყარა** (**აგარა** „აკვანი“, **აჭააყარა** „დაჭდევა, ჭდის გაკეთება“).

დაოჯახების მნიშვნელობით აფხაზურში გამოიყენება **ამბაგარა**, (ზედმიწ. „ურთიერთმოყვანა“). ამის პარალელურად დასტურდება ცოლის მოყვანისა და გათხოვების შინაარსის გადმომცემი კოლოკაციებიც: **აფჭესააგარა** (**აფჭეს** „ცოლი“, **ააგარა** „მოყვანა“), **ახაწა-ცარა** (**ახაწა** „კაცი/ქმარი“, **აცარა** „წასვლა“).

ქორწილს აფხაზურად **აჩარა** (ზედმიწ. „პურობა“) ეწოდება, ხოლო ჯვრისწერის რიტუალს – **აფგრგუნხაწარა** (აფხ. **აფგრგუნ** „გვირგვინი“, **ახაწარა** „დახურვა“).

მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ კოლოკაციები მეტწილად სახელისა და მასდარისაგანაა შედგენილი: **აფჭესჭარა** (**აფჭეს** „ქალი/ცოლი“, **აჭარა** „თხოვნა“) „ცოლის თხოვნა“. გარკვეულ შემთხვევებში საანალიზო ერთეული რთული ზმნისაგან ნაწარმოები მიმღე-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR-21-2100).

ობაა: **ათაცააგაშ** (ზედმიწ. „პატარძლის მომყვანი“) „მყარი“. არის შემთხვევები, როცა კომპოზიტების შემადგენელი კომპონენტები არსებითი სახელებია: **ათაცაშუა** „ხელისმომკიდე“ (ზედმიწ. „პატარძლის მეგობარი“).